

652/2  
1991/2

ISSN 0134 3459



# ქორონი

1991

3



# ქრონიკა

გ ა მ ც ე მ ი ს

33-ე  
წელი

ლიბერალურ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლიტიკური შუიანი  
საარსებო მუშაობის კავშირისა და ახარის განყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჰარა,  
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...  
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

**3**  
**1991**

მაისი  
ივნისი



ბ ა თ ვ ი

## შინაარსი

ქემალ გაყელი — ლექსები	3
მიხეილ გორგილაძე — ძველი ჭრილობა	9
დალი ინწკირველი — დრო და პოეტი (ლექსები)	20
ზურაბ ზოიძე — ლექსები	23
რამაზ სურმანიძე — ემრულა (კი- ნომოთხრობა. გაგრძელება)	25
ნონა ვარაზაშვილი — ლექსები	38
რუბენ ბარდნაშვილი — ლექსები	40

## ჯეჯილი

ვახტანგ ახვლედიანი — რატო — ბუყბუყ-დევის ნათლია	43
გაბა ჭიხორია — ზღაპრები	52

## ახალი თარგმანები

ეორუ სიმენონი — ბაიეელი ქალ- ბატონი (მოთხრობა. ფრანგული- დან თარგმნეს თინა სარგველაძემ და გივი კაჭკაჭიშვილმა, გაგრ- ძელება)	54
---	----

ახარის შუიანი-გაზეთების გამომცემლობა

მომგონებათა ფურცლები

იბრაიმ გორაძე — საღაურსა სად  
წაიყვან... 61

გზები და შთაბეჭდილებები

ისმაილ ქარა (შავიშვილი) — სა-  
დაც ჭოროხი მთავრდება... 66

წერილები

ოთარ თურმანიძე — რაც ეროვ-  
ნულ საქმეს წაადგება — 71

მალხაზ ბალაძე — „ვინ ახლო ვლგა-  
ვართ ღმერთთანა“ 78

იოსებ ბეჭირიშვილი — როდის და-  
იპყრეს ოსმალებმა აჭარა? 85

აკაკი ზოიძე — რაც ათბობს და  
ანათებს 91

გასულ ორ თვეში 94

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.  
ტექნიკური ხელმძღვანელი — შ. დარ-  
ჩია.

მთავარი რედაქტორი  
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,  
გიორგი ბაჩქილაძე,  
ზურაბ გორგილაძე,  
მამია ვარუანიძე,  
(პასუხისმგებელი მდივანი),

შოთა ჯოიძე,  
დავით თედორაძე,  
ჯემალ ქათამაძე,  
ალექსანდრე ჩხანიძე,  
ფრიდონ ხალვაში,  
დავით სასუტაიშვილი,  
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,  
მელიქიშვილის ქ. № 21, ტელ.  
3-33-71.

გადაეცა წარმოებას 3.06.1991, ხელმო-  
წერილია დასაბეჭდად 30.07.1991, საგა-  
მომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის  
№ 779, ქაღალდის ზომა 60x90/16  
ტირაჟი 4.000.

აჭარის პოლიგრაფიული საწარმოო გა-  
ერთიანება, ბათუმი, იბერიის 91.

Полиграфическое производственное  
объединение Аджарии. Батуми, ул.  
Иберийская, 91.

ჯემალ ჯაყელი

საქართველოს სპეტიკი სული

თეთრ მყინვარწვერზე ბრუნავს გრიგალი —  
 ქართლოსიანთა მღელვარე სული,  
 ისტორიულ ბედს შეფერიგალი  
 ზემთაგონება ზეგარდმოსული.  
 თეთრ მყინვარწვერზე ფეთქავს ღრუბელი —  
 ფიქრი, ოცნება, ოწმენა, ნუგეში.  
 მოგონებათა რაში უბელო  
 ნიჰქრის შორეულ საუკუნეში.  
 გარდასულია რა დრო, რა ხანი  
 უკრთაილად მისდევენ ჯღეებს ვნებიანს,  
 მოგონებათა თეთრი ლანდები  
 იღვიძებენ და ისევ ქრებიას.  
 და ისევ, თითქოს გაწვების ნებით,  
 გარდასულა რა დრო, რა ხანი  
 და მარცხ ისმის პირქუში ზმები  
 ელვარე ხმალის ხმალზე ჯახანის.  
 მოგონებათა თეთრი ლანდები  
 იღვიძებენ და ჩუმად ქრებიან,  
 გარდასულ დღეთა ფოლანტები  
 სინათლის ხილვას გვეკედრებიან.

59661

1989

ხმო უკვდავო

(ცვიდიონზე არის ორიათასი წლის ხე)


ვინ გასძლოს წელი ორიათასი,  
 ვინ გადიტანოს ღელვა დროისა?  
 ალბათ, მან, ვინაც სიცოცხლის ფასი  
 იცის ამ ქვეყნად მხოლოდ ორისა;

საქართველოს  
ლიტერატურის  
აქადემია

ორი ნათელის, სულში მარების,  
ორი სიცოცხლის მალალ ნებისა,  
ორი გენიის, ორი ღვთაების —  
მშობელ მიწის და უკვდავებისა.  
ხეო მალალო, საოცრებათა  
მგზავრო იმედის და სიქველისა,  
შენგან ვისწავლი მალალ სიყვარულს  
მშობელ მიწის და უკვდავებისა.  
ჩავეჭიდები მრავალჭირნახულ  
ჩემი მშობელი მიწის გენიას,  
მზით მონიჭებულ ყველა სიხარულს  
მივაგებ, მალადა რაც დამრჩენია.  
შენგან ვისწავლი, ყველა ქარაშოტს  
როგორ გაუძლოს სულმა კაეშნის,  
ფოთოლზე დარდის ცრემლებს გავაშრობ,  
სევდას მოვპარავ ჩამდგარს თვალებში.  
ტინად დავხვდები მეწყერს და წარდენას,  
ქიდილდაძლევა შვილთა ვალია,  
ბორბალს ბედისას მოვმართავ წაღმა,  
რასაც უკულმა უტრიალია,  
რასაც უთხრია ძირი ალონის,  
რადგანაც გული ცეცხლით ივსება.  
ხეო მალალო და ეტალონი  
შაბაშ, სიცოცხლის მარადისობას!

**გ ვ ვ ი რ დ ე ბ ა**

დავდივარ ქუჩაში და ხალხის თვალებში  
მეტად გრძელვადიანს ვკითხულობ ამინდებს.  
მრავალგან ცთუნების ჭინკათა თარეში  
ვნებათა წიწაკით უბეებს ამინთებს.  
აქა-იქ იმედის დაფრინავს ფერია,  
აქა-იქ ნისლივით ბარბაცებს ცთუნება.  
ცოტაა ის, რაიც გვეგონია ბევრია  
და გვინდა ახალი მზის შემობრუნება.  
გვჭირდება!  
ღვთის ნება ნებაა ერისო, —  
ძირს. ყველა ჭორი და ურწმუნოს ფანდები,



„ლაშქარის გორზე“ რომ შადგომა გველირსოს,  
ჩვენვე უნდა ვიყოთ სულით ღვთისნიერი,  
ჩვენვე უნდა ვიყოთ სულით ღვთისნიერი,  
გაუცხოებული ეშმას და ანანკეს!  
ჩვენვე უნდა ვიყოთ მუხა ტანძლიერი  
და მუმლი მუხასა ვერაფერს დააკლებს.

## გააღე კარი!

რეკავენ. დგები წვერგაპარსული,  
მიდიხარ კართან ლონდრო ტანიითა  
და იჭვრიტები კარში ჩასმული  
მინის ჭოგრიტა ჭუჭრუტანიითა.  
რა გაქვს საჭვრეტი?  
გააღე კარი,  
გახსენი გული, გაშალე ხელი.  
რა ოხრობაა ჯაჭვი და ხარი,  
ფოლადის სალტე და მუხის ძელი.  
რა არის თუკი არ მიგაქვს გულთან  
სტუმარი ანდა სტუმრობა ქველი.  
საქართველოში სტუმარი მუდამ  
იყო ღვთისკაცი და სასურველი.  
რად ჩაქეტილხარ, სად არის შენი  
„ზეცა ქუდად და მიწა — ქალამნად“.  
ძმა — მეგობარი, ასე რომ შვენის  
შემოჯარული ოჯახს ვალავნად.  
რა გაქვს საჭვრეტი უცხოთა სულით,  
რად უცხოვდები დრო და ხანიითა.  
რად იჭვრიტები კარში ჩასმული  
მინის ჭოგრიტა ჭუჭრუტანიითა?!  
გამოდი გარეთ, ქართველი კაცის  
შემომავებე შნო და იერი.  
თქვი, გაგიმარჯოს ძვირო სტუმარო,  
მობრძანდი, იყავ ფეხბედნიერი!

გალაკტიონი

წვიმის მეფურად.

ასე წვიმდა,

როს ბათუმში დადიოდა გალა.

როცა სვამდა ყველაწმინდას

და ცად ლოცვებს ადავლენდა ვალად.

როცა ბროლზე სუფთა ცვარი

ცინცქილებდა ოჯალემის ფერი,

როცა ვნების იღებოდა თეთრი კარი

და ამურებს შემოჰყავდათ მერი.

ასე წვიმდა,

ასე წვიმდა და აწვიმდა

ქარვის სანთლებს, ღამით დანაღვენთებს.

გალა სვამდა პოეზიის ყველაწმინდას

და ალავერდს აწოდებდა ღმერთებს...

ღოქის ტარზე ეშმა იჯდა

წვიმისა და ალერსიან თრობის.

გალა სვამდა ყველაწმინდას

სიმაღლისას არწივის და ორბის.

ასე წვიმდა.

ჩუმჩუმებდნენ ჩამურები,

წვიმას ელო ჩახჩახა მზე ვალად.

მოდოდნენ დიონისეს ამურები

და გულდაგულ მასპინძლობდნენ გალას!

1990

თქვენი მამსტრო

მოვედი თქვენთან ახლა, ასეთ დროს

აჭრილი დაფნის სულ ერთი კონა

თქვენი მოყვასი, თქვენი მამსტრო,

თქვენი მორჩილი და თქვენი მონა;

მოვედი თქვენთან ღვთიური ნებით

და სიყვარულის ათავთავებით,

როგორც ირემი ქორბუდა რქებით

თქვენი წალკოტის ტევრში გავები.

თქვენი თვალების ცეცხლში ფეთდება  
ჩემი დაღლილი სულის ხატება.  
გზები, რომლებიც თქვენთან ერთდება,  
ყველა სიმაღლეს აღემატება.  
მინდოდა თქვენსკენ ქარზეც გამესწრო  
როს გესწრაფოდით გულგანახური.  
და ჰა, თქვენთან ვარ თქვენი მავსტრო,  
თქვენი მონა და თქვენი მსახური.

1990

### ლამაზი ქალი

„ლამაზი ქალი მაინც სხვისია“.

ჭ. ქათამაძე

ლამაზი ქალი მაინც ჩემია  
ყველა დროის და ყველა ასაკის.  
ლამაზი ქალი თავს მირჩევნია  
რაც თავისთავი მახსოვს, მას აქით.  
ლამაზი ქალი მაინც ჩემია,  
უკვდავი წიგნი მშვენიერების;  
ლამაზი ქალი თავს მირჩევნია  
ვით შემოქმედი ბედნიერების.  
ლამაზი ქალი ღმერთის გენია  
გენის ნათელი, არსობის არსი.  
ლამაზი ქალი მაინც ჩემია,  
ისაა, ვინაც ამივსო თასი,  
ვინაც შემასვა მზე მითიური  
და ვინაც მომცა, რაიც მეწადა.  
ვინც მომანიჭა ძალა ღვთიური  
ყველა ბორკილის დასალეწადა.  
ლამაზი ქალი მაინც ჩემია,  
ყველა დროის და ყველა ასაკის,  
ლამაზი ქალი თავს მირჩევნია,  
რაც თავისთავი მახსოვს, მას აქით.

1990

## თეთრი ირემი

აქ ბალახობენ თეთრი ირემები,  
ნიმფებისაგან ნაჩუქარები.  
აქ ერთი ვოგო ოქროს სირმება  
მოფართქალდება ფეხაჩქარებით.  
სურნელი ათრობს, ხიბლავს ძალიან,  
რომ ადრე დგება თიბათვე წლეულს.  
ეალერსება ირემს ხალიანს,  
ირმების ჯოგში ერთს გამორჩეულს.  
სურვილებს ვაშლის ვარდის ბუჩქებად,  
ყელზე ეხვევა, ვარცხნის თითებით.  
ნაზდება, თვრება და იფურჩქნება  
მამრი ირემი გულმორჩილებით.  
თეთრი ასული საოცარ ეშხით  
თმაქარაშოტა სრბოლას აპირებს.  
ჩაეჭიდება ქორბუდას რქებში  
და ოცნების ვზებს გაინაპირებს.  
ცას გაეკვრება ნახტომი ირმის,  
როგორც ჩუქურთმა ქართული სულის.  
ქვეყნიერებას რომ შემოივლის,  
ბედნიერება ეწვევა სრული.  
მერე ქორბუდა ამაყად დგება  
და მობრიალე წყლიან თვალებით  
ამბობს, რომ ათრობს ქალთაგან ქება  
და გასაოცრად უყვარს ქალები.  
ლტოლვის ღმერთია მისი მიზანი  
და აქლერდება ხმათა ზარებად.  
ირმის სახეში მე რომ მიცანით,  
ამაში ეჭვი არ მეპარება.

1990



## ძველი ქრილობა

სკოლიდან დაბრუნებულს ნადირა ჭიშკართან კუნტრუშით შემომეგება. თვალები უბრწყინავდა, კუდს აქიცინებდა, პირი ისე ჭქონდა დაღებული, თითქოს რაღაცის თქმას ცდილობსო. ჭერ ჩემს ირგვლივ ათამაშდა, შემდეგ ადგილს მოწყდა და სასიმიინდესა-კენ გაქანდა. ახლა შევნიშნე, სასიმიინდის ბოძებზე ორი მოწვერი თოკით იყო მიბმული. აი, თურმე ნადირას რა აფორიაქებდა.

მამა დიდხანს ეძებდა ჭიშიერ მოწვერებს, მაგრამ აქამდე ვერ ნახა. უხეირო პირ-უტყვის უღელს არ დავადგამო, უთქვამს ბევრჯერ. შარშან ზამთარში დროულად ვერც შეშა მოიმარაგა, ვერც სიმიინდი და თივა. ხარები სოფელში აქა-იქ შემორჩათ. მეზობ-ლებმა, სანამ თავისი საქმე არ მოითავებს, ჩვენთვის ვერ მოიცალეს. გაზაფხულზე ერთ მანქანა ნაკელში ორასი მანეთი მისცა. — ჩემს ბაღს სამი ასეთი მანქანა სჭირდება. ხარები რომ მყავდეს, ბაღიც მსუყედ მექნება და შეშაც არ მომაკლდებოდაო, — ერთ-ხელ ისეთი საყვედურით გვითხრა, თითქოს მე და დედაჩემი წინააღმდეგი ვიყავით, ხარები ჰყოლოდა.

და აი, ნადირამ კუნტრუშით მაცნობა სასიხარულო ამბავი.

წიგნის ჩანთა კიბის საფეხურზე დავაგდე და მეც იქეთ გავქანდი. მოწვერები დიდებული შესახედავი ჩანდნენ. ტანაყრილნი, ირემივით ყელმოღერებულნი, კუნთმაგარნი, წვეტიანი სწორი რქებით. წაბლისფერი ბეწვი ისე უბრწყინავდათ, სველი გეგონებოდათ.

მივუახლოვდი, ისეთი გაკვირვებით მომაჩერდნენ, თითქოს მეკითხებოდნენ, ვისი ტიკი-ტომარა ხარ, ხომ არ ვინდა, ჩვენი რქების ძალა გაჩვენოთო. მე მიაღერსება ვცადე, ახლო მდგომს გაშლილი ხელი გავუწოდე. არ გამოიკარა, თავი მტრულად გააქანია და თვალები დააბრიალა. ეს ნადირამ რომ შენიშნა, ჩემთან მოიჭრა და გაბედულად შეჭდრინა, თითქოს ეუბნებოდა, — შე მართლა პირუტყვო, ვერ ატყობ, ვინც არისო?

არც შემინიშნავს, მამა როდის წამომადგა თავს.

— მოგწონს? — მკითხა და დაკორძილი, ოჯახის მარჩენალი მძიმე ხელით მხარზე შემეხნო.

— ჰო, ძალიან კარგები ჩანან. სად იყიდე?

— ჭალადიდში, ვილაც ნოდინასაგან. დიდი ფასი დაადო, მაგრამ რა მექნა. შემატ-ყო, თვალი ზედ დამრჩა. მოვურიგდი და წამოვიყვანე.

— ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ. ტყუუპებია?

მამას ღიმილი მოერიო.

— მსხვილფეხა პირუტყვი ტყუპი მე არ მინახავს. შეიძლება სასწაულიც ხდება. რაც მთავარია, კვარაცხელიას ჯოგისაა.

— სახელები? რას ეძახდნენ?

— რაღაც კი მითხრეს, მაგრამ არ მახსოვს. სახელი შენ გამოუწახე.

ერთხელ კიდევ დავაკვირდი. გამიჭირდა ერთმანეთისაგან გარჩევა.

— აი იმას, ირემივით მოდერებული რქები რომ აქვს, ირემა შევარქვათ, მეორეს  
აღმასა. ჰა, რას იტყვი?

მამამ მხრებზე ხელი მომხვია და მკერდზე მიმიკრა.

— მასე იყოს, შვილო, დავარქვათ ირემა და აღმასა. ყურადღება არ უნდა მოვაკ-  
ლოთ. ყველაფერი მოვლაზეა, კაციც, პირუტყვიც და ფრინველიც. წუხელ ღამე სუ-  
ფსაში გავითიე, დილით ქალაში ვაბალახე, მაგრამ არ ეუთო... ჯერ ისადილე; შემდეგ  
გზისპირა ღობესთან აკაცია რომ გვაქვს, ის ჩამოსხებე. აკაციის ყვავილი მსუყვიც  
არის და გემრიელიც. ხვალ ჩვენს ქალაში წავიყვან.

ტანსაცმელი გამოვიცვალე, წაიხეხე, შემდეგ აკაციის ხეზე ბამბუკის მაღალი კი-  
ბე მივაყუდე და ჩამოსხებავს შევუღეკი. ხმაზე მოზვრებმა ყურები ცქციტის და მე  
მომაჩერდნენ.

ჩამონასხები ტოტები იმ ბოძებზე მივაყარე, რომლებზეც მიბმულნი იყვნენ. მო-  
გეცათ ღხენა, მაღიანად შეეცქენენ! უკვე მტრულად აღარ მიყურებდნენ. ალბათ, მიხვ-  
დნენ, რომ მათზე ვვრუნავდი. შემდეგ კიდან ორი კასრი წყალი მივუტანე და ახლოს  
დავუდგი. რამდენჯერმე სახელებიც კი დავუძახე, მაგრამ ვითომ არც გაუგონიათ.

გამამდარებმა გვერდიგვერდ მოიკალათეს. ჩემთვის თვალი რომ შეეჩვიათ, არც  
მე მოვშორებივარ. წიგნები მოვიტანე და მწვანეზე დავკეკი. ჩემი ერთგული ნადირაც  
მქვე გაიშხლართა.

ღამით, რატომღაც, ძილი არ ამყვა. ირემასა და აღმასაზე ფიქრი არ მასვენებდა.  
მაისის თბილი ღამე იყო. მამას მოზვრები სადგომში არ ჩაუკეტავს, სუფთა ჰაერზე  
იყოსო, თქვა. მე კი შიშს თავი ვერ დავაღწიე. ხომ შეიძლებაო, ვინმე არამზადას  
უჩუშრად წაესხა. თუმცა, ნადირას იმედიც მქონდა. ვიცოდი, მათ არ მოშორდებოდა.

გვიან ჩამეძინა. ადგომა დედაჩემს დავასწარი. ფხაკრეფით კიბეები, ჩავათავე და  
უკანა ეზოში გავედი. მოზვრებს როგორც კი მივუახლოვდი, წამოდგნენ და ნებივრად  
გაიშორეს. ჯერ ხელებში მომაჩერდნენ. რაკი ვერაფერი შემნიშნეს, ირემა აღმასას  
მიუხრუნდა და შუბლი აულოკა. ისე მონოტონურად და აღერსით ლოკავდა, თვალი  
ვერ მოეშორე. ამ დილით არ მინდოდა სკოლაში ისე წავსულიყავი, მზრუნველობა  
რომ არ გამომეჩინა. კასრებს ხელი წამოვავლე, ხულაში შევედი და კომბინირებული  
ფქვილი კასრებში ჩავყარე, შემდეგ თბილ წყალში გავაზავე, ცოტა მარილიც დავუმა-  
ტე და მოზვრებთან გავჩნდი, ისე ესიამოვნათ, კასრების ფსკერსა და კედელს დიდ-  
ხანს ლოკავდნენ.

— მავი ბიკი ძროხას მშვიერს დამიტოვებს, — საუშმობისას დედამ მამას შესჩივ-  
ლა და მე მწყურალად გადმოხედა. დამორეულმა მამაჩემმა მხოლოდ ეს მითხრა, —  
კომბინირებული საკვები უნდა წამოაღულო, ისე არ წაადგებაო.

— მოდი და ამით ელაპარაკე! — იწყინა დედაჩემმა.

ნაშუალამევს აღარც ნადირა დამხვდა და აღარც მოზვრები, მიხვდი სადაც იქნებო-  
დნენ. ნაუცბადედად ვისადილე და მეც კალისაკენ გავქანდი. გორაკიდან დავინახე,  
მამა უანის ბოლოში თხმელის ჩრდილში იჭდა, მოზვრები სათიბში ჩაება. ნადირა არ  
ჩანდა. ალბათ, შამბნარის ჩრდილს იყო შეფარებული. თავფერდზე სირბილით და-  
ვეშვი, სოფლის პატარა ღელე გადავკერი და ტლანქად გათილლ მესერის კიშკარს  
ზემოდან გადავევლე. შამბნარიდან ნადირა გამოიჭრა და მე მომვარდა. აკუნტრუშებუ-  
ლი ძლივს მოვიშორე.

— ო, შენ ხარ? — ესიამოვნა მამას.

ოფლით დასველებული პეტანგი იქვე ტოტზე გაფინა. უანაში ნეღლი, ახალგათო-  
ხნილი მიწის სურნელი ჩავუბებუდიყო. სიმინდი ერთი მეტრი ხიმალისა იქნებოდა.



ხადაც კარბად იყრ ამოსული, გამოემარგდა. ყანაში შევედი და გამომარგული სი მინდის ჩალა ავკრიფე.

— ეს ჩალა სახლში წაიღოთ, დილით დავაპურებთ. ახლა წყალს თუ დაადევინებ, კარგი იქნება. — მითხრა მამაჩემმა.

ხელცარიელი არ მინდოდა მისვლა, ჩალა მკლავზე გადავიფინე და სათიბში შევედი. ჩემი მიხსლოებით არ დამფრთხლან. აღმასა შესახვედრად გამოემართა. ირემაც წამოღდა. შუაში ჩავდექი და თითო ღერს მორიგეობით ვაძლევდი. მაღიანად ჩახარამუნეს. ჰამას რომ მორჩნენ, თოკი მარგილიდან ავხსენი და ჰიშკრისაკენ წავიყვანე. არ გაჭიუტებულან, ფეხდაფეხ მომყვნენ. შეიძლება, მიხვდნენ, ღელეში რომ მიმყავდა.

ღელის ცივი წყალი ესამოვანათ. მდინარე ისე აქარა იყო, კენჭებს დათვლილით. ღელეში სიგრილე იგრძნობოდა, ჭალაში — ხვატი. გადმოწნეილი ხის ჩრდილს შეეფარნენ. ღელიდან ამოსვლა არც უნდოდათ. მივუახლოვდი, მინდოდა, ტალახისაგან დასვრილი ფეხები და კუდი ჩამებანა, ზურგზე რომ გადამევლო წყალი, არც ის იქნებოდა ცუდი, არ გამიკარეს.

— შტერები ხართ. მე თქვენთვის ვცდილობ, თქვენ კი... — ტორი შევახვედრე ღელეს და წყალი ზურგზე შევასხი, ხან ერთს, ხან მეორეს. არ დამფრთხლან. ნებივრად მომიშვირეს ზურგი. თოკით უფრო ღრმა ადგილებში გავატარე, იქნებ ფეხებზე მიმხმარი ტალახი მოშორდეს. მეთქი, მაგრამ ამაოდ.

სათიბში დავაბრუნე.

სანამ ღელეში ვიყავი, მამას ბოლო ნაპირის ნახევარი გაეთოხნა და ახლა ისვენებდა.

— მამა, მოწვრები უღელში როდის უნდა შეება?

— ჰერ აღრეა, შვიფო, მუხლი და კუნთები გაიმაგრონ. დამყოლნი თუ დარჩნენ, აღბათ, გაზაფხულზე ვსინჯავ, სიფიცხე თუ გამოიჩინეს, ცალუღელათი დავიწყებ.

ვიცი მე, რაც არის ცალუღელა. იგი ურა ხარების სატანჯველია.

ოთხი მეტრი სიგრძის ერთი უღელი ღერძის ირგვლივ ტრიალებს. შიგ ურა მღვერს შეებამენ, ყველა მხრიდან ჰანინი კაცები ამოუდგებიან და წრეზე დაარბენინებენ. ვაი იმ მოწვერს, რომელიც გაუძალიანდება, მას ზურგს შოლტით აუჭრელებენ. ღერძის ირგვლივ ცალუღელით მანამ დაარბენინებენ, სანამ არაქათი არ გამოცვლება. არაქათგამოცლილი ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს. ასე გრძელდება მთელი კვირა. შემდეგ ურემში შეებამენ და იქაც უღმერთოდ წვრთნიან. ურა ხარებს ხიდზე გასვლა აშინებთ. აღბათ, ეს იმიტომ, რომ უუღლო პირუტყვი შუა ხიდზე გადის. როცა უღელშია შემბული, ხიდის კიდეზე უწევს გავლა და ეს აფრთხობს.

ირემასა და აღმასას ვერც ცალუღელასათვის გავიმეტებ და ვერც ურემში გასაწვრთნელად. თავიანთ ხედრს, როგორმე, დავიდარაბის გარეშე უნდა შევაჩვიო.

\* \* \*

აღამიანმა ლომი და ვეფხვი გაწვრთნა, გველიც მოათვინიერა, ცირკის არენაზე სელაპიც მინახავს. რომ მოვიწოდო, ნუთუ ირემასა და აღმასას ვერ გავწვრთნი, ცალუღელას ვერ ავაცილებ? ეს ფიქრი თავიდან არ მოშორდებოდა, მაგრამ მარტო ფიქრი, რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველიდა. მალე ზაფხულის არდადეგები დადგა. დრო საკმარისად მქონდა. მოწვრების მოვლა ჩემს თავზე ავიღე.

ირემასა და აღმასას მშვიდი, დამყოლი ხასიათი აღმოაჩნდა. რაკი დარწმუნდნენ, რომ მე მათი პატრონი და კეთილისმყოფელი ვიყავი, აღარ მიფრთხოდნენ. მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა. აღერსიანმა შიპკრობამ, კარგმა კვებამ თავისი გაიტანა.

მამამ სოფო და სიმინდი საგანგებოდ მათთვის დაუქვა. ფკვილს ერთმანეთში ვურევდი და ვუღუღებდი. როცა კარგი ამინდი იყო, ჭალაში მიმყავდა. ყანებში ნედლი ბარბაქო უხვად იყო, თან ვაძოვებდი, თან ბალახს ვუჭირდი. ისე შემეჩვივნენ. ლაჭებში რომ გავძრობოდი, ან კისერზე რომ ჩამოვკიდებოდი, არ დაფრთხებოდნენ. განსაკუთრებით შეიყვარეს სამონელით დავარცხნა. პირველ ხანებში, როცა მოზვრებს ვეფერებოდი და ვენვეოდი, ნადირა ბრაზობდა, იღრინებოდა. ეს ექვიანობით მოსდიოდა. ყურადღება არც მას აკლდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტს ითხოვდა. ნადირაც ისე შეეთვისა პირუტყვს, დამე მათთან რჩებოდა. ერთხელ ჭალაში მივდიოდი. წინ ნადირა მიგვიძლოდა, შემდეგ მოზვრები, ბოლოს მე. ორღობეში სამი ქოფაკი თამაშობდა. როგორც კი ნადირას თვალი ჰკიდეს, ერთმანეთის წაქეზებით შესაბრძოლებლად გამოქანდნენ. ნადირამ ჭერ შემომხედა და ბეწვი ყალუზე დაუდგა. ერთი ან ორი ძალი ნადირას ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ სამთან ბრძოლა ადვილი არ იყო. პირველს გაბედულად დაუხვდა და შემოდან მოექცა, მაგრამ დანარჩენი ორი უმაღვე გაჩნდა და ბრძოლაში ჩაება. გაუჭირდა ნადირას. სანამ ღობიდან წნელს გამოვიღებდი, უცნაური რამ მოხდა, ჭერ ირემა, შემდეგ აღმასა ადვილს მოწყდნენ და ნადირას მიგვეღუნენ. იმ არეულობაში, მივივრის, მოზვრებმა ნადირა როგორ გამოარჩიეს. ირემამ მეზობლის ძაღლს რქა ისეთი ძალით მოუქნია, ძალი ვეღარ წამოდგა. გაავებული ხარები რომ ნახეს, დანარჩენებმა თავს უშველეს. იმ ქოფაკებს ამის შემდეგ შუკაში ჩადგომა აღარ გაუბედავთ.

ასე გავიდა ორი თუ სამი თვე. არდადეგები შეუმჩნევლად მიიწურა. მოზვრები უკვე ხარებს დაემსგავსნენ. ამაღლდნენ, ბეჭები გაშალეს, ფეხები დაეკუნთათ, რქები გაუზარდათ. ზოგჯერ, როცა მოუცლელი ვიყავით, ცოლში მოღზე მივუშვებდით. რამდენჯერ შემინიშნავს, მეზობლები შეჩერდებოდნენ და ნატვრით ათვალიერებდნენ. მოზვრებს რომ შეაქებდნენ, გული სიხარულით მეგებოდა.

ერთხელ თითო კასრი მსხალი დავუჩხეხე და დავუდგი. სახლში მარტოდ ვიყავი. სურვილი ამეკვიპატა, გამეგო, ჩემგან უღელს თუ დაიდგამდნენ. მამას ხულის სხვენში ძველი, სათადარიგო უღელი ჰქონდა. უღელი ჩამოვიტანე. თასმები არ გამიკეთებია. მოზვრებს მსხალი ამოეთავებიათ და ახლა ერთმანეთს ეძიძილავებოდნენ. მივედი, უღლის მანძილზე ერთმანეთის გვერდით დავაყენე. უღელი მოვიმარჯვე და კისერზე დავადგი. ირემა მაშინვე დამყვა. აღმასამ იუცხოვა და თავი გაქნია, მაგრამ როგორც კი სვლით მოვეფერე, დამშვიდა. ჯიბეში წინასწარ მომარაგებული მსხლები გავუწოდე. სანამ მსხალს ჭამდნენ, ისე გამყენენ რამდენიმე ნაბიჯზე, უღელი გადააწვიწყდათ. ისევ მსხალი მოვიმარჯვე. ასე გავიმეორე რამდენიმეჯერ. მგონი, მიხვდნენ, რომ უღელი ქვეყნის დაქცევა არ იყო.

ჩემს მოზვრებს დაშაქრულ-დაჩხილი მსხალი სიამოვნებდათ, მე მათზე უღლის დადგმა. ასე გავიმეორე რამდენიმე დღე. შედეგი ურიგო როდი იყო. ერთხელ დედა შემესწრო. საღამოს მამას უსაყვედურა.

— შენ დამიღუპავ მაგ ბიჭს, მოზვრების გადამკიდე, სწავლას შეაძულე.

— დედაშენი მართალია, შვილო. უსწავლელი კაცი ქურში მყოფსა ჰგავს. შენ უნდა ისწავლო. — მამამ ტკბილად დამიყვავა და თავზე ალერსით გადამისვა ხელი.

მე არ ვაპირებდი სწავლაზე გულის აცრუებას. არც ის მინდოდა, მთელი ცხოვრება უღელში შებმულ ხარბზე მედენა. ვიცოდი, რომ ურემი წარსულის მოგონებად დარჩებოდა. მოტორების საუკუნეში ურმისათვის ვის ეცალა, მაგრამ ჭერჭერობით არც უმისოდ ივარგებდა. ხარი მხოლოდ გამწვევ ძალად არ მიმაჩნდა. იგი ოჯახის ბურჯი, მოსაფერებელი, ერთგული ცოცხალი არსება არის. სოფლის ორღობეში

თავით, ჩაღლით ან სიბინდით დატვირთულ ურემს რომ ვბედავდი, გული სიხარულით მევსებოდა. არ ვიცი, რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ სოფელი მიყვარდა, შეიძლება იმიტომაც, რომ ხარები მამაჩემსა და სხვებს შრომას უმსუბუქებდნენ.

ასე იყო თუ ისე, ვცდილობდი ჩემს ირემასა და აღმასას „სასწაულები“ მოეხდინათ, დაპერწმუნებინა სოფელი, რომ შოლტისა და ცალუღელას გარეშეც შეიძლებოდა ხარების მოთვინიერება და გაწვრთნა. თითქოს ჩანაფიქრს მიმიხვდნენო, ირემა და აღმასა მთლიანად მომენდნენ, წინააღმდეგობას არაფერში მიწევდნენ. ისე შევაჩვიე მაინც ვერ ვბედავდი. თუ დაფრთხებოდნენ, უღელს ადვილად მოიშორებდნენ. ურემებს მივეყვით. გენახათ მეზობლების გაოცება.

იმ დღეს ურმით მთელი სოფელი ზღვაზე წავიდა საბანაოდ. მეც მოვემზადე, სადღილი და ნამგალი ჩანთაში ჩავდე, მოზვრებს უღელი დავადგი და მეზობლების ურემებს შორის ჩავყენე. დაიძრა „ქარავანი“, ირემასა და აღმასას წინ ჩავუღეკე და ურემებს მივეყვით. გენახათ მეზობლების გაოცება.

— შენ, მაგათ ურემებშიც ჩქარა შეაბამ, ყოჩაღ, ვაჟა! — შემაქო ალიოშა ხომერიკმა.

— რაღა ფეხით მიდიხარ, მოდი ურემზე ჩამოკეკი, ისედაც მოგყვებიან, — მირჩია გურამა ჯაბუამ, ასეც მოვიქეცი, გურამას ურმის ბოლოში ჩამოკეკი, მოზვრებმა გაკვირვებული კი შემომხედეს, მაგრამ რაკი ნახეს, რომ შორს არ წავსულვარ, მშვილად მომყვნენ.

— ბიჭო, ვაჟა, რაკი ისეთი მოხერხებული ხარ, რომ მოზვრები შენს ქუაზე დადიან, იქნებ არონასაც უშველო რამე, ვერც სახლისაკენ მოახედეს, ვერც სკოლისაკენ. ბარემ თებრონას მაღლიც მოიკიდო.

დამიანეს ნათქვამმა მეზობლები ხუმრობის განწყობილებაზე დააყენა. საქმე სოფლის გლახას ეხებოდა. თებრონე მთლად დალაგებული არ იყო. იქნებ რაიმე ეშველოსო, მეზობლებმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. გარეგნულად არა უშავდა რა. შავი თვალ-წარბი, ღამაში ტანი. საავადმყოფოდან თებრონეს დაბრუნების შემდეგ ქვეყნას არონი მოვედინა. თებრონე რა იყო და მისი შვილი რა იქნებოდა. ღუშმა პურს დანატრებული, ხან ერთი მეზობლის კარზე იყო, ხან მეორესთან. სამოწყალოდ გამონაცვალი ტანსაცმლით მოსავდნენ. არც დამხმარე ჰყავდა, არც მფარველი. ასე ჰაიპარად მყოფი არც თავისთვის ვარგოდა, არც თებრონესათვის.

— დამიანე, — არ შევარჩინე ქილიკი, — თებრონე შენი მეზობელია, არონაც ნამეტანი დაგმსგავსა, მე მგონი, ასე ადვილად ხელს ვერ დაიბან. — ჩემი ნათქვამი ხარხარით გადავიდა ურმიდან ურემზე. თითქოს სილა გააწნესო, დამიანე ჯერ ციცხლივით წამოენთო, შემდეგ თავი ჩაქინდრა.

იმ დღიდან ერთი კვირის შემდეგ მართლაც „სასწაული“ მოვახდინე. ქალაში ნორჩი თხმელის ხე მოვკერი, ტოტებისაგან საგულდაგულოდ გავწმინდე, რომ მოზვრებისთვის ფეხები არ გაეკაწრა. უღელზე თოკით გამოვავი და მინდორში გავათრევი. პირველად ორთავე დაფრთხა და გვერდზე გაიქანენ, გაუკვირდით, მათთან ერთად რატომ მისრიალებდა ამოდენა ხე. რაკი დარწმუნდნენ, რომ ხე მათ არაფერს ავნებდა, ნელ-ნელა შეეჩვივნენ. საღამოს ის ხე სახლში ამოვათრევი. მამაჩემს ისე გაუფართოვდა თვალები, ნამდვილ „სასწაულად“ მიიჩნია. დროა, ახალი ურემი გავაკეთებინოო, მითხრა.

სექტემბერში ღამით სიცივეები დაიჭირა. მოზვრები მამამ სადგომში გადაიყვანა, თივის დამზადებისა და სიმინდის აღების დრო მოახლოვდა. მამა ყოველდღე ქალაში მიდიოდა და მოზვრებიც თან მიჰყავდა.

ერთხელ, შუაღამით, ნადირას განწირულმა ხმამ გამოგვადვიდა. მამა წამოიჭრა და სინეულში სკამი გადააყირავა. ხელების ფათურით კარადასა და კედელს შორის შენახული თოფი მოძებნა. ნადირა მთელი გააფთრებით ებრძოდა ვილაცას. ეზოში შემოხეტებულ პირუტყვს ასე არ გაიმეტებდა. ეტყობოდა, ადამიანს ებრძოდა, ისეთს, რომელიც მას წინააღმდეგობას უწევდა. ძაღლს ხმაზე ეტყობოდა, ადგილს ინაცვლებდა და უცხო სხვადასხვა მხრიდან უტევდა. მოულოდნელად გაისმა ილაჭაწყვეტილი ძაღლის შეკივლება. აშკარა იყო, მოძალადე სარით მიწვდა. სწორედ იმ დროს მამაჩემი აივანზე გაიჭრა და თოფიც დააქუხა. ეტყობოდა, მომხდურებმა იკადრეს გაქცევა. ნადირას ტკივილიანი წკაფწკაფი ბაღის მხარეს გაგრძელდა. ტანთ ჩავიცივი. დედას ღამეები აივანზე გაეტანა. ეზო საკმაოდ იყო განათებული. იარაღმომარჩვებულმა მამამ კიბე ჩაათავა. ნახევრადგანათებულ ეზოში ადვილად შენიშნა, რომ მოზვრების სადგომის კარი ღია იყო. შემოფოთებული სადგომს მივარდა. მოზვრები ადგილზე დახვდა. თოკში რომ არ განსართულიყო, მამა მოზვრებს ღამით არ აბამდა. ქურდებს აღმასასთავის რქებზე თოკის გამოშმა მოესწროთ. ეზოში შემოსასვლელი ჭიშკარი ღია იყო... ბაღის მხრიდან ნადირა ღახღახით დაბრუნდა, უკანა ფეხებს ძლივს მოათრევდა.

— ამ ძაღლმა ოჯახი გადაშირჩინა. ხერხემალი ხომ არ გადაუმტვრიეს? — მამაჩემი ნადირასთან ჩაცუცქდა და ფრთხილად ზურგი გაუხსნა. შემდეგ მეც მივუაღერე. აღერსით ნასიამოვნებმა თავი კალთაში ჩამიდო. აღერსი ნადირას ყველაფერს ერჩია. ძაღლი მტრულად უნდა გაზარდო, ავი გამოვავო, ამბობდნენ სოფელში. ნადირა მოფერებაში გავზარდეთ, მაგრამ არც გამბედაობა აკლდა, არც ძალა.

მამამ აღმასას თოკი მოხსნა.

იმის შიშმა, მოზვრები არ მოშპარონო, მამა საგონებელში ჩაავადო.

ქურდებს შემდეგ აღარ შეეუწუხებივართ. მამაჩემი მოზვრებს უშეთვალყუროდ მაინც არ ტოვებდა. სათიბში თუ ჩააბამდა, თვითონაც იქვე იყო.

შემოდგომა ბარაქიანი დაგვიდგა. ყურძენიც ბლომად დავეკრიფეთ და სილიც-სიმინდის, თივისა და ჩაღის ამოტანაზე ისევ მეზობლებმა გაგვიმართეს ხელი. გაინად ჩემი ხარებით ორმაგად გადავიხდითო, მამაჩემი ყველას გულუხვად პირდებოდა.

გაზაფხულზე ილიკო ჯაბუამ ისეთი კოხტა და ქათქათა ურემი გავვიკეთა, ტალახში დასასვრელად ვერც გაიმეტებდით. ახლოვდებოდა ირემასა და აღმასას მთავარი გამოცდა. ურემს რომ შეჩვეოდნენ, თივასა და ჩაღას ურემზე ვუყრიდით. ზოგჯერ ურემის უღელსაც ვაჩვევდი, ურემთან დგომას ვასწავლიდი. დროს თივისი გაჰქონდა, მოზვრები კი არა, ჯანიანი ხარები გახდნენ, — ჯიღა კისრით, განიერი ზურგით, ვეებერთელა წვეტინი რქებით, ბრიალა თვალებით. ჩემთან მაინც საოცარ ლმობიერებას იჩენდნენ, კისერზე რომ ჩამოვკიდებოდი, ზურგზე რომ შევხტობოდი, წინააღმდეგობას არ გამიწევდნენ.

დადვა გამოცდის დღეც. კვირას მამამ რამდენიმე მეზობელს დაუძახა, უღლის თავებში თოკები ჩააბეს, თოკები ურემის მესრებსაც გამოაბეს. მამას ვთხოვე, ჯერ ჩემთვის ეცლიათ, თუ ვერ მოვერეოდი, შემდეგ მომშველებოდნენ. ურემში შებმას თუკი მშვიდად მოვახერხებდი, რაღა შოლტით და გამათრახებით დაგვეწყო. ხარები მორიგობით ურემთან დავაყენე და სალაფავი დავუდგი. კასრები რომ ამოლოკეს, სიმინდის



ტაროს ნამტკრვეი მივეცი და სანამ აქუცმაცებდნენ, უღელში შევაბი. დაჭრილი ვაშლებით ჭიბე სახე მქონდა. ჭერ ვაშლებით ამოვუსხე პირი, შემდეგ წინსადგარი გამოვუშე და ადგილიდან დავძარი. ისე მომყვნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ახალ, ქათქათა ურემს დაშენდა ტანაყრილი, ნაპატივეი ხარები. ისე მშვიდად მომყვებოდნენ, როგორც გაწვრთნილი პირუტყვი. მსუბუქად მოარინობდნენ ურემს.

— გიორგი, თუ არ გვირდებოდი, რაღას მოგვაცდინე? — ურმის მესერს ჩაბალუქებულმა ალიოზმა ხომერიკმა იქიდანურად გადასძახა მამაჩემს.

— შენ, ეი, ენას კბილი დააქირე, — დაუცაცხანა გურამა ჭაბუამ, — შებრაწული ქათამი და ჩაციებული ღვინო არ დამაკარგვინო.

— ჰო, მაგაზე არ მიფიქრია. ხარ-ურემს დალოცვა უნდა. — დაეთანხმა ალიოზმა.

ასე სიცილ-ხარხარით სოფლის ბოლომდე ჩავედით. უკან აღმართი უნდა ამოგვევლო. მოხვევა არ ესიამოვნათ, ეს „გაკვეთილი“ არ ჰქონდათ გავლილი. აღმასა ურმის ღერს უხერხულად დაეჭხა, მაგრამ არ დამფრთხალა. აი, ურმის თვალი ფეხზე რომ მოხვდა, მაშინ მარდად გახტა, მაგრამ ტკბილი სიტყვით დავამშვიდე. ყველაფერი ამით დამთავრდა.

ასე გადიოდა დღეები და თვეები. ირემა და აღმასა შეეგუნენ თავიანთ ბედს. რაც მთავარია, მამა თავიდანვე უფრთხილდებოდა, დიდი ტვირთით ილაჯს არ უწყვეტდა. ერჩია, გზა ორჭერ გაველო, მხოლოდ კი ხარები არ გატანჯულიყო. ისეთ ხარებს, გიორგის რომ ჰყავს, მთელს დუნიაზე ვერ ნახავო, ამბობდნენ მეზობლები. ალბათ, ეს ასეც იყო. განსაკუთრებულმა მოვლამ და უურადლებამ თავისი გაიტანა: მორგევიორ სქელი კისერი, ზვინივით დადგმული გავა და თემოები, დაკუნთული ფეხები, დიდრონა ბრიადა თვალები და შიშის მომგვრელი რქები. — ასეთი გახდნენ ჩემი ირკა და აღმასა. მამაჩემი დახმარებაზე უარს არავის ეუბნებოდა. მხოლოდ ეს იყო, რამ ხარ-ურემს არავის ათხოვებდა, თავად გაჰყვებოდა. სხვის ხელში პირუტყვი წუნს იცვლილი, იტყოდა.

მეთე კლასში ვსწავლობდი. ხარ-ურემთან ჩემი განშორების დრო ახლოვდებოდა, ცხოვრებაში ბედი სხვა ასპარეზს მიმზადებდა. სანამ სოფელში ვიყავი, სულ იმას ვცდილობდი, მშობლებისათვის ტვირთი შემემსუბუქებინა.

იმ შემოდგომაზე ზაფხულივით თბილი დღეები დაიჭირა. ტენაკრეფის უამრავი შემოჰქრა. კვირა დღე იყო. მეზობლებთან ერთად ზღვისპირა ყანებისაკენ ვაღწევით. ნაშუადღევს ურემი სიმიინდით დავტვირთეთ, მამამ ნითზრა, ხარებს გავყოლოდი, ურემი ეზოში დამებირქვავებინა და ისევ უკან დავბრუნებულეთყავი. მანამ ოეთონ ჩაოას შეკრავდა და წასაღებად მოამზადებდა. ურემს წინსადგარი გამოვაცალე და ხარებიც დაიძრნენ. მე ურემზე წამოვწყვი. ხარებს მსუბუქად მიჰქონდა ტვირთი. კალის ბოლოში რამდენიმე მეზობელი ფონში ღერძამდე ჩაფლულ სიმიინდით დავტვირთულ ურემთან ჭახირობდნენ. ვიცანი სილოვანას ჰიამკვდარა ხარები. იმდენი ეცემათ, ზურგზე შოლტის კვალი ზოლებად აჩნდათ. არაქათგამოცლილები ტალახში ჩაწოლილიყვნენ.

— ვაჟა, თუ კაცი ხარ, შენი ხარები ჩაუბი, — წინ გადამიდგა გურამა ჭაბუა. — ამ სამგლეებთან ნახევარი დღე დავკარგეთ. ისიც ვიფიქრეთ, სიმიინდი ჩამოგვეცალა, მაგრამ ეს უღელურები ცარიელ ურემსაც ვერ ამოიტანენ.

— ხილით ვერ გაიყვანა? ღელეში რა ჭანდაბა უნდოდა? — თავი ვერ შევიკავე.

— სილოვანას ამბავი ხომ იცი, ხარებისთვის მთელი დღე წყალი ვერ გაიმეტა და ბატონო, პირდაპირ ღელეში გაქანდნენ.

მეზობელს ლაფში ჩაფლულს ხომ არ დავტოვებდი. ურმიდან ჩამოვხტი და წინსადგარი დავუყენე.

— ხარები გამოსენი და უღელიც გამოიდე. — გადავძახე სილოვანს.  
— უღელი თელისა, კი გაუძლებს. — სილოვანს შეეჯარა უღლის გამოღება.  
— შენი ქეციანი ხარების უღელს ჩემს ხარებს ვერ დავაღვამ. — გადაწყვეტით  
ვუთხარა.

— ყოჩაღ, ვაჟა, ნამდვილად გიორგის შვილი ხარ. — შემაქო გურამამ.  
ჩემს ხარებს ჯაფა არც დასდგომიათ. დატვირთული ურემი ხუთიოდე წუთში მშრალ-  
ლეგ გაიტანეს. დასვრილი ხარები ღელეში ჩავაყენე და ფეხები ჩავბანე.  
— ყოჩაღ, ვაჟა. სილოვანა ასე შვილს არ პატრონობს. — გამაგონა გურამამ.

\* \* \*

ქალაქიდან დაბრუნებულს სოფელი შეცვლილი დამხვდა. სადღა იყო აღრინდელი  
სიმშვიდე და მყუდროება. წინათ განთიადზე ჩიტის ჭიკჭიკი მალვებდა, ახლა მოტო-  
რების გუგუნე და სატვირთო ავტომანქანების მორყეული ძარის რახარახ გვისპირეთს  
იკლებდა. ამას ემატებოდა ტრაქტორებისა და მოტოციკლების ხმაური, მსუბუქი ავტო-  
მანქანების გაუთავებელი საყვირები. მთელი დღე შარაზე მტვრის ბული ნისლივით  
იღვავდა. გლეხკაცმა ნელ-ნელა ხარ-ურემზე ხელი აიღო და ტექნიკას შეესისხნობოცა.  
სოფელს სიღამაზეც მოაკლდა და სიმსუყეც.

სანამ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ხარ-ურემი სოფელში თითზე ჩამოსათვლელი  
დარჩა. წინათ შუკები პირუტყვით იყო სავსე. ხარიც ბევრი ჰყავდათ და ძროხაც.  
უხარობა ძროხებსაც დაეტყოთ. ქალაში ძველებურად აღარც თივას ამზადებდნენ,  
აღარც ჩაღას. პირუტყვის შემცირებამ ხორცი გააძვირა, მაგრამ ხალხის, მით უფრო,  
ქალაქელთა ასეთ სატიკვარზე არავინ იწუხებდა თავს. ირემა და აღმასა მამჩემს ქვეყა-  
ნას ერჩია. მათი წყალობით სიმინდიც ბევრი ჰქონდა, კვახიცა და თივაც. არც ციტ-  
რუსის ბაღს მოჰკლებია ნაკელი. მეტი მოწონება დაუდგათ ხარებს, მაგრამ სამიოდე  
ხარ-ურემი მთელი უბანს რას ვაწვდებოდა.

სამაგიეროდ ჩვენს უბანს გარეგნულად დაეტყო ფერისცვალება. კარგი გზა გაიყ-  
ვანეს, მამა-პაპეულ ჭადართან დიდი მალაზია ააშენეს, ომში დაღუპულთა სტენდთან  
ტალავერი ამართეს და შიგ ფიცრული მაგიდა დადგეს.

შორს არ ვიყავი, თბილისი ერთი ღამის სავალზეა, მაგრამ ჩემს კუთხეს, ჩემს  
სახლ-კარს როგორც მოვშორდებოდი, ნოსტალგია სულს მიმძიმებდა. რაღაც უხილავი  
ძალით ვიყავი მიჯაჭვული მშობლიურ ფუძეს. გულითადი მეზობლები, თანშეზრდილი  
მეგობრები და, რაც მთავარია, ჩემი დანახვით აცტებულნი ნადირა, ჩემი ირემა და  
აღმასა თითქოს ყოველ წუთს მიხმობდნენ თავისთან. პირუტყვი პირუტყვია, მაგრამ  
ისინიც ხომ ადამიანის მსგავსად კეთილსინდისიერად იხდიან ქვეყნისა და კაცის ვალს.  
ახლა გრძნობასა და სიყვარულს არ იტყვიან? ვინ თქვა, პირუტყვი მხოლოდ ინსტინქ-  
ტებით მოქმედებსო. ჭიშკარს რომ მივადგებოდი, ირემასა და აღმასას თვალეში სით-  
ბო ჩაუდგებოდათ, სანდომიანად შემომამჩერებოდნენ, მოსაფერებლად თავსა და  
კისერს მომიღერდნენ. გრძნობის ასეთი გამოხატვა ნუთუ მხოლოდ ინსტინქტთაა  
დაკავშირებული? ან ჩემი ნადირა, თავის ფიქრსა და სურვილს ზოგჯერ ისე გამოხა-  
ტავს, ისე მოგაჩერდება და აყფფდება, ალაპარაკებას აღარაფერი აკლია. მიმძიმდა, ძა-  
ლიან მიმძიმდა მათთან განშორება, მაგრამ ცხოვრებისეული მოწოდება ჩემს სურვილ-  
ებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

როგორც იქნა, ზაფხულის არდადეგებზე დადგა. ჩამოსვლის პირველსავე დღე  
ჩვენი უბნის ცენტრს მივაშურე. შუადღე გადასული იყო. ტალავერში, მით უფრო, სა-

დამოს, ქალები და კაცები იკრიბებიან. იქ იგებენ ერთმანეთისა და ქვეყნის ამბებს. ქა-  
ლები ჭორებს ხვეტავენ, მამაკაცები, რა თქმა უნდა, პოლიტიკაში „ცურავენ“, მე რომ მი-  
ვედი, დომინოთი ერთობოდნენ, თან ნაფიქრალს ერთმანეთს უზიარებდნენ.

— ჩვენი ჩია, ციტრუსი, ღვინო, ჩვენი მარგანეცი და თუნდაც „ბორჯომი“, რაც  
თავი მახსოვს, რუსეთს მიაქვს. მაგათი ვალიდან მაინც ვერ ამოგვდით. რვა, ღმერთს  
სამართალი აღარ აქვს? — წამოიწყო ალიოშა ხომერტიკმა.

— ჩვენი ბიჭები „ბამს“ რომ გადააკვდნენ, საქართველოში გასაკეთებელი აღარა-  
ფერი დარჩა? ამბობენ 60 ათასი ცალი ატომური ბომბი გვქონია დამზადებული, ამდე-  
ნივე ტანკი და ქვემეხი. ქვეყანას მოსპობას ხომ არ ვუპირებთ? არ გვინდა, ბატონო  
ამდენი იარაღი, ჩვენი ნაოფლარი ჩვენ მოგვახმარონ. — ჩაუბრუნა ზურაბ სიორიძემ.

— შენი ეზოს იქეთ არ უნდა გახედო? — შეედავა მამია ქობალიანი, — „ბამზე“  
ბიჭები ინტერნაციონალურ ვალს იხდიან. რაც შეეხება ატომურ ბომბებს, ძლიერი თუ  
არ ვიქნებით, მტერი გადაგვთელავს.

— ერთი მითხარა, რა ხეირი დაგაყარა მაგ „ინტერნაციონალურმა ვალმა“? დაუ-  
პატეთებლმა „სტუმრებმა“ ჩვენი უტვინო ხელმძღვანელების წყალობით უბრძოლველად  
დაგვიპურეს. ესეც ხომ შენი „ინტერნაციონალიზმის“ შედეგია? — ვერ მოითმინა ალიო-  
შა ხომერტიკმა, — ბევრი ჩია მოგკრიფოთო, შრომის კოლმეურნეობაზე ასი ოჯახი გა-  
დამთიელი დაასახლეს. ექვს შვილზე ნაკლები არც ერთ ოჯახში არ ჰყავთ. ჩქარა ჩვენს  
ხალხს სახლის ჩასადგმელი კი არა, დასამარხი მიწა არ დარჩება.

— ალიოშა მართალია, — წამოეშველა გურამა ჯაბუა, — საქართველო გაშობილად  
გადაიქცა. ყველა აქეთ რომ გამოვბის, თაფლი ხომ არ გვცხია?

— თაფლი კი არ გვცხია, ბრიყვები ვართ, ჭკუა არა გვაქვს თავში. ამას წინა-  
ვოლგა-დონით ვიმგზავრე. შუა რუსეთში მილიონობით ჰექტარი ყამირი ხელუხლებე-  
ლია. საფრანგეთისოდენა ტერიტორია ზღვის ქვეშ მოუქცევიათ. რუსეთი აუთვისებე-  
ლია, მაგრამ ხალხი სხვა რესპუბლიკებში გარბის, 60 მილიონი რუსი ყოფილა გაფანტუ-  
ლი რუსეთის გარეთ. — ცეცხლზე ნავთი დაუმატა მასწავლებელმა.

შალიკო დოლიძემ უბნის მოედანზე ომისდროინდელი სტუდერი შემოარჩინა  
ეტყობოდა, აკუმულატორი არ უვარგოდა, მანქანა ჩაის პუნქტის გვერდით დაქანებულ  
ადგილას დააყენა და ჩვენ შემოგვიერთდა.

— მანქანა თავფერდზე რომ დატოვე, ხომ იცი, ეშმაკს არ სძინავს, ქვა დაველო. —  
უსაყვედურა მამულ გორგილაძემ.

შალიკომ იქეთ მიიხედა და ხელი ჩაიქინა.

— ჭკვიანი მანქანაა, უჩემოდ ფეხს არ გადადგამს.

— ჭკუა ღმერთს შენთვის არ მოუცია და მანქანისთვის რაღას გაიმეტებდა.

ალიოშას ქილიკს შალიკომ უყრადღება არ მიაქცია, გრძელ სკამზე ჩამოჯდა და  
დომინოს ქვები აკრიფა.

— წაგებულმა სამი ნახევარლიტრიანი ჩამოდგას. — შალიკომ ბაღე ესროლა ბიჭებს.

— სარფიანი დღე გქონდა?

— სანამ „შამილა“ კარგადაა. ყოველი დღე სარფიანი მაქვს.

თამაში გაჩაღდა, ოღონდ მოწინააღმდეგე ჩინში მოემწყვდიათ, ეშმაკობასაც არ  
ერიდებოდნენ. ატყდა დავა, ყვირილი, ხარხარი. დომინოს ქვებს ფიცრულ მაგიდაზე  
გამეტებით ურტყამდნენ.

— ვაიმე, მიშველეთ! — შალიკომ განწირულის ხმით წამოიყვირა და სკამიდან წა-  
მოიჭრა. იქეთ მივიხედეთ. სტუდერი ადგილიდან წამოიხდებოდა და კაბინის კარის ფანჯარა  
ნელა უმატებდა სიჩქარეს. კაბინის კარის ფანჯარა მეზობლის სტუდენტს წა-  
სვლით დაეშვა. მანქანის მძღველი  
ბიბლემოტა

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
საინფორმაციო ცენტრი



მოსდგომოდა და ამაოდ ცდილობდა კარი გაეღო. შეშფოთებული ბიჭუნა მთელი ხმით შევლას ითხოვდა. საჭის მხარეს ღია კარიდან მისი უფროსი ძმა გადმოხტა, თავი ეგრ შეიკავა და შარაზე პირქვე დაენარცხა. ეტყობოდა, თავნება ბიჭმა ჭერ ხელის მუხრუჭე განთავისუფლა, შემდეგ მანქანა სიჩქარიდან გამორთო და ნელ-ნელა დააგორა. იმდენი არ იცოდა, მუხრუჭე ფეხით დასწოლოდა. ონავარამ თავს კი უშველა, მაგრამ ძმა საფრთხეში მიატოვა. ასე ახლა ალიოშა ხომერკის ნათქვამი. ეშმაკს მართლაც არ ეძინა.

მანქანა რაც უფრო უმატებდა სიჩქარეს, ფანჯარაზე მომდგარი ბიჭუნას შიში იზრდებოდა, ახლა იგი მთელი ხმით ღედას უხმობოდა, მაგრამ ღედა რაღას უშველიდა.

— ჩაწიქი, ჩაწიქი! — მამულ გორგილაძემ დაყვირებასთან ერთად ხელით ანიშნა, საჯდომთან ჩამალულიყო. იგი მძღოლი იყო და ჩვენზე მეტად იცოდა, როგორ ჯობდა, მაგრამ გაოგნებულ ბიჭუნას არც ესმოდა და არც უნდოდა კაბინაში დარჩენილიყო. უბედურებას ვხედავდით და შველა არც ერთს არ შეგვეძლო. მარცხნივ გურამა ჯაბუას კარმიდამო იყო, მარჯვნივ — ხრამი. მანქანა ხრამში თუ გადაიჩხებოდა, ბავშვის გადარჩენა საეჭვო გახდებოდა. გურამა ჯაბუას ეზოსაკენ თუ გაქანდებოდა, ჭიშკარს შელეწავდა და შუა ეზოში მდგარი სახლი შეაჩერებდა. ხრამის წინ ჩაის პუნქტი იყო. ყველა იმას ვნატრობდით, პუნქტს დასჯახებოდა. ქვიტიკრისა იყო და ადვილად შეაჩერებდა. მანქანას ოცდაათობდე მეტრი გვაშორებდა. იგი რახრახით მიიწვედა წინ და სიჩქარეს უმატებდა. ჭერჭერობით ისე მიყვებოდა გზას, თითქოს ვინმე საჭეს მართავდა. ყველანი მანქანას დავედევნეთ, მაგრამ დაწვევა შეუძლებელი იყო. მანქანამ ჩაის პუნქტს გვერდი აუქცია და წამიერად თვალთაგან მოგვეფარა.

გზაზე გავიჭერიით. ერთ უბედურებას მეორე დამატა. შარაგზას შეშით დატვირთული ურემი მოჰყვებოდა. ტყუპის ცალეხივით ერთმანეთის მსგავსი წითელი ხარები. მალლა ატყორცნილი წვეტიანი რქები... ჩემი ირემა და აღმასა... მამაჩემი მშვიდად მოყვებოდა ურემს.

— გიორგი, გზა უტიე!

— გიორგი, თავს უშველე! — მეზობლები ერთბაშად აყვირდნენ. საშინელების მოლოდინში ყველანი ადგილზევე გაირიხდნენ. წამის წინ ბავშვზე ვდარდობდით. ახლა უფრო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდით. ეტყობოდა, მამაჩემი მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მან ხარები დასაღუპად ვერ გაიმეტა, ალბათ, გაიფიქრა, იქნებ გადავარჩინო. ასაკისათვის შეუფერებელი სიმარლით ურემზე აიჭრა და გზიდან მარცხნივ რომ გადაეგდო, შოლტი გვერდიდან მთელი ძალით აღმასას დასცხო. მანქანა ისე სწრაფად გაჩნდა ურემთან, ხარებმა გზიდან გადახვევა ვეღარ მოასწერეს. დაჯახების ხმამ იქაურობა შესძრა, მანქანა ერთხელ მომაკვდავივით შეჯანჯარდა და გაჩერდა, დაჯახების დროს რაღაც ძალამ მამაჩემი ჰაერში აიქნია. სწორედ იმ დროს თვალთ ბინდი გადამეფარა და ჩავიკეცე. მაგრამ ეს ერთ წამს გაგრძელდა. მამაჩემისა და ხარების ზვედრმა უმაღლე მომაფხიზლა. ვილაცამ ხელი წამავლო და მანქანისაკენ გამიტაცა. მანქანასთან გავჩნდით. მამაჩემი კაპოტზე ეგდო. რეტდასხმული ამაოდ ცდილობდა რაღაცას მობლაუქებოდა. შევნიშნე, შუბლიდან და გადატყავებული იდაყვიდან სისხლი ხდიოდა, ურმისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მხოლოდ ცნობიერებაში ჩამრჩა, რომ სულ-მოობრძავი ხარები მიწაზე ეყარნენ. მამა კაპოტიდან ჩამოვაცურეთ და მწვანეზე დავივიეთ.

— ბავშვს უშველეთ, ბავშვი გამოიყვანეთ! — აყვირა ალიოშა ხომერკი, ხალხის მხრიდან კაბინის კარი ჩაჭედილიყო. ვილაცამ გონწასულა ბავშვი მკორე მხრიდან გამოიყვანა.

— ხარები დამელუა? — ძლივს ამოღერდა მამამ. მაშინ გამახსენდა ურემი. საღა

იყო თვალგებრილა, რქებაშოლტილი ირემა და აღმასა. ჭილა რქები სისხლსა და ტვინში ჰქონდათ არეული.

ბიჭებმა მანქანა ოდნავ უკან დასწიეს და ურემს მოაშორეს. გურამა ჯაბუამ ჭიბის დანით ტაბიკის თასები გადაჭრა და დამსხვრეული უღელი ხარებს კისრიდან მოაშორა. სხვებმა თვლებიანად აყირავებული ურემი არხის მხარეს გადააგდეს. შარაზე დარჩა ერთმანეთის გვერდით გართხმული ჩემი ირემა და აღმასა. სიცოცხლის ნიშანწყალი არცერთს არ ეტყობოდა. ცრემლი მომერია. რა უცბად ჩაქრა ყველაფერი. ჩავიჩოქე და აღმასას ბეწვზე გადავუსვი ხელი. ჭერ კიდევ თბილი იყო, კანქვე რომელიღაც ნერვი ტოკავდა.

საიდანღაც ნადირა გაჩნდა. შეჭგუფებულ ხალხში გზა ჩემსკენ გაიკვლია, დახრილი რომ მნახა, მომვარდა და სახე გამილოკა. შემდეგ ხარებთან მიიჭრა, მაგრამ მათ სიცოცხლის ნიშანწყალი რომ ვერ შეატყო, ხუთიოდე ნაბიჯით გაგვერიდა და გულის ამაკვნესებელი ყმული გააბა. მისი ხმა მწუხარების ზარივით ეფინებოდა იქაურობას.

\* \* \*

ამის შემდეგ დიდი ხანი გამოხდა. ირემასა და აღმასას შაინც ვერ ვივიწყებ. ზოგჯერ სიზმარშიც ვხედავ; სადმე კარგ ხარს რომ დავლანდავ, შევჩერდები და სიამოვნებით შევეყურებ. ვისაც სოფლის შუკებში ტაატით მიმავალი ხარ-ურემი არ უნახავს, მას არც სოფელი უნახავს...



### დრო და პოეზი

#### კოსმოსის მხედარი

მომნუსხველ დღეთა მღუმარების  
ჯვარზე გაკრული,  
მთელი სიცოცხლე ჩუმად  
შესთხოვ

ელაის შველას.  
მიწის მკვიდრთაგან  
არავის ელი,  
ნისლივით კრთები  
რიდემორღვეულ ვარსკვლავეთში  
წვიმის მხედარო,  
ზღვის სივრცეა შენი მშობელი.  
კმუნვა ვიფარავს  
უმწეობით ძღვევამოსილი.  
ბედმა ვარგუნა  
აბრაამის ყველა სიკეთე,  
გაკურთხა მეფედ,  
ყვავილნარის სათნო მებაღედ  
და თეთრი რაში  
შეგირჩია ღამის მეგზურად!  
საგზლად იკმარე  
დროის სევდა, დაუთრგუნავო,  
ტეთისის ცრემლი — გამხელილი  
ზღვის სამღურავი.

#### წამებულის კეგლი

მერაბ ბერძენიშვილს

ვით ამეთვისტო, განძი აღქმული,  
ან უსხეულო ხატი მინანქრის,  
ინატრე ხატი უკვდავ წინაპრის,  
მწუხარე ლანდი ჩვენი წარსულის.

ავთანდილივით ხან მზეს ეყრები,  
ავთანდილივით ხან იფერფლები,  
შეფარვით შესთხოვ ციურ  
მხედრობას,  
რომ ქეთევანი აღდგეს ვედრებად.  
სამეფო თვისი კვლავ განიკითხოს  
ლოცვით განკურნოს ივერის  
წყლული.  
ღრმად დაიმარხა მან ქრისტეს  
სიტყვა:  
„ემსგავსე უფალს და იყავ  
სრული“.  
ზურგი აქცია ნიღბების თამაშს,  
საწუთროს მსჯავრთან სევდიან  
კამათს,  
სვლა გაუმრუდა შირაზის შამათს,  
ცეცხლში გასრულდა შირაზის  
ღრამა,  
ობლად იღვწოდა, ობლად ეწამა,  
ობლადვე გასცდა ზეციურ  
სამარს,  
სხვა მადლი ეცხო დედოფლის  
ამაგს. —  
ნისტერიაა შირაზის ღრამა.

#### აუტოდავი

მწუხარებისგან დაზაფრული  
ვილისებრით  
უბრად ვისხედით,  
საწუთროსგან გაძევებულნი,  
ღია სარკმელთან გვიდარაჯებდა  
გაქვავებული უაზრო სივრცე.



არც კი გიკითხავს —  
 სიკვდილმისჯილის თეთრი ფლასი  
 როდის, ან რატომ გადაგვაცვეს.  
 დედაშვილობაც გამქრალიყო:  
 დებად ვიქეციოთ,  
 ჯადოსნურ კვერთხის მოლოდინით  
 შეძრულ ფრთოსნებად.  
 თმაგაშლილ ალთა ურიაშული  
 ისმოდა სადღაც,  
 ბრმა განაჩენი გამოჰქონდა  
 ნაცრისფერ ტალღას.  
 ეს იყო წამი უმედო,  
 უკანასკნელი,  
 სარკმელთან ცივი  
 წინათგრძნობით  
 როკავდა გველი,  
 გაოგნებული დაჰყურებდა  
 ცის ანგელოზი  
 ამ უბედობის დღესასწაულს:  
 კუდიანებმა გაიხსენეს ძველი  
 არული,  
 სამსხვერპლო ცეცხლთან თითო  
 გრძნეულმა  
 თავისი წილი ფიჩხი მოზიდა.  
 ერთი მჩხიბლავიც აღარ დარჩა  
 დაუდაფნავი;  
 ჩამოითხოვეს ბროლის ქოში,  
 ბეჭედი პრინცის,  
 აღზევდა ბევრი ნათესავი  
 თუ ძმადნაფიცი.  
 ლოტოსის ჩრდილში  
 ბობოქრობდა,  
 მედეას ლანდი,  
 გრძნეულ მუდარით მოუხმობდა  
 ჰეკატეს აჩრდილს.

**კაცი კამელიავით**

შენ, მამაჩემო, გერგო ბედი  
 ლტოლვილი ვედის:  
 ვაჭარს დაუთმე ასპარეზი და  
 ალავერდი,  
 რაინდის რწმენით, განწირულის  
 ბრმა გახელებით  
 მიწას უკმეე საკმეველი ნატიფ  
 ხელებით.  
 გათამამებდა ლურჯი ზეცა —  
 წარღვნა იების  
 და მორცხვი ბაღი  
 გამჰკვირვალე კამელიების,  
 ვერ ამოშანთა ვაზის ხიბლი  
 ხხვა მონატრებამ,  
 თეთრი ვარდები ოქ იწვოდნენ  
 ნაზ კელაპტრებად.  
 შენი სიკვდილი იყო წყევლა  
 ცივი ქალაქის,  
 უმწეო გმინვა დაჭრილ მიწის  
 სევდა ბალახის,  
 ყამს ემდუროდი, სინანულით  
 გულგამეხილი,  
 გელანდებოდა ვაზის ცრემლი,  
 ცრემლი ხეხილის.  
 მღონებს მე ეს  
 გლოვის ზარი,  
 წარსულის ბზარი,  
 მიმწუხრის ლოცვა —  
 თეთრი ვარდის  
 შესანდობარი.

**დ ე ღ ა ს**

სიმარტოვეა მესაფლავე უტყვი  
 ქალების,  
 შთამომავლობა დაიწვება, ალბათ,  
 სირცხვილით...

სადღაც მინახავს მე ეს ნაზი  
გარდაცვალება,  
მასწავლე, დედა, მე ასეთი  
ჩუმი სიკვდილი.  
მესიზმრა, თითქოს შენ იყავი  
ყვავილი ველის,  
უამინდობას, მკაცრ ქარიშხალს  
ვერ შევეთვისე,  
ცხრა ანგელოზმა შეგაშველა  
მთრთოლვარე ხელი  
და მარადიულ საუფლოში  
დაბრუნდი ისევ.  
წახვედი ტუჩზე შერჩენილი  
სიმწრის ღიმილით,  
რას დაგაკლებდა შენ, უხორცოს,  
წყლული ფარული...  
არა, ეს იყო საუკუნის  
გულისტკივილი,  
კაცობრიობის  
უმძიმესი დანაშაული.

### პატროკლუს სიკვდილი

დიად აქილევსს  
ბედისწერამ  
დაუხშო გონი,  
დათმო ლაშქარი,  
შეაჩვენა  
აგამემონი.

მაშინ პატროკლემ  
დაიმშვენა  
ლომის ბექთარი  
ელენესათვის  
დასდო თავი,  
დაეცა მკვდარი.

დაემხო  
სულის ჰარმონია,  
იშვა ქაოსი,

ო, არ შერჩება  
პაროსს  
ცილი მენელაოსის...  
როგორც კენტაური,  
ლაპითების ომში დაჭრილი,  
პატროკლე  
დარჩა ბრძოლის ველზე  
ბექთარახდილი,  
ყვა-ყორნისათვის  
მიუგდიათ  
მისი ცხედარი  
და უკვდავ რაშებს  
ენანებათ ფიცხი მხედარი.  
ფეხდაფეხ სდევდა  
მას სიკვდილის  
შავი დემონი  
და სწლვევინა  
შეცოდება  
აგამემონის.



**თამარიკო ზოსონელიძის ხმა  
რუსთაველის პროსკაქტზე 9 აპრილის  
შემდეგ**

უკან ვიბრუნებ დღეებს გაფრენილს  
და მანდილივით სადარდელს ვიხსნი,  
კვლავაც ატყვია ყოველ ქვაფენილს  
ჩემი გულიდან დაღვრილი სისხლი.  
აქ ჩემი სული ქვებს შემოენთო  
ცეცხლივით, როგორც დიდგორის ქარი,  
მე უკვე ცაში დავსახლდი, ღმერთო,  
მიწაზე ყველას ვგონივარ მკვდარი.  
დარდიან გულით ვურიგებ ყველას  
სევდას გაუმხელს, ტკივილებს უჩვევს,  
ჩემი სიცოცხლის დღესავით ვხედავ,  
აბობოქრებულ თბილისის ქუჩებს.

**სხალთის ტაძართან**

ის, რაც ძნელი მეგონა, თურმე იყო ადვილი,  
ის, რაც ტყუილი მეგონა, თურმე იყო ნამდვილი;  
ბავშვი ვიყავ, მიჭირდა, მტერ-მოყვარის გარჩევა,  
ვინაზავდი განძივით სურვილსა და არჩევანს;  
მიწაზე და ზეცაში ვიყავ მარტო გაჭრილი,  
ზოგის ხელით და ზოგის მწარე ენით დაჭრილი;  
ამ ყოფაში გავიგე სოფლის ავან-ჩავანი,  
ბევრი დავიძმობილე, დავიმტერე მრავალი;  
გვიან იყო თუ ადრე, ყველაფერი გავიგე,  
ვისაც ეკადრებოდა, ყველას ძეგლი ავუგე;  
დავრჩი ბედის ამარა, ორ ხელით და ერთ გულით,  
ზოგის გავზდი მტერი და ზოგის ისევ ერთგული;  
სხვისი გულის წადილი სახლში თიქრით მიმყავდა,  
ზოგი შევიძულე და ზოგი შემყვარდა;  
გამოსული მზის პირზე გათოშილი სიცივიტით,

ცოტას ვლაპარაკობ და სულ ცოტას ვიციანი;  
სინამდვილეს ვუყურებ ახლოდან და შორიდან,  
აღარა მაქვს ჯავრი და მომიმტრავლდა ჭორი და...  
ვდგავარ სხალთის ტაძართან, თავს დამნათის სინათლე,  
საკუთარი რწმენა და საკუთარი სიმართლე.



## დაგელოდები

დაჰბერა ქარმა...  
მწვანე სათიბებს  
გადაუხრია მწვანე ფარჩები,  
თქვენთან დავრჩებო, სათიბებო,  
თქვენთან დავრჩები!  
დაჰბერა ქარმა...  
ქალის თმებივით  
ცაში გაშალა ნისლის ქულები,  
გეჩურჩულები, ნისლის მთქაო.  
გეჩურჩულები!  
დაჰბერა ქარმა  
და მოაშორა  
ხეების ტოტებს მწვანე  
ფოთლები,  
დაგელოდები, მწვანე ფოთლებო,  
დაგელოდები!  
დაჰბერა ქარმა  
და მოიტანა  
მაღალი მთების მუნჯი ხმაური,  
ხელში მიჭირავს ქარი — გიტარა,  
დაგატკობთ იმის აურზაურით.


## ჩემსკენ არ მოდიოდი

გული გქონდა პატარა,  
დიდი გქონდა სურვილი,  
წყარო იყავ ანკარა,  
და მე მკლავდა წყურვილი.  
წყარო იყავ ანკარა,  
სთის უბეში დიოდი,

შორი დაგვა მაკმარე,  
ახლო არ მოდიოდი.  
რა ვქნა, თურმე ჭრელია,  
წუთისოფლის იგავი,  
თეთრი გამომერია,  
მაინც ვერ მოვიკალი  
წყურვილი და ცხელება  
იმ ანკარა წყაროთი,  
აწ არას ეშველება —  
მხოლოდ ლექსი გამოვთქვი.

## რა ეშველება ამ გულს...

ნაწვიმარ ფოთლებს ტკივა  
სხეული  
და ქანცვაცლილი მიწაზე ცვივა,  
ქარი — ხერხემალ  
გადამსხვრეული  
მაინც ქარია და მაინც ცივა.  
ეჰ, სანუგეშოს ფოთლებს რას  
ეტყვი...  
ისევ ქარია და ისევ ცივა —  
რა ეშველება ამ გულს  
დასეტყვილს  
შენგან, რომელიც საშინლად  
მტკივა.





# ემრულა

დიობანში ემრულას ეზოს ძველმანებით შემოსილი, ზურჯინგადა-კიდებული კაცი მიადგა.

— ღმერთმა ხეირო მოგცეთ, რასაც გეიმეტებთ, გამჩენელმა თქვენი კდრების სულს მიაგებოს. — გადასძახა მან აივანზე მოფუსფუსე ქალს. ელვანამ თეთრეულის რეცხვას თავი მიანება, მკლავებზე საპნის ქაფი შეიმშრალა და სახეზე ლეჩაქი აიწია.

— რას კრეფთ? — მათხოვარს შეეკითხა.

— რასაც გეიმეტებთ, ფარას, სიმინდს, პურს, ნიგოზს, ლობიოს... სანამ ქალი სახლში შევიდოდა და მათხოვარს რასმეს გამოუტანდა, ჭიშკართან ნიაზ ვანლიშმა მოაგდო ცხენი. იგი სწრაფად ჩამოქვეითდა, კიბეზე აირბინა და ელვანას არც გამოლაპარაკებია, ისე შეეყვა ოთახში.

ემრულა ტახტზე წამოწოლილიყო, ორივე ხელით ერთი წლის ტიტ-ლიკანა ბიჭი ეჭირა. იგი მამის დახმარებით მის გაღვლილ მკერდზე დაბაჯბაჯებდა.

— ვინ მოვიდა? — ემრულა ცოლს შეეკითხა.

— მათხოვარია.

— რაო, რას თხოულობს?

— ყველაფერს, — უპასუხა ქალმა და სამზარეულოში გავიდა.

— სამი დღეა, სოფელში დადის, — საუბარი გააგრძელა ნიაზმა, — მართლაც ყველაფერს კრეფს. კაი გაყოლა სიმინდი და ნიგოზი მოაგროვა და რიფათა ასამბაძეს მიაბარა.

— ღამეს ვისთან ათევს?

— ხან ვისთან და ხან ვისთან. წუხელ ჯამეში გაათია. გათენდა თუ არა, სოფელს მიაშურა. ეზოში შესული, ერთ საათს მასპინძელს ელაპარაკება, აღამებინებს ხალხს.

— რაზე ელაპარაკება? — დაინტერესდა ემრულა.

— რა ვიცი, ყველაფერზე... ნამდვილი მათხოვარია.

ელვანამ პატარა ნაოთხალი ფქვილით გაავსო და გარეთ გასვლა დააპირა.

— მოიცა, ელვანავ! — მიაძახა ქმარმა, — წამოდგა, ბიჭი ცოლს ვაგრძელება. დასაწყისი იხ. „ჭოროხი“ № 1, 2.

ვლასცა და პერანგის ღილები შეეკრა. — შენ ვადი, ნიაზ, და სახლში შემოიყვანე.

ვანლიშმა ელვანას ნათხალი გამოართვა და გავიდა.

მათხოვარმა ფქვილი ჩახვეში ჩაყარა, სახლში შესვლაზე გაიპატიჟა. მაგრამ ნიაზის განმეორებითი თხოვნის შემდეგ კიბეებს შემოუყვავა, ხურჯინი კიბის თავზე დადო და ოთახში შევიდა.

ემრულა უცნობს მიესალმა და ტახტზე ადგილი შესთავაზა. იმან ოთახი მიმოათვალიერა და გაუბედვად ჩამოჯდა.

— სადაური ბრძანდებით? — შეეკითხა მასპინძელი.

— ბრძანება თქვენი, იზმითიდან ვარ.

— მუჰაჯირი ხარ?

— ჰო.

— აჭარიდან თუ შავშეთიდან?

— აჭარიდან, ეფენდი.

— რაფერ ცხოვრობენ აჭარლები?

სტუმარმა ამოიხვნეშა, პასუხი დაავიანა.

— ეჰ, რა გითხრა, ეფენდი. მიწა არა აქვთ, სამუშაო და სახლის დასადგმელი ადგილი. იმდენი ფარა მუჰაჯირს ვინ მისცა, მიწა რომ იყიდოს და მისივე მოსავლით ქალ-ბაღანა არჩინოს.

— რატომ არ დაუჯერეთ ჭკვიან ხალხს, დარჩენილიყავით თქვენს სახლში, აჭარაში, ვინ გაძლებდათ?

— შევცდით, ეფენდი, შევცდით და ამ დღეში ჩავფარდით.

— ანდა, ახლა რატომ არ უბრუნდებით თქვენს კერაკუჩხეს?

— ბევრს უნდა, დაბრუნება, ჰამა, ვინ გამოუშვებს, იმ სიშორიდან წვრილშვილის წამოყვანაც ძალიან ძნელია.


ვანშობის შემდეგაც დიდხანს ისაუბრა სტუმარ-მასპინძელმა. ნიაზს იქვე ტახტზე ჩათვლიმა, ელვანას და პატარა შუქრის კარგა ხანია თავის ოთახში ეძინათ.

ემრულამ სტუმარი სამოსაფეროში გაიყვანა და ლოგინი გაუშალა. ახლა შენიშნა, რომ სტუმარს მათხოვრის პირობაზე გვარიანად სუფთად ეცვა. უკან მობრუნებულმა მასპინძელმა ნიაზი გააღვიძა.

— ახლავე წადი, რიფათა ასამბაძე გააღვიძე და აქ მოიყვანე. — დაავალა თანამებრძოლს.

\* \* \*

ემრულამ რიფათა გამთენიას გაისტუმრა, ცოლ-შვილთან შევიდა, მძინარე ბიჭს ლოყაზე აკოცა და ტანგაუხრდელად ცოტა ხნით თავი ბალიშზე მიდო.



მზე ახლად ამოწვრილი იყო, როცა ხატოვე ხანუშმა კარი ფრთხილად გამოაღო:

- სტუმარი მიდის, ემრულავ.
- ემრულა ლოგინიდან წამოიჭრა და აივანზე გავიდა.
- სტუმარს ხურჯინი გადაეკიდა და ეზოდან გადიოდა.
- ერთი წუთი მომეცადეთ. — გასძახა მასპინძელმა.
- სტუმარი შედგა.
- ემრულამ კიბეზე ჩაირბინა, ცხენები გამოიყვანა.
- ამ ცხენზე შეჯექი. — უთხრა უცნობს.
- რატომ? — გაიკვირვა კაცმა.
- შეჯექი და გამომყვევი, ერთად ვიაროთ, ერთი გზა გვაქვს.
- მასპინძელი სახლში შებრუნდა, გადაიცვა, იარაღი აისხა და ამხედრდა.
- ამასობაში ნიაზიც გამოჩნდა.
- სამეული ხოფასაკენ გაემართა.

\* \* \*

ეზიზ ფოთელიძემ ნავი ახსნა, ორ ზორბა მხლებელ ბიჭს კიჩოზე მიუთითა, ჩამოჯექითო, თავად მესაჭეს ნიჩბები მოიმარჯვა და ამღვრეული მდინარის ზვირთებს მიენდო. ეს არ არის ჩვეულებრივი ნავი. იგი ვიწრო და საკმაოდ გრძელია. გვერდები ჩვეულებრივზე მაღალი აქვს, აქ შეიძლება ოცი კაცი დაჯდეს და პატარა ტვირთიც წაიღოს.

ნავი სწრაფად გასურდა. ირგვლივ წყალი ღუღს და ქაფდება, ბიჭებს მზისგან დამწვარ მხარ-ბეჭზე მსხვილი შხეფები ეცემათ, მაგრამ ისინი ამას ყურადღებას არ აქცევენ. მათ თვალწინ ჩქარა გარბის მღვრიე მდინარე, კლდოვანი ქარაფები და ტყიანი ნაპირები.

ფოთელიძე მარჯვედ დგას, ორივე ფეხით ნავის გვერდებს ეყრდნობა, მსხვილი მხერა წინ აქვს მიპყრობილი. ხელები თითქოს საჭეზეა მიყინული, მაგრამ ყოველთვის მზად აქვს ნებისმიერ მომენტში მკვეთრად მოუხვიოს და თავი წყალქვეშ ამოზრდილ ბასრპირიან ლოდებს ააცილოს. ბიჭებიც არ არიან უსაქმოდ, ისინი ნიჩბებს შეთანხმებულად უსვამენ და მესაჭეს ეხმარებიან წყალმარჩხი ადგილებიდან ნავის ჩამოცილებაში. აგერ ნავი თითქოს, სადაცაა უზარმაზარ კლდეს უნდა დაეჯახოს, სულ ბოლო მომენტში მესაჭე — რეიზის თანაშემწენი ნიჩბებს ხელიდან უშვებენ, ნავის ფსკერიდან რკინისბოლოიან შუბებს იღებენ და ელვისებურად კლდეს ახვედრებენ, მესაჭეც ისეთ მოძრაობას აკეთებს, რომ ნავი დიდი დელფინის მოქნილობით კლდეს ასცდება და თავის გზას აგრძელებს.

მდინარე შეტბორდა, ნავმაც რაღაცნაირად გაიგანა, ახლა ისე მშვი-

დად მიცურავდა, რომ თუ ნაპირებს არ შეხედავდი, მოძრაობას ვერც კი იგრძნობდი. რეიზის მძლავრი ხელები მკვეთრი მოსახვევების შემდეგ ახლა ნიჩბებზე ჩამოესვენებია. ბიჭებიც ნავის მაღალ კედლებზე ხელნაწი ბით ჩამოყრდნობილიყვნენ, მზერა კვლავ მღვრიე წყალზე ჰქონდათ მიპყრობილი.

უცებ ერთი მათგანი ზეზე წამოიჭრა.

— კაცია წყალში! — იყვირა მან, თანამგზავრების პასუხს არც დაელოდა, კამარა შეკრა და წინგაწვდილი ხელებით ნავიდან გადაეშვა.

— მემედ! — შესძახა ეზიზმა, მაგრამ ამასობაში ბიჭმა ჩაყვინთა და რეიზის ხმა აღარ გაუგონია. — ამ მღვრიე წყალში რა დანახა?

ახლა მენავეები გაფაციცებით იცქირებოდნენ, სად გამოჩნდებოდა მემედი.

— ავერ! — იყვირა მეორე ბიჭმა და ხელით ანიშნა.

მღვრიე წყლის ზედაპირზე ადამიანის თავი გამოჩნდა, გაწეწილი თმები წყალზე ლივლივებდა.

მემედი წყალქვეშ ცუდად ხედავდა, ის კი შენიშნა, რომ ადამიანის სხეული უძრავად იყო, მიხვდა, რაღაცაზე იყო შემოკავებული. მკვრივი სარტყელი წყალქვეშა კუნძიდან ახსნა, დამხრჩვალს ხელი მოავლო, ამოყვინთა და ნავისაკენ გასცურა.

— კაცი კი არა, ქალი ყოფილა. — თქვა რეიზმა, ნიჩბებს ხელი უშვა და მისახმარებლად ნავიდან გადაიხარა.

ქალს ტანზე ქვედასაცვალი შერჩენოდა, ხელებზე ბორკილები ელო. მეორე ბიჭი ნავში ზურგმუქცევით იდგა.

— რას გაშტერებულხარ, ბიჭო! — უყვირა რეიზმა. — აილე ჩემი ზუბუნნი და გადაახურე.

ბიჭმა ტანსაცმელი აიღო და ისე გადაახურა, ქალის სხეულზე არ შეუხედავს.

— ნეტავ, ვინაა? — მემედმა წელს ქვევით შარვალი ჩამოიწურა და ეზიზხას მიუხედა.

რეიზმა ნიჩბებს მოავლო ხელი და ნავი ნაპირისაკენ მიმართა. ბიჭებმაც თავიანთი ადგილები დაიკავეს.

— ჩვენ ვისაც ვეძებდით, იმ ქურთებიდან არაა, ბიჭებო. ეს ბაღუ მარშანიას ცოლია. პატიმარი ცოლ-ქმარი რუსის ჯარისკაცებს გაექცნენ. იმათი ხელით სიკვდილს ჭოროხში ჩახრჩობა ამჯობინეს.

ზედა მარადილი გამოჩნდა თუ არა, ნავი პირველივე სახლთან მიიბეს და ხალხს მოუხმეს.

ტყის პირას ლამაზი ორსართულიანი სახლი გამოჩნდა. ემრულა ცხენიდან ჩამოხტა.

— ცოტა შევისვენოთ, ნიაზ. — უთხრა თანამებრძოლს. ნიაზიც ჩამოქვეითდა.

მათხოვარმა იქეთ-აქეთ მიმოიხედა, მძიმე ხურჯინი უნაგირზე წინ წასწია და ცხენიდან უხალისოდ გადმოვიდა. მთელი გზა ისე გამოიარეს, ერთმანეთისათვის არაფერი უთქვამთ. უცხო კაცმა ადრე ვერ იცნო მისი წუხანდელი მასპინძელი, მაგრამ გუმანით გრძნობდა, უბრალო ვინმე არ უნდა ყოფილიყო. გზადაგზა მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ გვიანი იყო. ველარაფერს გააწყობდა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. მგზავრები გზის პირას, მოღზე ჩამოსხდნენ.

ემრულამ თუთუნი ამოიღო და ჩიბუხში ჩატენა. იშვიათად ეწეოდა. მებობრები დაკვირვებული იყვნენ, როცა ამას აკეთებდა, რაღაცას მნიშვნელოვან საქმეს გადაწყვეტდა.

— ერთი ეს მითხარი, ქალაქ იზმითს მეტსახელად ვიაურ-იზმითს რატომ ეძახიან? — მოულოდნელად შეეკითხა უცნობ კაცს.

— იბიტომ რომ გურჯისტანიდან გადასული მუჰაჯირები იქ დასახლდნენ და ყველა ქართულად ლაპარაკობს, ოსმალოები ყველა ახალმოსახლეს ვიაურს ეძახიან, ქალაქსაც ვიაურ-იზმითი დაარქვეს.

— მერე ასე ადვილად ურიგდებიან ამ დაცინვას?

— რავარ გეკადრებათ. ამის გამო სულ ჩხუბი და ცემა-ტყეპა გვაქვს, მაგრამ მაინც ვერ მოვაშლევინეთ. ახლა ცოტა შეგვეჩვივნენ, თორემ გზაზე ისე ვერ გავივლიდით, ბაღნებს არ ეთქვათ: ვიაურები მოდიან, დაიმაღეთო.

— რა დღეშია ხალხი ზოგიერთი ჩვენი უგუნურის გამოისობით. ურჩევენ გადასახლდითო, ხალხი შიმშილით და სიტიტველით იხრცება და, ეს არაფერი, ყოველ ნაბიჯზე დასცინიან და ვიაურებს ეძახიან. — ჩაილაპარაკა ნიაზ ვანლიშმა.

— აბა, აჭარლები ცუდად ცხოვრობენ იზმითში? — გააგრძელა შეკითხვები ემრულამ.

— ჰო, — ანგარიშმოუცემლად უპასუხა მათხოვარმა.

— არც მიწა აქვთ, არც ფული, არც სარჩო-საბადებელი.

— ნამდვილად ასეა. — იყო შემცბარი კაცის პასუხი.

— შენს ნათესაებებსაც ასე უთხარი?

უცნობს ენა დაება.

— ამ ქვეყნად იზმითისა და ბურსასთანა სამოთხე არსად მინახავსო. რიფათა ასამბაძეს უთხარი? სახლიც გვაქვს, მიწაც, საჭმელ-სასმელიც და



საბან-გობანიცაო, უთხარი? შენ მათხოვარი კი არა, შემოგზავნილი ვა-  
 შუში ხარ, შენი ხალხის და მიწის მტერი. — აბობოქრდა მალაყმაძე.—  
 სად პატიეებ, ვისთან მიგყავს ეს ისედაც თავგზააბნეული ხალხი, კაცის  
 თუ არა, ღმერთის არ გეშინია?

„მათხოვარს“ სახე ხელებში ჩაერგო და თავი მუხლებზე დაედო. ოდ-  
 ნავ იყუჩა, მერე თავი ასწია და აღიარა:

— ქამილ-ბეგმა შემაცდინა, ემრულა-ეფენდი. მაპატიო უნდა. ამის  
 მეტს აქეთ პირს არ ვიზამ.

— ეს არაა საკმარისი. შენსავით ვინცაა აქ ჩამოთრეული, ყველას  
 ჩამოუარე, შენც და იმათაც ხალხს აუხსენით: გატყუილებდით, გაბრი-  
 ყვებდით, არ გაბედოთ და სახლ-კარი არ მიატოვოთო. თორემ თუ სად-  
 მე გადაგყარეთ, ცოლ-შვილთან სულს ვედარ ჩაიტანთ.

— თანახმა ვარ, ეფენდი. — თქვა და წამოიწია.

— მოიცა. ფული რამდენი გაქვს?

— ორასი მანეთი რუსის ფარა და ორასიც ყურუში.

— ძალიან კარგი. გელმა ლამაზი სახლი რომაა, ხომ ხედავ? იმ  
 ოჯახის პატრონი ცოლ-ქმარი ერთ დღეს დაიღუპნენ. იმ სახლში ახლა  
 ორი მცირეწლოვანი ობოლი ცხოვრობს. რაც ფული და სურსათი გაქვს,  
 იმ ბავშვებს მიუტანე, შენ მაგისტვის არ ხარ ჩამოსული და გატყობ  
 ნამათხოვრალი არც გჭირდება. გაჰყევი, ნიაზ, მე აქ დაგიცდით.

უცნობი მკვირცხლად წამოხტა, ალბათ, იოლად გადავრჩიო, გაიფი-  
 ქა, ცხენიდან ხურჯინი გადმოიღო და ნიაზს წინ გაუძღვა. ამასობაში  
 სოფელს ხალხის ჯგუფი მოადგა.

მარადიდელები ბაღუ მარშანიას ბედკრულ მეუღლეს მიასვენებდ-  
 ნენ.



მარშანიას ცხედარი კუხმა ალიოშკინს გამოუცილებია ხოფამდე. იქ  
 გაუგია მალაყმაძის აქ ყოფნა და ნიაზ ვანლიშს ემრულასთან გამოჰყვოლია.

კუდი ამბავი მოიტანა ალიოშკინმა: მურღულის ხეობაში რამდენიმე  
 სოფელი უნდა დაცალონ, ადგილობრივი მკვიდრი ქართველები შუა ოსმა-  
 ლეთში უნდა გაასახლონ და მათ ადგილას არტაანის ოლქიდან მალაკნები  
 უნდა ჩამოასახლონო.

ემრულას ხასიათი სულ წაუხდა.

— როგორ იცხოვრებდნენ ესენი ერთად არეულ-დარეული? იქაური  
 ქალი სახეს მეზობელს არ აჩვენებს, მალაკნის გვერდზე როგორ უნდა  
 იცხოვროს ან ყანა-ბოსტანში როგორ იმუშაოს? — ცეცხლზე ნავთი დაა-  
 სხა კუხმაძე.

— ამას ვერცერთი მუსულმანი ვერ აიტანს. — თქვა ნიაზმა. ჩვენი ალათიცი ვერ მოითმენს!

— ვერ მოითმენს და, ხელისუფლებასაც ეს უნდა. ხალხი აიყრება და იქ უცხო ტომი ჩამოთესლდება. — თქვა ემრულამ.

— მე უკვე ვნახე მალაკნები, — გააგრძელა ალიოშკინმა. — სოფლებს ათვალიერებდნენ.

— აქამდე მივიდა საქმე?

— ხალხს არც ერიდებოდნენ, ისე დადიოდნენ ყანა-ბახჩაში, გეგონებოდა მათი დათესილიაო. როგორ მოგეწონათ-მეთქი. — შევაპარე.

— ძალიან კარგი ადგილებია, მაგრამ გზები არ ვარგაო, მითხრეს.

— როგორ უნდა იცხოვრონ ადგილობრივ ხალხთან, როგორ შეეგუებიან ერთმანეთს? მესმის, ხელისუფლებას სურს უცხო ხალხის ჩამოსახლება, მაგრამ მალაკნებს რას ერჩის, ვერ ხვდება, რომ ამათ ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივი ჩხუბი და დავიღარაბა ექნებათ?

— მე ვგაც ვკითხე, — შეაწყვეტინა კუზმამ, მუდმივი უსიამოვნება ექნებათ, რაც შეიძლება სისხლის ღვრაში გადაიზარდოს-მეთქი. ჩვენ იმათ არ ვეჩხუბებითო, მითხრეს. ჩვენ ერთხანს გაგვიჭირდება, სანამ ღორებს მოვაშენებთ. მერე ისინი ოსმალეთში გაიქცევიან. საჩხუბარი აღარავინ გვეყოლებაო.

— გამოდის, ახალჩამოსახლებულების საქმეს ღორები გააკეთებენ? — მწარედ დაიღიმა ემრულამ.

— მეც მაგი ვუთხარი. კაცი ახალ ცხოვრებას ღორის იმედით რომ იწყებს, ის თავად ღორია-მეთქი. წავიჩხუბეთ, ვინება დამიწყეს, მაგრამ არც მე დავაკელი.

— მაინც რას აპირებენ, ნუთუ საბოლოოდ გადაწყდა ეს ამბავი?

— მე როგორც გავიგე, ხელისუფლება თავისი კაცების გამოგზავნას აპირებს მურღულის ხეობაში.

— ვინ იქნებიან ნეტავი?

— ჯერ არავინ იცის. ამის გაგება კოწიას შეუძლია.

— მანამდე მოსახლეობამ უნდა მიმართოს გუბერნატორს, იქნებ შეიწყნაროს მათი კანონიერი მოთხოვნა.

— მერე?

— მერე, ვნახოთ... — აბრაგმა ერთხანს იყუჩა, — შენ როგორ ხარ, კუზმა. რას ირჯებიან შენი რუს-ქართველა გოგო-ბიჭები. — ემრულამ საუბრის თემა შეცვალა.

— ეჰ, ჩემო ემრულ, ისინი ნამდვილი ქართველები არიან, ოღონდ ჩემი საშველი არაა. ყველაფერს ეშველა, ამ ჩემს პაჭუა ცხვირსა და ქერა თმას, არაფერი. სანამ ქართულად ხმას ამოვიღებდე, ყველა ამრეხით მი-

ყურებს. შვილები სულ ხალხში მყავს, სისხლ-ხორცით ეწაფებიან და და-  
წესებ. ცოლ-შვილი არაფერს აკლდება, არც ქორწილს, არც დღეობას  
და არც დასაფლავებას. ახლაც ტბეთში ვიყავი, შირინ-ალა დავითაძეს  
უფროსი ბიჭი გარდაცვლია. იქ გავიგე მარშანიების უბედურება, ცოლ-  
შვილი დავტოვე, წამოვედი და აგერ შენი აქ ყოფნაც შევიტყვე.

— შენ მშვენივრად ლაპარაკობ ქართულს, სულით და გულით ქარ-  
თველი ხარ, ცხვირ-პირი რა შუაშია... შირინალის ბიჭს რა მოსვლია?

— რა ვიცი. ვილაც მეზობელ ქალთან გადაპარულა, ღამ-ღამ ბო-  
დიალი ჰყვარებია და ამისთვის უნაცვლებია თავი.

— ასეთი კაცი დიდი პატივის ღირსი არ არის, მაგრამ შირინ-ალა  
ეს გულადი, გამრჯე და კეთილი მოხუცი უნდა დავაფასოთ. ნიაზ! გავ-  
წიეთ ტბეთისაკენ!

მხედრები მეორე დღეს შირინ-ალასთან იმ დროს ავიდნენ, როცა  
მიცვალებულს მიწას აყრიდნენ. ემრულა დამწუხრებულ მამასთან მივი-  
და. გადაეხვია და მარცხენა მკერდზე ეამბორა.

როცა საფლავზე ახალნათხარი მიწა აიბორცვა და ხალხმა დაშლა  
დაიწყო, შირინ-ალამ ემრულას ხელი გამოსდო და გვერდზე გაიყვანა.

— ჩემი შვილი სატირალი არ არის, ემრულავ. მაგან მე, ამ ოთხ-  
მოცს მიტანებულ კაცს, თავი მომჭრა და ქული ჩამომაწვეინა. შენ კარგად  
იცი, რამდენი რამე მომესწრო: არ დამკლებია არც ახალციხის, არც ყირ-  
იმის და არც ჩვენი ბოლო ომი. ტანზე ერთი ადგილი არ მაქვს ტყვია და  
მტრის ყამა რომ არ მომხვედროდა, ყველა ნაჭრილობევი ჩემი სახელის  
სადიდებელია. ეს ჩემი შვილია, ნანატრი პირმშო, მაგრამ ისეთი საქმე  
ჩაიდინა, არ შემბრალებია... შემხედე, ემრულავ, ამას მე გეუბნები,  
შირინ-ალა დავითაძე. თუ თვალებზე კურცხალი შემნიშნო, იცოდე, ის  
სირცხვილის ცრემლია. სიცოცხლე და პატიოსნება მე ცალ-ცალკე არ  
ვიცი. ამ ამბავმა მე პატიოსნება წამართვა და ამით ჩემ სიცოცხლესაც  
მალე ბოლო მოეღება. ჰოდა, შენთან ერთი სათხოვარი მაქ, შვილო. ამას  
შენს მეტს არავის დავუბარებ, ვერ შემისრულებენ. აქ ჩვენი საგვარეუ-  
ლო სასაფლაოა. ჩემი დედ-მამა, ჩემი დედაბერიც აქ მყავს, ახლებიდან  
ეს ბიჭი დავმარხეთ დედამისის გვერდით. აქვე ერთი ადგილი ჩემთვის  
მქონდა, მარა მე ამასთან აღარ დავწვები, ამ ღუნიანზე სირცხვილი არ  
მიჭამია, იმ ქვეყანას სირცხვილს ვერ ჩავიტან. მე ცალი ფეხი სამარეში  
მაქ. აგერ, მე და შენ რომ ვდგავართ, ამ მუხის ძირში დამმარხეთ, ემრუ-  
ლავ, იქედან აქამდე თორმეტი ნაბიჯია.

მოხუცს კიდევ ერთჯერ აუწყლიანდა თვალები. აბრაგი ფაფუკ თეთრ  
წვერზე ჩაეხუტა შირინ-ალას. მერე გამოემშვიდობა და ნიაზთან ერთად  
კოწია ერისთავის საძებრად გაემართა.



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ვენერალ-მაიორი ალექსანდრე  
 ეგნატეს ძე გროსმანი თავად ამობრძანდა მურღულის ხეობაში. საგანგე-  
 ბოდ შერჩეულმა სოფლის წარმომადგენლობამ, წინა კაცებმა სტუმარს  
 თხოვნა მიართვეს. არ გადმოასახლოთ მალაკნებიო, მაგრამ ხელისუფ-  
 ლების უმაღლესმა წარმომადგენელმა ხანდაზმული ხევისბერები ცივად  
 მიიღო, მათი თხოვნა-ვედრება არ შეიწყნარა. იმედად ისღა დაუტოვა,  
 რომ ჩვენი ჩინოვნიკები ჩამოვლენ, ადგილზე შეისწავლიან მდგომარეო-  
 ბას, სოფლებსაც ისინი ამოირჩევენ და ჩასახლების საკითხსაც გა-  
 დაწყვეტენო.

ხალხს თავისი ღირსებების და ადათ-წესების დაცვის სხვა საშუა-  
 ლებისათვის უნდა მიემართა. საორჭოფო მხოლოდ ის იყო, დალოდე-  
 ბოდნენ გუბერნატორის კაცების ამოსვლას, თუ უკვე შესდგომოდნენ  
 თავისი გადაწყვეტილების აღსრულებას. გადაწყვეტილება კი ასეთი  
 იყო: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა შეიარა-  
 ლებულიყო და იარაღით დაეცვა თავისი ადამიანური უფლებები და  
 მშობლიური მიწა-წყალი.

ემრულამ რაზმის ყველა წევრი შეკრიბა. მათ ერთი ახალი ბიჭიც  
 შემოემატათ, მაკრიალელი თურქი, მანამდე ფოთელიძის დამხმარე მემკვდ  
 დემირი. ეს პირველი შემთხვევა იყო, აბრაგთა რაზმში ოსმალო რომ  
 შემოიყვანეს. ვისაც არ კითხა, ყველამ კარგად მოიხსენია ცხრაშეტიოდგ  
 წლის მაღალი, ბეჭებგანიერი, თვალეზბრიალა, მზემოკიდებული ბიჭი.  
 უცხოის არაფერი ცხიაო, ამბობდნენ რაზმელები, მშვენიერი მექართუ-  
 ლეა და ბარე ოთხი კაცი წინ ვერ დაუდგებო, გვარიც ისეთი აქვს, მართ-  
 ლა რკინაო, ხუმრობდნენ ისინი.

კოწია ერისთავი აღშფოთებდა ვერ მალავდა ხელისუფლების უკანონო  
 მოქმედებაზე. მან კარგად უწყოდა, თუ რარიგ დიდი მოწინებით  
 ეპყრობოდა ხალხი თავის რწმენასა და ადათ-წესებს.

— დარწმუნებული ვარ, ბატონებო, რომ ხალხის თხოვნას გენერა-  
 ლი გროსმანი არ შეიწყნარებს.

რაზმელები ახმაურდნენ.

— მალაკნებს მათი წადილი თუ აუსრულეს, მურღულის ხეობაში  
 ერთი ქართველი მაჰმადიანიც აღარ დარჩება, ყველა შიგა ოსმალეთში  
 გადაიკარგება. — თქვა ბექსიამ.

— იქედანაც ისეთ დღეს დააყენებენ მოძალადეებს, რომ გასაქცევ  
 გზასაც ვერ იპოვნიან. — სულო მეხეშიძე კანში ველარ ეტეოდა.

— იქედან ბრძოლა ჩვენ არ გამოგვადგება. — თქვა ემრულამ. —  
 თუაფარიო, ხალხი როგორმე ადგილზე დავამაგროთ. თუ ხელისუფლებამ

ძალად დაიწყო მათი აყრა, არ უნდა დავთმოთ, ჩვენც ძალა უნდა ვიხმაროთ. მე ვიცი, სისხლი დაიდვრება, მსხვერპლიც იქნება, მაგრამ ვინმე ვერ მოითმენს მამა-პაპის მიწა-წყლიდან და ფუძე-ნაფუძარიდან აიყაროს და სადღაც, არაბეთის საზღვრებთან, შიმშილის კერძი გახდეს.

— ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, საქმის გასარკვევად გუბერნატორი ვის გამოგზავნის. ჩემმა ნაცნობებმა საიდუმლოდ მითხრეს, გუბერნატორმა იცის ხალხი იარაღით რომ დაიცავს თავის მამულ-დედულს ამიტომ მან ვერ გაბედა აქ სხვა სისხლის ჩინოვნიკების შემოგზავნაო. ეს საქმე მთანდემ მათორ მიხეილ ერისთავ-შერვაშიძეს (ის ჩემი ნათესავაა) და შტაბ კაპიტან იასონ აბაშიძეს. მე მათთან მქონდა ხანმოკლე ბაასი, მიხეილმა ჩუმიად გამანდო თავისი აზრი. თუ ეს გამოგვივიდა, იმედია ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდება.

ემრულა მიუხვდა, მეგობარს ცალკე საუბარი რომ სურდა, წამოდგა და კოწიასთან ერთად მეორე ოთახში გავიდა.

— გული მეუბნება, იმათ ჩემი ნახვა უნდათ, — აღარ აცალა საუბრის გაგრძელება ერისთავს.

— სწორედ ასეა. — თქვა კოწიამ. — შენი ნახვა უნდათ და ერთობლივი აზრის გამოტანა.

— მაინც რუსეთის მონები არიან. თუ ამათაც ჩემი გადაბორება უნდათ, ჯობს, საერთოდ, არ დამენახონ.

— არა, ემრულ, მართალია, ისინი რუსეთის სამსახურში არიან; რა მოხდა, მეც მქონდა ის დასაწვავი ჩინები და სამხრეები, მაგრამ სული ჩემ ზალხთან მქონდა, იმათ ჩვენზე ნაკლებად არ აწუხებთ ქართულ მიწებზე უცხო ჯიშის დასახლება.

— როდის და სად უნდა შეეხვდეთ?

— შუამავლად არხაველი რეშიტ-ალა ჰყავთ. ჩემზე მეტად იმას ენდობიან. ახლავე გავგზავნოთ იმასთან კაცები და აქ მოვიყვანოთ.

— თანთო! — გასძახა ემრულამ.

ბიჭმა შემოიხედა.

— ვინაა ჩვენთან არხავიდან?

— ახალი მოსული, მემედ დემირი. სხვა იქაური არავინ გყავს.

— წაიყვანე არხაველი, სოფელში უჩუმარაი შედი, რეშიტ-ალა ნახე და აქ მოიყვანე.

თანთო ელვასავით გაქრა.

ორიოდ საათში რეშიტ-ალა ემრულასთან გამოცხადდა და მოულოდნელი რამ აცნობა:

— ქართველმა ოფიცრებმა დაყოვნება საშიშად ჩათვალეს და გამომყვენ თქვენთან მოსალაპარაკებლად. სოფლის ბოლოს, ტყეში, გველო-

დებიან. თანთო მათთან დავტოვე, მე დემირმა წამომიყვანა.

კოწიას სახე გაუბრწყინდა და ემრულას მიაშტერდა:

— მე ამოვიყვან.

შუალამე ვადასული ოქნებოდა, ემრულა მალაყმაძის ბანაკს ოთხი ცხენოსანი რომ მოადგა. ისინი ჩამოქვეითდნენ, ერთი მათგანი მცველებს შეუერთდა, ორი ოფიცერი და კოწია ერისთავი აბრაგთა მეთაურის ოთახში შევიდნენ.

ოთხელის საუბარი მამლის პირველ დაყვილებამდე გაგრძელდა.

\* \* \*

ართვინში ხმა დაირხა: მურღულის ხეობაში ჩამოსასახლებლად გუბერნატორის მიერ გამოგზავნილი ორი ოფიცერი და მათი მასპინძელი რეზიტ-ალა ემრულას რაზმელებმა დაატყვევესო, მიქვალთა ადგილსამყოფელი არავინ იცისო.

შეორე დღეს ბათუმის რუსული გაზეთი იტყობინებოდა: ავაზაკთ-მთავარი ემრულა მალაყმაძე რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებს; — ხელი აიღოს მურღულის ხეობაში და, საერთოდ, სამუსლიმანო საქართველოში სხვა ჯიშის ხალხის ჩამოსახლებაზე და პირობას იძლევა, რომ მძევლებს გაათავისუფლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გუბერნატორის უკმაყოფილების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებაო.

მალაყმაძის რაზმისაგან მძევლების აყვანა პირველი შემთხვევაა, შესაძლოა, სხვებიც დაატყვევონო, იტყობინებოდა გაზეთი.

გროსმანი საგონებელში ჩავარდა. თავისი საიდუმლო აგენტურა ამოქმედა. რომელმაც კიდევ უფრო შემაშფოთებელი ამბები აცნობა: მთელი მურღულის ხეობა შეიარაღებულია, ხალხი მზადაა სიცოცხლის ფასად დაიცვას საკუთარი მიწა-წყალიო, მალე სხვა ხეობების მოსახლეობაც შეიარაღდებაო.

სხვა გზა აღარ იყო, გუბერნატორმა მრჩევლები მოიწვია და ბჭობა გამართა. გადაწყდა, ემრულა მალაყმაძეს პარლამენტიორები გაუგზავნონ და თხოვონ მძლეველების გათავისუფლება. თავის მხრივ პირობა დადონ, რომ მალაკნების ჩამოსახლებას შეაჩერებენ.

\* \* \*

სელმან ცვარიძის შურისმაძიებელთა ჯგუფი კიდევ უფრო გააქტიურდა. დღე არ გავიდოდა, ვინმე ქრისტიანი არ მოეკლათ. ხელისუფლებას კი მიდიოდა ცნობები, რომ სისხლს მალაყმაძის რაზმი ღვრიდა, საჭირო იყო ტერორისტთა აღაგმვა. ემრულამ გადაწყვიტა პირდაპირ სახლში დაეჭირა გათავხედებული დეიდაშვილი.



ხუმბეტაციან რაზმს თავად მალაყმაძე ხელმძღვანელობდა. სოფელში შუადამისას შევიდნენ, ცვარიძის სახლს ალყა შემოარტყეს, მაგრამ იგი საიდუმლო კარებიდან მოხერხებულად გაიპარა და რაზმს სახლში მოხუცი ქალისა და ცოლ-შვილის გარდა არავინ დახვდა.

არც სელმან ცვარიძეს ეძინა. მან კარგად იცოდა, ემრულა ურჩობას და უდანაშაულო ხალხის ხოცვას რომ არ აპატიებდა და შეუდგა მისი ფიზიკურად მოსპობის ქსელის ბლანდვას.

\* \* \*

მდინარის პირას, ტანტრაბაზე, ახალგაზრდა ქალები მოყრილიყვნენ და ჩამაშურს რეცხავდნენ, თან ჭორაობდნენ და ერთმანეთს ექილიკებოდნენ. მამაკაცების გამოჩენას არ ელოდნენ და სახეც არ ჰქონდათ ჩამოფარებული. თეთრ-ყირმიზ სახეზე ყველას ღიმილი ეფინა.

მოულოდნელად ტყიდან ვიღაც ცხენოსანი გამოვიდა და პირდაპირ მრეცხავებისაკენ გაემართა.

— გოგოებო, ეს ვინცხა უცხო უნდა იყოს. — თქვა ერთმა ქალმა და ლეჩაქი აიფარა.

— ვინცხა ბეჩია. სოფელში რომელი ჰქვიანი შემოდის ცხენზე ამხედრებული.

— კაი ბიჭი კია. — ჩუმად ჩაილაპარაკა ერთმა ტანწერწეტა წითელ-ლოყებიანმა გოგომ და სახე დაიფარა.

— ციციებო! ახლა გინდა იაზმა აიფარეთ და გინდა ჩარჩაბი, ბარზამი ვიყურებ ბუჩქებიდან. — თქვა მხედარმა და ჩამოქვეითდა.

— ეს ვინცხა მართლა სერსემია. — ჩაილაპარაკა შედარებით ხანშიშესულმა ქალმა და უცნობს ზურგი შეაქცია.

ტანმალალი, ფართომხარბეჭიანი, გრძელსახიანი უღვაშა კაცი ოცდაათამდე წლისა იქნებოდა. იგი ყვითელ ჩაქვურაში იყო გამოწყობილი, მაღალყელიანი წულა-მესტები ეცვა, თავზე თეთრი ყაბალახი ეხურა. ცალ ხელში მათრახი ეჭირა, ცალი ხელი წელში გარტობილ დამბაჩის ტარზე ედო. საერთოდ მიღებული ადათების კვალობაზე იგი თამამად და გამომწვევად იქცეოდა.

— გოვ, ეს ემრულაინა იყოს. — ჩურჩულით თქვა ერთმა და ცალი თვალი დოღბანდიდან გამოაჭინჭვალა.

— კი გავს, მარა ეს ემრულა არ იქნება. ქალებთან ასე უტრფრად ის არ მოიქცევა. — თქვა ხანშიშესულმა.

ამასობაში კაცმა დამბაჩის ტარს ხელი მოაშორა, ჯიბეში ჩაიყოფილი დიდი ჯიბმენდილი ამოიღო, ხელში მომუჭა და ქალებისაკენ გადააგდო.

— ვინც ამ მაჰრამას ჩქარა გარეცხავს და გააშრობს, თუ საქმრო ან ქმარი არ ყავს, იმის ბაბას ამაღამვე მაჭანკალს გაუფუგზავნი. — გადასძახე ბიჭმა და ხმამაღლა გაიცინა.

— ემრულაი ამფერი ურცხვი რაფერ იქნება, გოვ.

— ღმერთის მადლმა, ემრულაია. — არ იშლიდა ის ქალი.

— სწორია, ეს ემრულაია. — დაუდასტურა მეორემაც და ახლომდებარე სახლისაკენ გაეშურა.

სელმან ცვარიძე და მისი სამი თანმხლები სახლის აივანზე ისხდნენ და მალულად ადევნებდნენ თვალს უცნობი კაცის მოქმედებას. მათ ქალების და ამ კაცის საუბარი არ ესმოდათ.

— ვინაა მათი კაცი? — მისვლისთანავე გადასძახა ქალს ცვარიძის მხლებელმა.

— ემრულაიაო, ამბობენ. — თქვა ქალმა. — ვინცა ბეჩია, ქალებს ისე ელაპარაკება, გეგონება მისი ხისიმიო.

სელმანი ერთხანს აივნის ბოძს ამოეფარა და აქედან უთვალთვალედა და ტანტრებას.

ცოტა ხნის შემდეგ მან მხლებლებს რაღაც გადაჟღაპარა და ანაშენა, ქვევით ჩასულიყვნენ. ხის ძირას ერთხანს იდავეს, ბოლოს ხუთეულს ორნი გამოეყვნენ, ერთმა გრძელი ბებუთი, მეორემ დამბაჩა მოიმარჯვა და ტანტრებასთან მივიდნენ.

— შენ ემრულაი ხარ? — შეუყვირა ერთმა.

კაცი მათკენ მობრუნდა.

— ჰო, ემრულაი ვარ. — თქვა და გაიღიმა.

— აქეთ გამოდი! — შესძახა მეორემ.

ათიოდ ნაბიჯი გადმოდგა კაცმა, საბძლის ზღურბლს მიუახლოვდა თუ არა, ერთმა დამხედურმა ბებუთი ვადამდე მუცელში გაუყარა.

— რას მერჩით! — იყვირა კაცმა, ორივე ხელი მუცელზე იტაცა და ზეზეურად მოიკრუნჩხა.

ამ დროს მეორემ მკერდზე დამბაჩა დაახალა. მუცლიდან და მკერდიდან სისხლმა იფეთქა, კაცი შეხტა და იქვე მოღზე ზურგით გაიშხლართა, ხელ-ფეხი მოღზე გაუსვ-გამოუსვა, ფართო თვალები თავდამსხმელებს მოავლო და მიჩუმდა.

ქალებმა საშინელი კივილი ასტეხეს, ამასობაში ცვარიძეც მოვიდა. განწირულ კაცს ყბალახზე მოავლო ხელი და თავი გვერდზე გადმოუწია. სახეს კარგად დააკვირდა და შეტოკდა. ერთხანს გაშტერებული იყო.

— ეს ემრულაი არ არის, თქვე ღორისშვილებო! — იყვირა მან.

საბძელთან ხალხი შეგროვდა.

სელმან ცვარიძე და მისი ამფსონები იქაურობას სწრაფად გაეცალ-  
ნენ, ცხენებს მოახტნენ და გაქუსლეს.

\* \* \*

მაღაყმაძის წინასწარმეტყველება გამართლდა. ჯემალ გულიაშვილი  
გაუგებრობის მსხვერპლი გახდა. გაირკვა მთავარიც: სელმან ცვარიძე  
მზადაა პირველი შეხვედრისთანვე მოსპოს საკუთარი დეიდაშვილი.  
ტერორისტთა უვნებელყოფა კიდევ უფრო აუცილებელი გახდა. რამდენ-  
იმეჯერ დაუგო მახე მაღაყმაძემ მტრადქცეულ სისხლსა და ხორცს,  
ერთჯერ უზარმაზარ ტყესაც შემოარტყეს ალყა, მაგრამ თავზეხელაღებუ-  
ლი ცვარიძის შეპყრობა არ მოხერხდა.

ათეული ადამიანის თვალწინ უდანაშაულო კაცის ფიზიკურად მოს-  
პობით ხელისუფლებაც უნდა დაინტერესებულყო, ვინ იყვნენ ტერო-  
რისტები, მაგრამ თავი არავის შეუწყუხებია. ეს კი იმას მოუთითებდა,  
რომ შურისმაძიებელ ტერორისტთა ზურგს უკან იდგნენ რუსეთის იმპე-  
რიის დამქაშები.

(გაგრძელება იქნება).

### მონა ვარაზაშვილი



ვერ დავასრულე  
შენი პორტრეტი,  
ღვთის ანაბარა  
თოვლში დავტოვე...  
წილად მხგდა ხვედრი  
უიღბლო მხატვრის —  
სიზმრებით ვკვებავ  
ჩემს სიმართლევს.  
უჭირისუფლო, ქვრივი დღეები  
ისევ კვდებიან  
ავი სახადით..  
გამტყდარ ფუნჯიდან  
წვეთავს ნაღველი,

ნაღვლისფერია ყველა  
ნახატი.  
ღროის ცხაურში  
იცრება ფიქრი,  
ზამთარი ფერმკრთალ  
სეედას ათოვებს...  
მივიწყებული შენი  
პორტრეტი,  
თითქოს დასცქერის  
ჩემს სიმართლევს.

\* \* \*

ღღეს მიგამსგავსებ  
ოცნების რაინდს,

გამოგვიონებ ძალზე  
მარტივად...  
იჩქარე, თორემ  
ქალს რას გაუგებ,  
ცვალებადია ისიც  
მარტივით...

დღეს ავიმღერებ  
მზის სალამურებს,  
იის კონებად  
შევკრავ სტრიქონებს...  
ხვალ ყველაფერი  
იქნება გვიან,  
ხვალ ვედარაფერს  
ვავიმეორებ.

**ჩუმად კვენსოდა**

ჩუმად კვენსოდა  
დაცრემლილი იასამანი...  
ცხადში შემოდი  
ზმანებათა სამფლობელოდან...  
დუმდნენ ზარები,  
გამწყდარიყო თმენის  
სამანი,  
მოღლილ თვალთაგან  
ძველი შუქი  
აღარ კრთებოდა...  
ჩუმად კვენსოდა  
ფერმიხდილი იასამანი...

\* \* \*

მირაქების აღსასრული  
დადგა,  
ბილიკებზე კარავებს  
შლის ნისლი...  
ლამაზ ზღაპარს  
რა ფასი აქვს ახლა, —  
შორით მწუხრის  
მელოდია ისმის...

სულის ქიმზე  
ბიმსხვრეული ექო,  
იმეორებს უუშორეს  
ძახილს...  
აბუდითი ის სიზმარი  
ახდა —  
თვალგამშრალი მივდეგ  
ბედის მარხილს...  
ფოთოლცვენის სიყვითლეში  
სძინავს  
მიმქრალ დაისს  
და ტკვილებს მიწის...  
უფლის ხელი  
მრავალწერტილს სვამს და,  
მხოლოდ ბინდის  
მელოდია ისმის...



ბევრი ბათუმელი, და არა მარტო ბათუმელი, იცნობს იუზა ბარდნაშვილის ოჯახს, რომელმაც სამი ღირსეული შვილი აღზარდა — კომპოზიტორი სოსო, არქიტექტორები მერაბ და რუბენ ბარდნაშვილები. ეს უკანასკნელი თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ პოლონეთის ქალაქ კროსნოშტხოვრობს და მრავალი შესანიშნავი პროექტის ავტორია, მაგრამ „ქოროზის“ მკითხველების წინაშე „არაპროფესიული“ დარგით — პოეზიით წარდგება.

### თავისუფლება

დაველოდებით იავარქმნილი  
 საქართველოს  
 მკედრეთით აღდგომას,  
 როგორც მუშა ელოდება ღუმელიდან  
 ნაღობს  
 და როგორც გლეხი შემოდგომაზე —  
 ყურძნის მოკრეფას,  
 რადგანაც სხვა გზა, სხვა ოცნება  
 არ გაგვაჩნია  
 თავისუფლების მძიმე აღმართის  
 დაოკებისა...  
 გვასწავლა ამ გზით სიარული  
 წინაპრების უღრეკმა სულმა,  
 როს იღგნენ „მტკიცედ და შეუწყველად“  
 საქართველოში იერუსალემს,  
 გვასწავლა მტერთა ვერაგობამ  
 და ბრძოლამ წმინდა დვდაენის გადარჩენისთვის,  
 კაცთმოყვარების ტკბილი სამოსი  
 სურს რომ წაჰგლიჯოს  
 ბარბაროსობამ დღეს საქართველოს,  
 გული დაუბზოს და გააყრუოს აზლობელის  
 წვით და ვაებით,  
 ღააბრმავოს ვერცხლის ფულებით  
 და შარი-შურით უფასური ქაღალდებისა,  
 დაამუხჯოს და გონს აურიოს,  
 რათა ვერა თქვას ვერრა სათქმელი  
 მართალი სიტყვით წინაპრებისა,

ვერ გარჩიოს, რა არის მისთვის  
დღეს სანუკვარი წყაროს წყალივით  
თავისუფლების მიღწევის გზაზე.

თავისუფლებას საქართველოსთვის რომ ვამბობთ,  
მაშინ

თვალწინა გვიდგას ეს ქვეყანა იმერ-ამერით,  
ყველანი და ყველაფერი, რაც მის მიწაზედ  
დაიარება და ლამობს სიხარულს...

აბა, დამპყრობი და ორგული როდის თავს უფლობს,  
რადგანაც ღმერთმა არ მიუჩინა

მას ანგელოზად სიყვარული ადამის მოდგმის...

დაველოდებით საქართველოს თავისუფლებას,  
თითო წმინდა ქვა და ნათელი მცირე დულაბი  
მის მკვრივ საძირკვლებს

ვანაცვალოთ ვით შვილს — ალერსი,  
თუნდაც ვიცოდეთ, რომ ყველანი ვერ მოვესწრებით  
და რომ გზა გველის საფათერაკო და საშიშარი...  
ამ წმინდა გზაზე

ნურგინ დაგვწამოს სულმოკლეობა და სიძულვილი,  
რადგან სიბრძნეა და სიყვარული მისი ნათლია.

დაველოდებით საქართველოს მკვდრეთით აღდგომას,  
რადგანაც სხვა გზა, სხვა ოცნება არ გაგვაჩნია!..

**ჩემოდანი**

რამდენი რამე  
შეუძლია ადამიანს  
მოჰყვეს  
თავის იღუმალი ფიქრების  
და განცდის ბარგიდან,  
მაგრამ რატომ ასე  
ხშირად ვაცრეცილი,  
მოძულეებული ჩემოდანივით  
მიუგდია  
ნესტიან კუნჭულში  
მახსოვრობისა  
და ეშინია გახსნას

სავსე ძველი ნივთებით  
ოთხკუთხა კოლოფი,  
თუმცა იცის, რომ  
ეპიზოდურად განიავება  
გაახალისებს უსინათლობით  
გულმოკლულ ჭინჭებს...  
ეშინია, რომ  
იძულებული იქნება  
შეელიოს ზოგიერთ  
ძველმანს,  
ეშინია, თვით იმ აზრისა,  
რომ აღრე თუ გვიან  
უნდა ხელი შეახოს  
მოგონებათა არც თუ  
ისე უსაფრთხო ტვირთს,

როგორც ბომბს  
უსასრულო დროის საათით.  
სძულს მოგონება, როგორც  
მონადირეს

აშმორებული გახრწნილი მძორი  
და შორს იცილებს  
ფიქრს სანუკვარ ბარგზე.  
ეშინია, ყველაზე  
უფრო ეშინია  
სიმართლის,  
ნამდვილი სიმართლის,  
საკუთარი დალატისა და  
სიყვარულის,  
ეშინია იმ უბედური, აბეზარი  
ამაყი ბარგისა.


**შემოდგომა**

შემოდგომაა გვიანი  
და მზის სითბოს  
მონატრებული მიწა  
თვითონ ასხივებს  
ზღაპრულ მწვანე-ყვითელ  
სინათლეს —  
როგორც სანთელი,  
რომელიც იწვის  
შეუცნობელი შინაგანი  
სხივიდ მღიმარე,  
როგორც ლავა  
დაღვენილი,  
გაციებული —  
გადაჰკვრია მიწას  
მწვანე-ყვითელი  
იდუმალი სითბოს სამოსი.  
გზის გადაღმა  
ქოხი დამზრალი ქათამივით  
აბუხულა და იჭერს  
სითბოს, ასე ძვირფასს  
ადამიანისათვის,

რომელსაც ბუხრის პირას  
ბეებიის ზღაპარივით ათბობს  
გახსენება უკვე სამუდამოდ  
დაკარგული  
წარსული ზაფხულის...

**თოვლი**

თოვლი მოვიდა  
თითქოს მოულოდნელად,  
ზამთარმა ოქროსფერი გადენა  
შემოდგომა —  
ხანმოკლე, ჩუმი და  
უპრეტენზიო...  
მოულოდნელად დათმო  
შემოდგომამ  
თავისი ადგილი,  
იყო ლამაზი, მაგრამ სუსტი  
და უხერხემლო,  
ჩვენ კი კიდევ დიდხანს  
გავისხენებთ და გულნაკლულნი  
ვიტყვიით: „მოულოდნელად“...  
ახლა კი თოვლია — თეთრი,  
ქათქათა,  
კვირაა დღეს და  
მანქანები ვერ წაბილწვენ  
პირველყოფას  
„მოულოდნელად“ მოსული  
თოვლის.





მასტანზ ახვლედიანი

## რავი—ბუყბუყ-ღვიოს ნათლია

— უხ, გენაცვალე?! — შეჰყვირა ბიჭუნამ, როცა მელანო ბებომ ზღაპრის თხრობა დაამთავრა, — რომ გავიზრდები, მეც გავხდები ძლიერი!

— გახდები, შვილო.

— ამირანივით?

ქალმა თავზე ხელი გადაუსვა შვილიშვილს.

— იცი, რატი, რატომ იყო ასე ძლიერი ამირანი?

— ვიცი. დიდი ღონე ჰქონდა და იმიტომ. ღონე კი იმიტომ ჰქონდა, რომ ყოველ დილით ცხელ რძეს სვამდა.

მელანო ბებომ გულში ჩაიკრა ბიჭუნა. ეფერებოდა, თან გულთანად ცინოდა.

— ეგ ხომ თავისთავად, რატი...

— აბა, კიდევ რატომ?

— ხალხისათვის სიკეთე მოჰქონდა და იმიტომ.

— მეც მასეთი ვიქნები, ბებო, აი ნახავ... — უცებ ჩაფიქრდა, — მაგრამ... ახლა ბაყბაყდევეები რომ აღარ არიან?

— ცხოვრება ისეთია, შვილო, ვინ იცის, იქნებ ბაყბაყდევეზე უფრო ძლიერ დევებთან მოგიწიოს შერკინება.

— ბებო, ბებო, ესე იგი არიან? რა კარგიაა!..

მელანო სამზარეულოში გავიდა. რატიმ სათამაშო ხმალი მოძებნა, მხარიღლივ გადაიკიდა და დიდი სარკის წინ გაჩერდა, ფეხებგაჩაჩხული.

უცებ მოიწყინა.

„ეჰ, ჩემს გაზრდამდე იმდენი წყალი ჩაივლის!..“

— ბებო! — გასძახა სამზარეულოს, — რამდენი წლისა ვარ?

— ოთხისა.

— ირაკლი რამდენი ხანია ზუთისაა, ლაშიკოც. მე კი სულ ოთხის და ოთხის!..

— ნუ ჩქარობ, შვილო, მოესწრები.

რატიმ ხმალი იშიშვლა და სარკეში თავის ორეულს ფარიაობა დაუწყო.

შემოსასვლელი კარი გაიღო. ზღურბლზე რატის დედა — ნატო გამოჩნდა.

— დედა მოვიდა! — შეჰყვირა ბიჭუნამ და ფეხებზე მოეხვია. — დედიკო, რომ არ იმუშაო, არ შეიძლება?

— არ შეიძლება. ცირკში წავიდეთ?

— ცირკში? ბე-ბი-ააა!.. — რატი სამზარეულოში შევარდა, — ცირკში მივდივართ. — ისევ დედასთან დაბრუნდა. — მამიკოც მოდის? ნატომ მხრები აიჩჩია.

— თუ მამიკო არ წამოვა, არც მე წავალ! — გაჯიუტდა რატი.

— რატომ?

— იმიტომ.

— ეგ რა პასუხია. ხომ იცი, მამაშენს ცირკი არ უყვარს.

— მაშინ ბებოს ვთხოვოთ.

— ვთხოვოთ, — თქვა დედამ და სამზარეულოში შევიდა. რატიც მიჰყვა.

— მცალია? — უპასუხა მელანო ბებომ. მერე რატის გადახედა და ოდნავ მოუღბა სახე, — კარგი წარმოდგენაა?

— ძალიან! — უპასუხა ნატომ.

— ჰოდა წადით, თქვენ წადით.

— თენგოს ეჯავრება ცირკი.

— შენ და რატი...

— არა! — მტკიცედ თქვა ბიჭუნამ.

დედა ნატომ და მელანო ბებომ ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიწურეს: ნეტავი რა ბზიკმა უკბინაო? რატი ტელეფონთან მივიდა. მართალია, ციფრებს ვერ არჩევდა ჯერ, მაგრამ დედიკოსა და მამიკოსათვის როგორ უნდა დაერეკა, ზეპირად იცოდა. ბებიამ ასწავლა.

— მამი, სახლში როდის მოხვალ? რატომ ასე გვიან? დედიკო რა ხანია მოვიდა. დედიკომ, ცირკში წავიდეთო. უშენოდ არ წავალ... თვითონ ვარ ცირკი? აბა, რას ამბობ, ერთი ციციქნა ბიჭი იმხელა ცირკი როგორ ვიქნები!.. არ ვჯიუტობ. არ წავალ და მორჩა! მოხვალ?... ეხლავე... დედა, მამიკომ თქვა, ტელეფონთან მოვიდესო...

ნატომ შვილს ყურმილი გამოართვა:

— მე ვარ, თენგო. უშენოდ არ მოდის. კარგი ერთი, ავიჩემებია, არ მიყვარს, არ მიყვარსო... გადასარევი წარმოდგენა ჰქონიათ, მსოფლიოს საუკეთესო მსახიობები მონაწილეობენ. — ყურმილი დადო. — მამა ცირკთან დაგვხვდება, რატი.



ცირკის შენობასთან ხალხი ირეოდა, მაგრამ რატიმ მაშინვე შენობა  
 ნა მამა — მაღალი, სიმპათიური.

— ამბობენ, საინტერესო პროგრამა აქეთო, — თქვა მან.

— დედიკო ტყუილს როდის ამბობდა. — უპასუხა რატიმ.

დარბაზში შევიდნენ და ადგილები მოძებნეს. ნატოსა და თენგოს  
 შუაში უნდოდათ ჩაესვათ რატი, მაგრამ ბიჭუნამ თავი გააქნია, დედიკოს  
 გვერდით დავჯდებო.

მართლაც კარგი სანახაობა იყო. რატი ხან იცინოდა, ხან კიდევ ში-  
 მისაგან თვალეზზე იფარებდა ხელებს. განსაკუთრებით მაშინ შეშინდა,  
 ერთმა ათი-თორმეტიოდე წლის სიფრიფანა გოგონამ ძალიან მაღლა, თი-  
 თქმის ცირკის თაღებში ფრენა რომ დაიწყო.

სულ ბოლოს, მხეცები გამოცვივდნენ და სირბილი მორთეს. სხვა-  
 დასხვა ჯიშის ცხოველები ერთმანეთში ირეოდნენ. საქმიანი გამომეტყვე-  
 ლებით დარბოდნენ, თავთავიანთ საქმეებს აკეთებდნენ, სულაც არ უშლი-  
 დნენ ერთმანეთს. მერე არენაზე კვართებში გამოწყობილი ძალიან ლამაზი  
 ქალი გამოვიდა. ხელში ჯოხი ეჭირა. მომთვინიერებელიაო, თქვა მამამ.  
 იმ ქალის გამოსვლისთანავე მხეცებმა სირბილი შეწყვიტეს და თავიანთი  
 ადგილები დაიჭირეს. ღმერთო, რა ჭკვიანები და გამგონეები არიანო,  
 თქვა დედამ. ეს მხეცები ცალკე და რატი ცალკეო. რატის, რასაკვირვე-  
 ლია, არ მოეწონა დედის სიტყვები და გადაწყვიტა გაბრაზებულიყო. მა-  
 გრამ ვინ აცალა. მოულოდნელად ფრთების ტკაცანმა გააყრუა იქაურო-  
 ბა — უთვალავი ფრინველი შემოფრინდა სხვადასხვა მხრიდან, ერთხანს  
 იფარფატეს, იფარფატეს და ცხოველებს დაასხდნენ. კლოუნმა, ჭრელ შა-  
 რვალსა და ფართხუნა პიჯაკში გამოწყობილმა ძიამ, ამოიბრინა და რატის  
 წინ გაჩერდა. ხელში მიკროფონი ეჭირა.

— რა გქვია, ბიჭუნა? — ჰკითხა ქართულად.

— რატი.

— რამდენი წლისა ხარ, რატი?

— ოთხისა.

— ცხოველები გიყვარს?

— ძალიან.

— აბა, მითხარი, რა ცხოველებს ხედავ აქ?

— ის მაიმუნებია... ისა... ზოლებიანი ცხენები, რგოლებზე რომ  
 სხედან, თუთიყუშებია...

— ყოჩაღ, რატი!...

— მაგიდაზე შავი ვეფხვი ზის. ხოლო... შავი ვეფხვი ნამდვილი  
 ვეფხვი არ არის...

— ბიჭოს!

— არ იცოდი? ნამდვილი ვეფხვი, ძია, მის გვერდით რომ ისაა. თავზე კი მტრედები ასხედან ყველას.

მომთვინიერებელმა ქალმა ცხოველებსა და ფრინველებს ერთი შეუყვარა და მათაც კუნტრუმ-კუნტრუშითა და ფრთხილ-ფარფატიტ დასტოვეს არენა. იქ ახლა უზარმაზარი აბაზანა გამოიტანეს და კარგად გაამაჯრეს. მერე ბრეზენტის მილით წყალი მიუშვეს შიგ. მომთვინიერებელი დროდადრო ხელს ჩაყოფდა, ალბათ, ტემპერატურას თუ სინჯავდა. მერე თავი დაიქნია, კარგაიო. თქვა ეს თუ არა, ფარდები გაიწია და უზარმაზარი შავი ცხოველი გამოჩნდა. რატის არასოდეს ენახა ასეთი ცხოველი, არა. თითქოს ენახა და არც ენახა. შავი იყო და ძალიან დონდლო. მოდიოდა მოლაპლაპობდა. როგორც კი წყლით სავსე აბაზანა დაინახა, მაშინვე იქით გასწია. ეტყობა, ბანაობა ძალიან უყვარდა. კი, დიდი იყო ცხოველი, მაგრამ აბაზანის კედელი კიდევ უფრო მაღალი იყო. როგორ ჩასულიყო შიგ? ცხოველი ცოტა შეფიქრიანდა, მერე კულისებში გავიდა და ისევ გამოჩნდა. საცალფეხო კიბე მოჰქონდა პირით. ძლივს მიაყუდა. ასეთი მსუქანი იმ ვიწრო კიბეზე როგორ გაივლისო, ის იყო გაიფიქრა რატიმ, და ცხოველი კიბეს შეუდგა. ღრთხალად მიიწვედა მალა. მთელი სხეული უცახცახებდა. მალე დარბაზში ტაშმა იქუხა, ის დონდლო კი აბაზანის თავზე იდგა და ქედის მოხრით მადლობას იხდიდა. მერე უცებ — ოჰლა! — და წყალში დგაფანი მოადინა. კვლავ ვაისმა ტაში. ახლა მომთვინიერებელმა დეიდამ გააკეთა ღრმა რევერანსი.

- აი, იმას რა ჰქვია, რატი? — შეეკითხა კლოუნს ბიჭუნას.
- იმას? ჰი-ჰიი!.. ის ზომ მზეცი არ არის. ის... ცირკის დეიდაა.
- არა, რატი, წყალში რომ ქშინავს და ამთქნარებს...
- ეძინება, ალბათ, იმიტომაც ამთქნარებს. მეც რომ ჩამაწვევენ აბაზანაში, ისე მომინდება ძილი, ისეი!.. თქვენ, ძია?
- მეც.
- თბილი წყალი გელუტუნებათ?
- უჰ!.. — კლოუნმა თვალები მინახა. უცებ გამოერკვა, — რა შუაშია თბილი წყალი და აბაზანა, იმ ცხოველს რა ჰქვია-მეთქი, გეკითხები.
- რა ჰქვია და... აი, იმას, ძია?
- ჰო, იმას.
- ისა...
- აბა, ბავშვებო, ვინ იტყვით?
- ბეჰემოთიი! — იქუხა დარბაზმა.
- არაფერიც! — რატიმ კლოუნს ხელიდან გამოგლიჯა მიკროფონი და სკამზე შედგა. ძალიან ამაყი ბიჭუნა იყო ჩვენი რატი, ძალიან. — არა-

ფერიც! — გაიმეორა მან, — ის... ის ბუყბუყ-დევია!..

— რაო?! — ნატომ, თენგიმ და კლოუნმა ერთმანეთს გაღაბნეს, მერე, ხომ არ მოგვეყურაო, ისევე ჰკითხეს, — რაო?..

— ბუყბუყ-დევი!

— სწო-რე-ა! — დამარცვლით თქვა კლოუნმა, ხელის სწრაფი მოძრაობით რატის გულისკობიდან კანფეტი ამოუღო და მიაწოდა. „დათუნია ბაჭბაჯა“ იყო.

— ხომ გიყვარს კანფეტი?

— ძალიან! — უპასუხა ბიჭუნამ.

— რა უნდა უთხრა ძიას? — უსაყვედურა დედამ.

— რა უნდა ვუთხრა?

— შად...ლო...

— რად უნდა ვუთხრა მადლობა, კანფეტი ხომ ჩემი იყო.

მათი საუბარი მთელს დარბაზში ისმოდა და დიდი და პატარა ხარხარებდა. ზოგი იმასაც ამბობდა, რა კარგად მოუფიქრებიათ ყველაფერიო! მერე სკამზე მდგარი რატი საკუთარი ჯიბეების ქექვას შეუდგა, იქნებ კიდევ მქონდეს კანფეტიო, ამაზე ხომ მთლად გადაირია ხალხი.

— მეგობრებო! — კლოუნმა ხელი შემართა და მაყურებელი დააწყნარა, — მეგობრებო, ჩვენი ბეჭემოთი ჯერ სრულიად ახალგაზრდაა, სწორედ დღეს შეუსრულდა ერთი წელი, მაგრამ, ხედავთ, რა გიგანტია? ჯერ სადა ხართ. ორი ამხელა გაიზრდება, შეიძლება სამიც. სახელი კი ვერა და ვერ დაუარქვით, ხალხო! ვერ გამოვუძებნეთ. არა, გამოვუძებნეთ, მაგრამ დაგვიწუნა. დაგვიწუნა და დაგვიწუნა. პატარა რატიმ რომ დაარქვა, მაშინვე გაუბრწყინდა თვალები ჩვენს ბეჭემოთს. მერე თავიც დაიქნია — კარგია, მომწონსო!.. — კლოუნმა ბეჭემოთს შეხედა და სიცილი აუვარდა, — მართლაც ბუყბუყ-დევის არა ჰგავს? შეხედეთ ერთი, რამოდენაა და რა სასაცილოდ აბუყბუყებს წყალს!.. მოდით ბავშვებო, საბოლოოდ გამოვცადოთ, მართლა მოეწონა თუ არა.

— როგორ? — შეეკითხა რატი.

— აი, მიკროფონი და დაუძახე.

რატიმ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩასძახა:

— ბუყბუყა-დევიო!..

ბეჭემოთმა წყლიდან თავი ამოიღო და წვრილად დაიბლავლა. ისეთი ზონზონოზა ხომ იყო, ხმა წვრილი ჰქონდა.

— ბუყბუყ-დევიო!..

— უეეე!..

— ბუყბუყ-დევიოო!.. — რატის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— უუეეე! — არც ბეჭემოთი ჩანდა უკმაყოფილო. — უუ-ეეე!..

ბიჭუნას მშობლებს თვალეზე ბედნიერების ცრემლები უბრწყინა-  
ვლათ.

— რა კეთილი ცხოველია, არა, ნატო?

— ძალიან!

— კარგი ჰქენი, რომ წამომიყვანე.

— ეგ რატის დამსახურებაა, თენგო.

— მე არც სხვა დროს წამოვეყვები დედას უშენოდ, — ჩაუროთ რა-  
ტიმ. ისეთი ეშმაკი იყო, ვერაფერს გამოაპარებდი: — არც ცირკში, არც  
კინოში, არც სხვაგან...

— ვითომ რატომაო?

— იმიტომ რომ... ვთქვა?.. — ჯერ დედას შეხედა, მერე, მამას, —  
იმიტომ რომ სულ უცქერიან!

— ვის?

— დედიკოს.

— ვინ, კაცები?..

— მიცქირონ მერე, — თქვა დედამ, — შენ რა, გენანება?

— მე თვითონ გავიგონე, ერთმა კაცმა თქვა: უხხ, მაი ქალი ჩამაგ-  
დებია ერთი ხელშიო!

დედამ და მამამ, რასაკვირველია, ჯერ იცინეს. ცოტა ხნის შემდეგ  
მამამ შეათვალა იერა დედა და ჩაილაპარაკა, მართალია ბავშვი და რას  
ვერჩიო. დედამ შუბლზე აკოცა შეილს და თმებში ჩასჩურჩულა, შენ  
ჩემი ნამდვილი მეგობარი ხარო.

რატომ მხრები აიჩეჩა, ამათ კაცი ვერაფერს გაუგებსო, გაიფიქრა.  
კლოუნნი არენაზე გასულიყო.

— ბავშვებო, — მიმართა მან დარბაზს, — მოდიეთ, ვთხოვთ რატის,  
ჩვენი ბეჭემოთის ნათლიას, გამოვიდეს სცენაზე. აბა, ყველამ ერთხმად.

— რაატიიი, რაატიიი! — გაისმა ბავშვების ხმა.

რატო დედას მიეკრა.

— მარცხვენ, შეილო? — უსაყვედურა მამა-თენგომ. — ან იქნებ  
შენი ბუყბუყ-დევის გეშინია?

— მეშინია? — იუკადრისა რატომ, მერე კლოუნს მიუბრუნდა, —  
წავიდეთ, ძია.

— მართალი ვითხრა, ქართველ კლოუნს პირველად ვხედავ, ნატო. —  
თქვა თენგომ.

— მეც.

მომთვინიერებელმა ქალმა, რომელიც თურმე შორიდან ჩანდა ასე ძა-  
ლიან ლამაზი, აბაზანის კიდეზე ანთებული სანთელი გაამაგრა.



— აბა, რატი, სთხოვე ბუყბუყ-დევეს, ჩააქროს სანთელი.. — მიმატ-  
თა ბიჭუნას კლოუნმა.

— ბუყბუყ-დევო! — ჩაჰყვირა მიკროფონს რატიმ, — გიბრძანებ,  
ჩააქრო სანთელი!

ბეჭემოთმა წყალი ააბუყბუყა, მერე ნელა ამოსწია თავი და აქეთ-  
იქით გააქნია.

რატიმ კლოუნს ახედა.

— არაო?

— ეჰ, რატი! — უსაყვედურა მან, — ჩვენს ბეჭემოთს დაბადების  
დღე აქვს, შენ კი გიბრძანებო, ეუბნები.

— ეწყინა?

— ძალიან.

— ახლა რაღა ვქნა? — ხელები გაშალა ბიჭუნამ.

— ბავშვებო! — მიმართა დარბაზს კლოუნმა, — რა უნდა ჰქნას რა-  
ტიმ?

— სთხოვოს! — უბასუხეს ყოველი მხრიდან.

კლოუნი დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა.

— ჩემო ბუყბუყ-დევო, ჩემო კეთილო-თქო, ასე უთხარ... — ეს „ჩუ-  
რჩული“ კი მთელს დარბაზს ესმოდა, — გთხოვ, ჩააქრე სანთელი-თქი  
გაიგე?

— გავიგე, ძია. — რატი ბეჭემოთს მიუბრუნდა, — ჩემო ბუყბუყ  
დევო, ჩემო კეთილო და... — ისევ კლოუნს ახედა.

— მეტი არაფერი, ჩააქრე სანთელი-თქო.

— მეტი არაფერი, ბუყბუყ-დევო, ჩააქრე სანთელი! — გაიმეორა  
ბიჭუნამ.

— „მეტი არაფერი“ არ უნდა, — გაუსწორა კლოუნმა, — უბრა-  
ლოდ, „ჩააქრე სანთელი!“

— მივხვდი, ძია. ბუყბუყ-დევო, მეტი არაფერი არ უნდა. უბრა-  
ლოდ, ჩააქრე სანთელი.

— ჰო, კარგია. — დაჰყვა კლოუნს.

— კარგია. — დაუდასტურა რატიმ.

ბეჭემოთმა წყლიდან ამოიღო თავი და პირი ისე დააბჩინა, რომ  
რატის შეეშინდა და კლოუნს ამოეფარა. ბუყბუყ-დევი კი აღებდა და  
აღებდა პირს. იმხელა ხახა თავის დღეში არ ენახა რატის. მერე აქეთ-  
იქით შეატრიალა თავი, თითქოსდა მაყურებელს ეუბნებოდა, შეხეო, რა  
კეთილსინდისიერად ვასრულებ თხოვნასო.

უცებ ბუყბუყ-დევმა ხახა დახურა და სანთელიც ჩაქრა.

დარბაზს ტაშმა გადაუარა.



მომთინიერებელმა სათამაშო ბეჭემოთი აჩუქა რატის, კლდუნმა, ასევე დედის გვერდით დასვა.

— რა ბედნიერიაა!.. — ამბობდნენ ბავშვები რატის მისამართით.

— დედიკო, მამიკო, შეხეთ, როგორ ჰგავს ჩემს ბუყბუყ-დეგს, — ამბობდა ბიჭუნა და სათამაშოს გულში იკრავდა.

ბეჭემოთი, როგორც იქნა, ამოვიდა აბაზანიდან და თავისი წომრების შესრლებას შეუდგა. ძალიან გონიერი და მოქნილი გამოდგა ის ერთი შეხედვით ზოზინა და ღონდლო. დარბაზში ტაში არ ცხრებოდა.

— უნდა გამოგიტყდეთ, — თქვა ბოლოს კლოუნმა, — ასეთი შთაგონებით არასოდეს გამოსულა ჩვენი ბუყბუყ-დევი, ალბათ იმიტომ, რომ ეს დღე მისთვის განსაკუთრებულია. დღეს მან სახელი და, რაც მთავარია, მეგობარი შეიძინა. ბუყბუყ-დევო, მართალს ვამბობ? — მიმართა ცხოველს.

ბეჭემოთმა თავი დაუქნია და უე-უუუეე! — დაიძახა. რაც მის ენაზე ნიშნავს: „ძალიან-ძალიან!“ — ეს შემდეგ გაიგო რატიმ.

მეორე დღეს, დილაადრიან, რატის ჯერ კიდევ ტკბილი ძილით რომ ეძინა, ტელეფონმა დაიწკრილა.

ყურმილი, რასაკვირველია, მელანო ბებია ამოვიდა, იმიტომ რომ ასე ადრე მხოლოდ იგი დგებოდა.

— ეს რატის ბინაა? — რიდით იკითხა ვილაცის ბოზმა ხმამ.

— კი, ბატონო.

— ჩვენ ცირკიდან ვრეკავთ... ბუყბუყ-დევის დავალებით. ძალიან-ძალიან აინტერესებს, ნათლია რატის მოეწონა თუ არა ჩემი გამოსვლაო.

— ძალიან-ძალიან მოეწონა. ჰო, გადაეცით ბატონ ბუყბუყ-დეგს, რომ ძალიან-ძალიან მოეწონა რატის მისი გამოსვლა.

— ბუყბუყ-დევი ამბობს, ნათლია რატი დღეს ჩემს წარმოდგენაზე თუ არ მოვა, მე არენაზე არ გამოვალო. — შობოდიშებით თქვა ბოხხმია-ნმა უცნობმა.

— რატიც მოუთმენლად ელის ბატონ ბუყბუყ-დევთან შეხვედრას, — უპასუხა ბებომ.

ეტყობა, მე შენ გეტყვი, ახლა მასაც ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა თავისი შვილიშვილის ნათლულს.

აქედან მოყოლებული, რატი ყოველ დღე დადიოდა ბუყბუყ-დევთან, ხან რეპეტიციებზე, ხან წარმოდგენებზე.

სწრაფად გაიზრდინა დღეებმა. ბედნიერი დღეები, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თვალსა და ხელს შუა შემოგველევა ხოლმე.

მალე ცირკის გამგზავრების დღეც დადგა.



მე არ შევუდგები რატისა და ბუყბუყ-დევის დამშვიდობების აღწერას. კი, ბატონო, მამაკაცი ვარ, თანაც, როგორც ამბობენ, საკმაოდ გულ-მაგარიც... ცხოვრებაში ჭირიცა და ლხინიც მინახავს, მაგრამ... იმ სცენის ვადმოცემას მაინც ნუ მომთხოვთ.

მალე წერილი მიიღო რატიმ. არ იკითხავთ, საიდან? სა-ფრან-გეთი-დან, აბა! რაო? რომელ ქალაქიდან? თქვენ როგორ ფიქრობთ? ჰო, რასაკვირველია... პარიზიდან.

იცით, რა ქალაქია?... ჯერ არ ყოფილხართ? არც მე...

მერე სხვა ქვეყნებიდან.. წამოვიდა და წამოვიდა წერილები. ახლა ხან მელანო ბებო უკითხავდა ბიჭუნას, ხან დედა, ხანაც მამა. უფრო ხშირად — ბებო.

ამა და ამ ქვეყნის ამა და ამ ქალაქში ვარო, ატყობინებდა თავის ნათლიას ბუყბუყ-დევი, ჩემი გამოსვლები ყველას მოსწონსო, განსაკუთრებით ბავშვებსო. მეც მიყვარს ისინი, მაგრამ... სულ შენზე ვფიქრობო, და მისთანანი.

რაო? რით დასრულდა რატისა და ბუყბუყ-დევის ამბავი? როგორ თუ რით დასრულდა. ეს რა მკითხეთ! სად ვაგონილა ნაღდ მეგობრობას დასასრული ჰქონოდას!..

მე, მაგალითად, გულით მჯერა, რომ მალე ისევ შეხვდებიან ერთმანეთს რატი და ბუყბუყ-დევი.

თქვენც ასე ფიქრობთ? ავაშენათ ღმერთმა. თქვენ კი გაიზარდეთ და იზარეთ, ჩემო კარგებო.

ერთ მშვენიერ დღეს თქვენი ქალაქის აფიშებზე თუ თვალი მოჰკრათ ასეთ წარწერას:

„არენახვა მსოფლიოში ცნობილი ბეჭემოთი ბუყბუყ-დევი!“ — იცოდეთ, ის ჩვენი რატის ნათლული ბუყბუყ-დევაა. ჰოდა, მე რომ თქვენი ამბავი ვიცი, აუცილებლად ნახავთ იმ წარმოდგენას. ისიც ვიცი, ძალიან მოგეწონებათ. ყველა მოგეწონებათ, ყვე-ლა, მაგრამ ბუყბუყ-დევი!..

თუმცა, რა გასაკვირია, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ის ღონდლო და ზოზინა, მორჩა, მოსვენება დაკარგული აქვს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეც მაგ დღეში ვარ.

ერთს კი გთხოვთ, ჩემო ჟიჟივა ჩიტუნებო და ლომის ბოკვერებო, ჯიჟივებო, უფროსთან მიდიეთ... რაც ბევრი ბავშვი მიხვალთ, უფრო უკეთუ-იქნება. მიდიეთ და გააგებინეთ იმ გულქვასა და უჯიაკს, რატისა და



ბუყბუყ-დევის ერთმანეთი უყვართ და ენატრებათ-თქო. ძალიან-ძალიან ენატრებათ-თქო.

მეტს ნურაფერს ეტყვიტ. თუ გული აქვს, მიხვდება, ყველაფერს მიხვდება...

რაო, თუ უგულოაო?

უგულო კაცს ცირკში, აბა, რა ესაქმება, ჩემო კარგებო!

## გაგა ჭიხორია

### კეთილი კაცი და მთვარე

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, ცხოვრობდნენ ამ ქვეყნად კეთილი და ბოროტი კაცი. კეთილ კაცს უყვარდა ბავშვები. ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ კეთილი კაცი, ამიტომ ბოროტ კაცს სძულდა კეთილი კაცი.

კეთილ კაცს ერთი ნატვრისთვის ჰქონდა. თუკი მთელს დედამიწაზე რომელიმე ბავშვი მოიწყენდა, ნატვრას აუსრულებდა და წამსვე გამხიარულებდა. ერთ დღეს ბოროტმა კაცმა მოიპარა ნატვრისთვის დამოუვალ ტყეში, მაღალ ციხე-კოშკში გამოუგეტა.

მომრავლდნენ მოწყენილი ბავშვები.

ატირდა კეთილი კაცი. იმდენხანს იტირა, რომ სავსე მთვარე თანდათან დაიღია და საქანელას დაემსგავსა. შეეცოდა მთვარე-საქანელას მოწყენილი ბავშვები, კეთილი კაცი მოხრილ მუხლზე შეისვა და ციხე-კოშკისაკენ წაიყვანა.

მიღუღლმა მთვარემ იოლად ჩაყო ნამგალა წვერი კოშკის საკვამურში. პატარა ნატვრისთვის ამოაძვრინა და კეთილ კაცს გადასცა.

კეთილმა კაცმა მაშინვე ბავშვებისათვის ლამაზი და კეთილი სურვილების ასრულება ინატრა. გამხიარულდნენ მსოფლიოს მოწყენილი ბავშვები.

13 წლის გაგა ჭიხორია საჩხერის ა. წერეთლის სახელობის საშუალო სკოლის მეთაველახელია (პირველი კლასის გაუვლელად ექვსი წლისა ჩარიცხეს მერე კლასში). წლებანდელ ტრაგიკულ გაზაფხულზე ტოლებთან ერთად გაგა მონაწილეობდა მიწისძვრის შედეგად დანგრეული საბავშვო ბაღიდან პატარების გამოყვანაში... შემდეგ უბრალოდ დარჩენილი, მშობლებთან ერთად ბათუმში, პანსიონატ „მეხბეთში“ ცხოვრობდა. საჩხერეში დაბრუნების წინ რედაქციაში გამოიარა და ეს ჩანაწერები დაგვიტოვა, რომელიც შევა კრებულში „ოცი წლის მერე დასაწერი მოთხრობები“.

იმ დღის მერეა, ბავშვებს ყველა კეთილი სურვილი რომ გვისრულ-  
დებოდა...



## ჩ ი ტ ი

გარეთ ცხრათვალა მზე კაშკაშებს. დედა როიალს უზის და უკრავს  
დაკარგულ გემზე. მე მიყვარს სიმღერა, ალბათ, ჩიტსაც უყვარს. ამიტომ  
შემოფრინდა ოთახში.

მაგრამ ტყვეობაში დიდხანს ვერ გაძლო და გულგახეთქილი მიას-  
კდა ფანჯარას, რომელიც მე მივუხურე.

დედამ დაკვრა შეწყვიტა. ოთახში ჩიტის საცოდავი ყიჟყივი ისმოდა  
მხოლოდ.

— გაუშვი, ცოდვაა, იფრინოს! — მითხრა დედამ.

სარკმელს ვაღებ. ოთახი ისევ ივსება როიალის ხმებით, მაგრამ პა-  
ტარა ჩიტი აღარ ბრუნდება. ლალად მიფრინავს შორს, შორს...

ნეტავი შენ, ჩიტო!

ვინ იცის, ოდესმე მეც შენსავით გადაუფრინო მთებს, ზღვებსა და  
ოკეანეებს.

რა კარგია, რომ შემეძლოს ჩიტივით ფრენა!

## მ ა ყ ვ ა ლ ზ ე

ამბობენ, ტკბილეულობა ქალის საქმეაო. მე ჩემი თავი ნამდვილ მა-  
მაკაცად მიმაჩნია, მაგრამ მურაბები ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით მა-  
ყვლისა.

მაყვალი თავის ფეხით არ გესტუმრება სახლში, ამიტომ გადავწყვი-  
ტე თავად ვწვეოდი ტყეში კალათით.

ეს კალათა ჩემი ნახელავია. თხილის ჯოხები მე და მამამ ზორიათუ-  
ლაზე დავეჭერთ, გავხადეთ, გავთაღეთ, დავალბეთ და მოვწანით გოდ-  
რებიცა და ხელკალათებიც. შემოდგომაზე დაგვჭირდება, ბაზარში ზომ  
უნდა გაიქცე კაცი.

კალათას ავსებებს ცოტა მაკლდა, ზედ ზრამის ნაპირას გადაკიდებული  
ჩაყლურჭებული, შავად დაკვრახული მაყვალი შევნიშნე და იქით გავიქე-  
ცი, მაგრამ ფეხი ამისხლტა და გადავვარდი.

ვერ ვიტან მტირალა კაცებს. ან რატომ უნდა მეტირა? ტკივილის  
ატანა ყოველთვის უნდა შეგეძლოს. მაყვლის მეტი კი რაა, თავიდან მოვ-  
რეფ.

სალამოთი დედაჩემი მოვიდა და სამზარეულოში მაყვლის მურაბის  
ამო სუნი დადგა.



ქორჟ სიგნონი

# ბაიეელი ქალბატონი

\* \* \*

წმინდა გიორგის სასტუმრო მიეკუთვნებოდა ისეთ პატარა სასტუმროთა რიგს, რომლის პოვნა შეიძლებოდა ნებისმიერ ქალაქში. მათ შესახებ თქვენ ვერაფერს შეიტყობდით მანამ, სანამ ვინმე არ მიგაგზავნიდათ იქ. მისი მღვმურები გასლდათ მღვდლები, ფანატიკოსი გაუთხოვარი ქალები, მოხუცები — მოკლედ ყველა ის, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებული იყო ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან, ეკლესიის მხახურთაგან, თაფლის სანთლების მოვაჭრეთა ჩათვლით.

სასტუმროს ვესტიბიული გავსებული იყო ჩაღისსაჯდომიანი სკამებით. მეგრე უკვე ნახვარი საათი იცდიდა. მის ჯერდით მკდომმა მოხუცმა ქალმა უკვე რამდენიმეჯერ მიატოვა თავისი საქსოვი და მკაცრი მზერა მიაპყრო ჩიბუხის ცისფერ ბოლს. რომელიც შანდლებს ეხვეოდა.

„შენ კი, ძვირფასო, იმას ელოდები, ვისაც მე“, — მაშინვე გაიფიქრა მეგრემ, როგორც კი შეამჩნია ვესტიბიულში ნერვიულად მოსიარულე ახალგაზრდა კაცი, რომელიც წამდაუწუმ საათზე ისედებოდა.

ნახევარსაათიანი ლოდინის დროს მამაკაცებმა ცოტა რამ შეიტყეს ერთმანეთის შესახებ, თუმცა არც გალაპარაკებიათ ერთმანეთს. ახალგაზრდა კაცის ნაზრევი არც ისე რთული იყო: „აი, როგორია ეს განთქმული კომისარი, რომლის შესახებ მიაშპო სესილმა, შესახედავად არც ისე საშიშია... ჩასუქებული, უწყინარი... რამ მოიყენა სასტუმროში? ალბათ, რაღაც ახალი ამბებია...“!

მეგრე კი ფიქრობდა: „ცუდი ბიჭი არ უნდა იყოს ეს უკ მეჩხე! ლამაზია, შეიძლება, ზედმეტადაც ლამაზი. არაფრით ჰგავს პროვინციელს. ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ საკუთარი აზრებიც შეიძლება გააჩნდეს. სახის სწორი ნაკვთები, ტალღოვანი თმები, ნათელი თვალები... მჩქევნარე სისხლი... აი, მადმუაჯელ სესილიც მოდის! დღის სინათლეზე ღვთისმოსავი ჩანს“.

შემოსვლისას სესილმა პირველად უკ მეჩხე შეამჩნია და მის სახეს ღმილი გადაეფარა. მაგრამ ახალგაზრდა კაცმა კომისარზე მიუთითა და ის ოდნავ მოღუშული სახით მეგრესთან მივიდა.

— თქვენ ჩემთან ლაპარაკი გასურთ? — იგი აშკარად უკმაყოფილო იყო, რომ მეგრემ მისი საყვარელი ნახა.

— მე ზოგიერთი დეტალის გარკვევა მინდოდა, მაგრამ მგონია აქ ამის გაკეთება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქორიხი“ № 2.

უხერხულია. სასტუმროში ისეთი სიჩუმეა, რომ ბუხის გაფრენაც კი ისმის. კაფეში ხომ არ წავსულიყავით?

სესილმა შერისხსაკენ გაიხედა. მან თავი დაუკრა და რამდენიმე წუთში სამივენი ბარში, ბილიარდის მაგიდის მახლობლად ისხდნენ.

— უპირველეს ყოვლისა, ნება დამრთეთ გითხრათ, მადმუაზელ სესილ, რომ თქვენ სულ ტყუილბურალოდ არ გამიმხილეთ თქვენი ნაცნობობა მესიე მერსიესთან.

— მე ვფიქრობდი, რომ ამას არავითარი კავშირი არა აქვს საქმესთან. მაგრამ, რა თქმა უნდა, მივხვდი, რომ ფილიპმა ყველაფერი გაიშპოთ, კიდევ რა გითხრათ ჩემს შესახებ?

— როგორც თვითონ ხვდებით, არაფერი კარგი. როგორც ვფიქრობ, ის, როგორც იტყვიან ჭინტლმენია. ლუდი, გარსონ! თქვენ რას დალევთ, მადმუაზელ, პორტვინს? თქვენც იგივეს?

მეგრე უთვალთვალებდა მაუღზე გაგორებულ ბილიარდის ბურთებს, ქაჩავდა თავის ჩიბუხს და სავსებით კმაყოფილი იყო პროვინციული ცხოვრებით.

— მაშ ასე, ეს უკვე ორი წელია, რაც გრძელდება?

— ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ორი წლის უკან.

— და უკვე რამდენი ხანია, მერსიე გაკითხავთ მოხუცი ქალბატონის სახლში?

— წელიწადზე ცოტა მეტი.

— და თქვენ არ მოგხვლიათ თავში დაქორწინებულიყავით?

— მოხუცი ქალბატონი, როგორც თქვენ თქვით, არასდროს დაუშვებდა ამას, ის ღალატად ჩათვლიდა, მას ჩემს მეტი ქვეყანაზე არავინ ჰყავდა... გარდა დისწულისა, რომელსაც ვერ იტანდა. ის როგორც თავის საკუთრებას, ისე შექცეოდა, მე იძულებული ვიყავი დამემხალა ჩემი ურთიერთობა უკან.

— თქვენც ჰერია, მერსიე.

— მე არ მინდა, რომ გამჩიონ...

— არავინ ფიქრობს თქვენს რამეში გარეჯას. მადმუაზელ სესილმა მოითხოვა გამოძიების ჩატარება, თქვენ კი შეგიძლიათ დანშარება აღმოუჩინოთ პოლიციას, თუკი პასუხს გასცემთ ჩემს შეკითხვებს. ფილიპ დელიჟარი ირწმუნება, რომ თქვენი საქმეები ძალზედ ცუდად არის.

— ეს...

— ეს სიმართლეა?

— უპასუხე, უკაც.

— ღიას, სიმართლეა, მე და ჩემმა მეგობარმა ერთად ვიყიდეთ სამი სატიკერთო მანქანა. ლა-მანზის პატარა ნავსადგურიდან თევზის გადმოსაზიდად, საუბელუროდ მანქანები ძალზე ძველი აღმოჩნდა და...

— და როდის?

— რა როდის?

— როდის ამთავრებთ თქვენს საქმეს?

— უკვე სამი დღეა, მანქანები გაჩერებულია, ვინაიდან გარაჟის იჭარა ვერ გადავიხადეთ;

— გმადლობთ. ახლა, მადმუაზელ, ხომ ვერ გამიმეორებდით, რომელზე მიხვედით რეკოლეს ქუჩაზე?

— გუშინწინ? დაახლოებით ოთხზე... ანუ არა, ფაკ?

— თქვენ ერთად იყავით?

— მე მანქანით მივიყვანე და კუთხეში ველოდებოდი. ეს იყო სუთის სუთ წუთს



— თქვენ ერთად ჩამოხვედით ბაიდან?

მეგრემ ვაბრაზებით შეხედა სესილს, რომელმაც ადრე უთხრა, კანში ავტობუსით ჩამოვედიო.

— მაშ ასე. ახლა მითხარით, მადმუაზელ, აი რა: როდესაც გაზეთიდან შეიტყვეთ უოზეფინ კრუაზის გარდაცვალება, თქვენ უკვს სთხოვეთ კანში ჩაყვანა, რომელ საათზე ჩახვედით იქ?

— დაახლოებით დილის ათის ნახევარზე.

— დაწვრილებით მიაშბეთ, რაც დაინახეთ.

— ჯერ დავინახე ლაქია, მერე სხვადასხვა ადამიანები ვესტიბიულში, შემდეგ ფილიპ დელიუარი, რომელიც მოვიდა ჩემთან და ჩაეცინა: „მე კი ვიფიქრე, რომ თქვენ უფრო ადრე მოიბრუნდით“. მერე მე დავინახე დეილა...

— მომიტყვევო. თქვენ ცხედარი დაინახეთ? სად?

— კუბოში.

— ესე იგი, ის უკვე კუბოში ესვენა. მაგრამ ჯერ სახურავი არ დაეხურათ?

— მათ მოგვიანებით დაახურეს სახურავი. ხალხი, რომელიც მე პირველ სართულზე ვნახე, მეკუბოვის გამოგზავნილი იყო.

— და თქვენ იცანით სახე? დარწმუნებული ხართ ამაში?

— რა თქმა უნდა. აბა, სხვა ვინ უნდა დამენახა?

— რაიმე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევიათ?

— არა, მე ვტიროდი... ძალიან აღელვებული ვიყავი...

— და ბოლო შეკითხვა: ვიცო, რომ მთავარი შესასვლელი რეკლეს ქუჩაზეა, ფიქრობ, უნდა იყოს სხვა შესასვლელიც?

— დიხ. თუ სათადარიგო კიბით ავალთ მეორე ხართულზე.

— რამდენია ჩემზე, გარსონ? გმადლობთ, მადმუაზელ, და თქვენც, მესიე ერსიე.

მეგრემ გადაიხადა ანგარიში და ფეხზე წამოდგა. ის კმაყოფილი იყო საუბრით.

რამოდენიმე წუთის შემდეგ, ისე რომ, პირიდან ჩიბუხი არ მოუცილებია, მეგრე შევიდა დელიუარის კლუბში და მდივნის კაბინეტისაკენ გაემართა. აქ მან ბევრი შეკითხვა დაუსვა და პასუხი უბის წიგნაკში ჩაიწერა.

— ახლა ნება დამრთეთ წაგიკითხოთ თქვენი პასუხები. თქვენ თქვით, სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ გუშინწინ ფილიპ დელიუარი მოვიდა კლუბში ექვსის თხუთმეტ წუთზეო... სწორია? პარტნიორები უკვე ელოდნენ მას. ვინიდან თამაში ჩვეულებრივ ხუთ საათზე იწყება. მან დაიკავა ადგილი მაგიდასთან, მაგრამ როგორც კი კარტი დარიგდა, დელიუარი ტელეფონთან გამოიძახეს. ის გაფითრებული დაბრუნდა და განაცხადა, რომ დეიდა გარდამეცვალაო... სულ ესაა, რამეს ხომ არ დამატებდით? გმადლობთ, მუსიე.

\* \* \*

დოქტორ ლევინი, ის ექიმი, რომელიც გამოძახებული იყო მადამ კრუაზისთან, წითურთმიანი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. მას თეთრი ხალათი ეცვა და თავის კაბინეტში სპირტქურაზე რაღაცას ამზადებდა.

— მაპატიეთ, ექიმო, ხელი ხომ არ შეგიშალეთ? კიდევ ერთხელ მაპატიეთ, მაგრამ უნდა დავაუხსტო ზოგიერთი დეტალი, რომელიც მადამ კრუაზის სიკვდილს ეხება. ლევინი ოცდაშვიდი წლის მეტი არ იქნებოდა. მან სულ ახლახან დაიწყო ექიმობა. მისი და როგორც ჩანდა, პაციენტები დიდად არ აწუხებდნენ.



— თქვენ ადრე ყოფილხართ მესიე დელიჟარის სახლში?  
 — მე ძალზედ გამოვიკირდა, როდესაც გამომიძახეს ქალაქის ერთ-ერთ უმდიდრეს სახლში.

— როდის მოხდა ეს? შეგიძლიათ დამისახელოთ ზუსტი დრო?  
 — ზედმიწევნით ზუსტ დროს გეტყვით, — გაელიმა ლევინს, — ჩემთან, მიღების დროს დასახმარებლად მოდის ახალგაზრდა ექთანი, ზუსტად ხუთზე ის მტოვებს. და აი, როგორც კი მან ქუდი დაიხურა და მე დავაპირე დასამშვიდობებლად მეკოცნა მისთვის, ტელეფონმა დარეკა.

— მასხალდმე, ეს მოხდა ზუსტად ხუთ საათზე. დიდი ხანი მოანდომეთ რეკოლეს ქუჩაზე მისვლას?

— დაახლოებით შვიდი-რვა წუთი.  
 — თქვენ სახლში ლაქიამ შეგიშვათ და მეორე საბრუნოზე აგაცილიათ?

— მთლად მასე არ ყოფილა. ლაქიამ კარი გამიღო... ამ დროს კიბეზე გამოჩნდა ქალი და დამიძახა: „სწრაფად ექიმო!“ ეს მაღამ დელიჟარი იყო. მან თვითონ შემეიყვანა დერეფნის მარჯვენა მხარეს განლაგებულ საძილე ოთახში...

— მომიტყევთ, მარჯვნივ მდებარე ოთახში... ოთახში, რომლის კედლებზე აფარებული იყო ცისფერი აბრეშუმი?

— თქვენ ცდებით, კომისარო. ოთახში გაკრული იყო ყვითელნახტიანი ქაღალდის შპალერი.

— და ლუდოვიკო მეთოხმეტის ავეჯი იდგა?

— თქვენ ისევ ცდებით კომისარო. მე ცოტაოდენი მესმის სხვადასხვა სტილი და დარწმუნებული ვარ, რომ ოთახი მოწყობილი იყო რეგენტობის პერიოდის სტილში. ექიმის გასაკვირად, მეგრემ ყველა ეს წვრილმანი უბის წიგნაკში ჩაიწერა.

— მამ ასე. ექვსის ათ წუთზე თქვენ უკვე ზევით იყავით, სად აღმოაჩინეთ მაღამ კრუაზე?

— რა თქმა უნდა, ლოგინში.

— გარდაცვლილი გახდილი იყო?

— აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა?

— მაპატიეთ, შეგაწყვეტინებთ, ესე იგი, ხუთ საათხა და ათ წუთზე უოზეფინა კრუაზე ლოგინში იწვა და უკვე გახდილი იყო. რა ეცვა ტანზე?

— ლამის პერანგი ეცვა.

— სხვა ტანსამოსი იქვე ელაგა?

— არა მგონია... არა. ოთახში სრული წესრიგი იყო.

— და მაღამ დელიჟარის გარდა არავინ იყო?

— არავინ. ის ძალზედ აღელვებული იყო. დაწვრილებით მიაბმო შეტევის მსვლელობაზე. მე გულდასმით შევამოწმე გარდაცვლილი და აღმოვაჩინე, რომ მაღამ კრუაზე ძალზედ დასუსტებული იყო. ეს, სულ ცოტა, მეთათე შეტევა იქნებოდა.

— შეგეძლოთ თქვენ, თუნდაც მიახლოებით, მიგენიშნათ გარდაცვალების დროზე?

— ეს ძნელი არ არის. მაღამ კრუაზე გარდაიცვალა ხუთის თხუთმეტ წუთზე.

შემინებულმა ექიმმა უკან დაიხია, რადგან მეგრე ფეხზე წამოვარდა და მხრებში ღონივრად ჩასჭიდა ხელები.

— რაო? ხუთის თხუთმეტ წუთზე?

— მერედა რაშია საქმე? მაღამ დელიჟარი ტელეფონით ეცადა დაკავშირებოდა ორ სხვა ექიმს და მხოლოდ მერე მომაგნო მე. ამას კი გარკვეული დრო სჭირდება.

— ხუთის თხუთმეტ წუთზე, — იმეორებდა მეგრე, — მე არ მინდა შეურაცხყოფა

მოგაყენოს, ექიმო... დარწმუნებული ხარო, რასაც ამბობთ? თქვენ უარს არ იტყვით/ თქვენს განცხადებაზე, თუ გაიგებთ, რომ ამაზე ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული?

— მე შემძლია მხოლოდ გავიმეორო, რომ..

— კარგი, მე თქვენი მჯერა, მაგრამ უნდა გააფრთხილოთ, თქვენ მოგიწევთ ამ განცხადების გამეორება სასამართლოში და ალვოკატები ყველა ღონეს იმბარენ, რათა გადაათქმევიონ.

— ეს მათ არ გამოუვათ.

— შემდეგ რა მოხდა?

— არაფერი. მე სელი მოვაწერე გარდაცვალების მოწმობას. მაღამ დელიჟარმა მაშინვე მომცა ორასი ფრანკი.

— ეს რა, თქვენი ჩვეულებრივი ჰონორარია?

— არა მგონია. ეს მისი იდეა იყო და არც მე დამიწყია პატივი. მან ჩაშაძილა ქვევით, ლაქიამ კარი გამიღო.

— მეტი თქვენ არავის შეხვედრიხართ?

— არავის.

და მაინც, ეს საქმე მეგრეს ყველაზე უფრო საყვარელ საქმეთა რიგს განეკუთვნებოდა: რესპექტაბელური ფასადი, დადებითი და მეტად შთამბეჭდავი პერსონაჟები — ყველაფერი მიუთითებს მაღალ წინეობრიობას, დაყვანილს მოწყენილობაზე. და სწორედ მეგრეს უნდა დაენგრია ეს ფასადი, გადაექეკა ნანგრევები და ებოვა პირუტყვი, ადამიანის სახიანი პირუტყვი, მატარებელი ყველაზე მაქიერი, ყველაზე საძაგელი სახისა — ფულისთვის მკვლელისა.

პროკურორმა დილით გაუშეორა:

— მოიმოქმედეთ ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩათვლით, ოღონდ იყავით დელიკატური, შეცდომა შეიძლება ძალზე ძვირად დაგაჯდეთ. და მეც თქვენთან ერთად, ფილიპ დელიჟარი ცნობილი პიროვნებაა ქალაქში. მას შეიძლება ვალები ჰქონდეს, მაგრამ ვალი ვის არ ჰქონია, რაც შეეხება იმ ქალიშვილს, იმ სესილს, საქმარისია მას სელი ახლოთ, რომ გაზეთებმა ყვირილი ატეხოს, კაპიტალისტების საწყალი მსხერბლიაო. თქვენი ღოწუნგი დელიკატურობა უნდა იყოს.

— არა უშავს, ვერავინ გაგვექცევა, — პირობა მისცა მან საკუთარ თავს, — ეხლა კი გველოდება ინტერვიუ ლაქიასთან..

\* \* \*

დელიჟარის ლაქიამ გაუღო კარი და მიიხლომა მეგრე მისაღებში მიეცილებინა.

— არა, არა, მეგობარო. მე მინდა გაგესაბროთ პირადად თქვენ. თქვენ რა თქმა უნდა, უკვე იცით, მე ვინა ვარ, ასე არ არის? მაშ, რითი იყავით დაკავებული, როდესაც მე კარზე დავრეკე?

— ყავას გსვამდი სამზარეულოში.

— მაშინ, ნება დამრთეთ, მეც შემოგიერთდეთ. ნება მინდა, რომ იხილოთ ლაქიას ისეა დარჩენილა, რომ მეგრე სამზარეულომდე მიეცილებინა და მზარეულისა და მძღოლისათვის განეცხადებინა: „კომისარს სურს ჩვენთან ერთად ყავა მიირთვას“.

მძღოლს, არსენს ფოლაქებშესხნილი ნაცრისფერი საფორმო ქურთუკი ეცვა, მზარეული კი ძალზედ მსუქანი მოხუცი ქალი აღმოჩნდა.

— ნუ მომაქცევთ ყურადღებას, მეგობრებო. შემეძლო განყოფილებაში გამომეძა-

ხე, მაგრამ რა საჭიროა წვრილმანების გულისათვის თქვენი შეწუხება. არ არის საჭირო ფოლაქების შეკვრა, არსენ. არავითარი ოფიციალობა... ეს როგორ მოხდა, რომ იმდღეს თქვენ ისვენებდით? პარასკეობით ყოველთვის გათავისუფლებენ?

— არა. იმ დღით პატრონმა გამომიცხადა, რომ კვირას მუშაობა მომიწევდა, რადგან ის სამხრეთში წასვლას აპირებდა, ამიტომ უკეთესია პარასკევს დაისვენო.

— ესე იგი, იმ დღეს ფილიპი თვითონ მართავდა მანქანას?

— დიახ. მე მეგონა, მანქანა არ დასჭირდებოდა, შემდეგ კი შევატყვე, რომ უფლია.

— როგორ შეამჩნიეთ ეს?

— მანქანაში ტალახი იყო დარჩენილი.

— ამ დღეს არ უწვიმია. ესე იგი, ქალაქგარეთ გასულა?

— საქმე ის განხლავთ, რომ ჩვენი ქალაქი ძალზე პატარაა, საკმარისია რამდენიმე ასეული მეტრი გაიარო და უკვე მინდორში ხარ.

მეგრე ლაქიას მიუბრუნდა.

— თქვენ სადღა იყავით დღისით?

— ბუფეტში. სასადილო ვერცხლეულს ვხედავდი.

— ზომ არ გახსოვთ, რომელ საათზე გავიდა მაღამ კრუაზე სახლიდან?

— ოთხისთვის, როგორც ყოველთვის. მაღამ კრუაზე კბილის ექიმთან დადიოდა.

ის კი ჩვენს მახლობლად ცხოვრობს.

— როგორ გამოიყურებოდა ქალბატონი?

— როგორც ყოველთვის, მშვენივრად. ის ძალზედ კარგად იყო შენახული. ყოველთვის მხიარული იყო, აუცილებლად გამოგელაპარაკებოდა ხოლმე.

— იმ დღეს რა გითხრათ?

— არაფერი. უბრალოდ დამიძახა: „ჭერჭერობით, ვიქტორ“.

— კბილის ექიმთან ფეხით დადიოდა?

— ის მანქანებს არ ენდობოდა. ბაიდანაც მატარებლით ჩამოდიოდა ხოლმე.

— მანქანა სადღა იყო იმ დროს?

— ვერ გეტყვით.

— მაგრამ გარაუში არა?

— არა, მესიე, მაღამ და მესიე ნასადილევს გაემგზავრენ. ერთ საათში დაბრუნდნენ, მაგრამ, ალბათ, მანქანა მახლობლად დატოვეს. ისინი არასოდეს აჩერებენ მანქანას გამოსასვლელთან — აქ ძალზე ვიწრო ქუჩაა.

— ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ მესიე და მაღამ დელიუარი დაბრუნდნენ სამი საათისათვის. ხოლო ერთ საათში, ოთხზე, მაღამ უსოფენა ექიმთან წავიდა. შემდეგ რა მოხდა?

— მოვიდა მადმუაზელი სესილი.

— რომელ საათზე?

— სუთის ათ წუთზე. მე ვუთხარი, რომ დეიდა სახლში არ იყო.

— და სესილი თქვენს გარდა ვინმემ ნახა?

— არავის უნახავს.

— შემდეგ?

— წავიდა, მესიე, ოთხსა და ოცდახუთ წუთზე. დამამახსოვრდა, ვინაიდან ის ჩვეულებრივ უფრო გვიან მიდის ხოლმე.

— ხელში არაფერი ეჭირა?

— არაფერი.

— და ჩვეულებრივად გამოიყურებოდა?

- რა თქმა უნდა.
- მაშ, განაგრძეთ.
- მე დავიწყე დანების ხეხვა... დიახ. მაშინ მოხდა ყველაფერი. მადამ კრუაზი დაბრუნდა ხუთი საათისათვის.
- და ისევე კარგად გამოიყურებოდა?
- დიახ და მშვენიერ ხასიათზეც იყო. გამებზურა კიდევაც, სულ ტყუილს ამბობენ კბილის ექიმებზე, კბილის მკურნალობა სულაც არ არის მტკიცენულო.
- და შემდეგ თავის ოთახში ავიდა?
- დიახ.
- ყვითელი ოთახი, მარჯვენა მხარეს?
- არა, რას ამბობთ! ეს რეგენტობის სტილში მოწყობილი ოთახია, მასში არავინ არ ცხოვრობს.
- შემდეგ რა მოხდა?
- არ ვიცი... გავიდა რამოდენიმე წუთი. უცბად ჩამოირბინა ქალბატონმა, ძალზე დაღვლებული იყო.
- ერთი წუთით, რა დრო გავიდა მადამ შოზეფინას დაბრუნების შემდეგ?
- დაახლოებით ოცი წუთი. უკვე ექვსის ნახევარი იყო, როდესაც ქალბატონმა მიბრძანა დამერგა კლუბში და მეთქვა მესიესათვის, რომ მის დეიდას გულის შეტევა მოუვიდა.
- და თქვენ დაურეკეთ?
- დიახ.
- და უთხარი, რომ დეიდას გულის შეტევა მოუვიდა?
- დიახ. მე მეთი არაფერი ვიცოდი.
- შემდეგ ზევით ახვედით?
- არა. ჩვენგან ზევით არავინ ასულა. მოვიდა ახალგაზრდა ექიმი და ქალბატონმა თვითონ ააცილა ზევით... 7 საათი იქნებოდა, როდესაც გვითხრეს, მადამ კრუაზი გარდაიცვალა, და ჩვენ ვნახეთ გარდაცვლილი მხოლოდ რვა საათისათვის.
- ყვითელ ოთახში?
- არა, მესიე. ცისფერში.
- ზარმა დაიწკრიალა. ვიქტორმა ჩაიბურტყუნა:
- ეს მესიეა. ჩაის თხოულობს.
- მეგრე დინჯად წამოდგა და კარებისკენ გაემართა.

ფრანგულიდან თარგმნეს თინა სარჯველაძემ და გივი პაპუაშვილიმ.

(დასასრული იქნება).



იზრაილ ბორაძე

## სალაუქსა სელ ნაიყვან...

მე და ჩემმა სტამბულელმა ნაცნობმა, სეიფეთინმა ლეიტენანტს ვთხოვეთ გელიბოლუს ნახევარკუნძულის დათვალიერება. ძალიან გვიანტერესებდა. როგორც მეცადინეობის დროს ვვითხრეს, იმ ნახევარკუნძულზე ინგლისელებისა და თურქების ბევრი სისხლი დაღვრილა. ამ ბრძოლაში ჩვენი გურჯი ჯარისკაცებიც ლებულობდნენ მონაწილეობას და მათი სისხლიც ბევრი დაღვრილა.

თხოვნა შეგვისრულა. ერთ მშვენიერ დღეს შევიკრიბეთ მსურველები და მოვემზადეთ გელიბოლუს ნახევარკუნძულზე წასასვლელად. 20 ასკერის შემადგენლობით დილის საათებში გვემით ეჯაბანდში გავედით. ზღვისპირა პატარა ქალაქია ეჯაბანდი. იქედან მალეა გორაზე ფეხით ავედით, ასეულის უფროსმა შეგვაჩერა და დაიწყო მოყოლა:

— ამ ნახევარკუნძულზე ინგლისისა და საფრანგეთის ჯარისკაცებს ვებრძოდით. იმ სანგრებს რომ ხედავთ, ჩვენი ჯარი იქ იყო ჩასაფრებული. როდესაც ინგლისელების მაშინდელი უძლიერესი საომარი გემი მიადგა ნაპირს, და ნახევარკუნძულს ზარბაზნები დაუშინა, ქედის უკანა მხარეზე განლაგებულმა თურქეთის ნაწილებმა შორიდან აუტეხეს სროლა. მე-ზარბაზნე მემედ ჩაუშის მიერ გასროლილმა ყუმბარამ ინგლისელთა ხომალდი ჩაძირა, ხმელეთზე იერიშისათვის გადმოსულ ინგლისის ჯარსა და თურქის ჯარს შორის გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ეს ბრძოლა თურქეთის გამარჯვებით დასრულდა. — თქვა ასეულის უფროსმა და დაამატა, — მემედ ჩაუშის სახელიც დაუვიწყარია და იგი დაჩჩება ჩვენს ისტორიაშიო, — თქვა და გორაზე აგვიყვანა.

იქ ძალიან ბევრი სასაფლაო ვნახეთ, ინგლისელებისა და თურქების ოფიცრების საფლავებს წარწერები აქვთ, თურქეთის მარშალი ფევზი ჩაქმაღის ძმაც იქ დაღუპულა და მისი საფლავიც ვინახულეთ. მე იმ დიდგემის დაღუპვის ადგილი დავათვალიერე. აქვე იყო ინგლისელი ოფიცრების უამრავი საფლავი ინგლისური წარწერებით.



ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით, როცა უფროსი ლეიტენანტის დედის მოსანახულებლად მივედი, მადლობა მოუხადე. სეფიე ხანუმი დედასავით მეპყრობოდა, სიხარულით შემხვდა და პკითხა:

— რა ნახეთ, შეგისრულათ თხოვნა?

— დიდად კმაყოფილი დავბრუნდით, სეფიე დეიდა!.. როგორც ვაგვიკითხეთ, საფრანგეთის გემიც დაღუპულა ჩანახყალეს მახლობლად და იმისი ნახვაც გვინდა-მეთქი ვუთხარი. ის თხოვნაც შეგვისრულეს. რამდენიმე დღის შემდეგ იქ წავედით. 10-12 ასკერი ვიყავით, მხოლოდ ქალაქელები. სოფლელი ბიჭები არ წამოსულან. ფეხით სავალი იყო. იმ ადგილას რომ მივქდამთ, სადაც გემი დაიღუპა, ერთმა ოფიცერმა მოგვიყვა:

— გემი დაზიანებულა, მაგრამ ზღვაში მთლიანად არ ჩაძირულა. იმ გემიდან ოთხი გრძელლულიანი ზარბაზანი მოუხსნიათ თურქებს და ხმელეთზე გადმოუტანიათ. ჯარს გზა გაუყეტებია და მარხილით ზარბაზნები მალლა გორაზე აუტანიათ.

იმ გორაზეც ავედით და ოთხივე ზარბაზანი ადგილზე ვნახეთ. თურმე ზღვის დასაცავად ყოფილა ის ოთხი ზარბაზანი. ყველაზე უფრო მიკვირდა, ამსიმძიმე ზარბაზნები ასე მალლა როგორ აათრიეს-შეაქცი.

— ორი დღე დავისვენეთ. ისევ კეთილშობილ სეფიე ხანუმს ვავუარე. ამჯერადაც კარი მან გამიღო და სიხარულით შემხვდა:

— მოვიდა ჩემი გურჯი, მოვიდა. მობრძანდით! — გულთბილად მომეხალმა.

— როგორ ბრძანდებით, სეფი დეიდა? — ვკითხე მე.

— როგორ ვიქნები ამ ხნის ქალი?

— ჩინებულად გამოიყურებით, რა დროს სიბერეა?! — ვუთხარი.

— რა ქენით, ხომ შეგისრულდათ ნატკრა, ხომ ნახეთ რაც გინდოდათ?

— შეგვისრულდა და დიდად კმაყოფილი ვარ. მე ჯარში რომ არ ვაქწვიე, ამას როგორ დავინახავდი, ამ ნაომარ ადგილებზე წარმოდგენაც არ მექნებოდა. ორი წელი სრულდება, ქართული რომ თქვენთან დავილაპარაკე. სამაგიეროდ თურქული კარგად შეგისწავლე, იმ ენაზე ვმეცადინებოთ! — ვუთხარი და ის ორი საათი ტკბილ საუბარში ვავატარე. ასე ვადიოდა დღეები. ჩემს ჯარისკაცულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ვიყავი ერთი ჩვეულებრივი ჯარისკაცი, როგორიც იყვნენ სხვები. ზოგჯერ სავარჯიშოდ გავლისას ვფიქრობდი: — ბათუმელო, სადაა შენი სამშობლო? აქ რა გინდა, ვის ჯარში მსახურობ? ომი რომ დაიწყოს თურქეთსა და საქართველოს შორის, ვის უნდა ესროლო ტყვია? შენ ძმას, არა?.. ასეთი მწარე ფიქრები მტანჯავდა.

— ორი წელი მეგობრულად ვავატარე სტამბულელებთან. ისინი უფრო



კულტურული, განათლებული ბიჭები იყვნენ. სოფლებთან მაინცდამაინც ახლო მეგობრობა არ მქონია, იმათი ზნე-ჩვეულება უფრო განსხვავდებოდა ჩემი ზნე-ჩვეულებისაგან. სტამბულებსაც შევეუყვარდი. მათგან ბევრი რამ ვისწავლე.

სალამო ხანი იყო, არც ცხელოდა, არც გრილოდა, სახლიდან გამოგზავნილი წერილი მიღებული მქონდა, ოჯახის ამბავი დაწვრილებით ეიცოდი, ამ მხრივ თავს დამშვიდებულად ვგრძნობდი. წერილის პასუხი უნდა დამეწერა. ამ დროს ყოყინა შომეხმა, გავიხედე. ქულებს იქნივდნენ ჰაერში. ჩემი ახლო მეგობარი სეიფეთინი ჩემთან შემოვიარდა და მომახარა, — წავალთ, წავალთ, მალე წავალთ სახლში!..

გაკვირვებული რომ შეეხედე, განაგრძო:

— ბრძანებაა, უკვე მივდივართ. ვერ ხედავ, ასკერები ქულებს როგორ მსვრიან ჰაერში? — ყოველდღე ამ ბრძანებას ველოდი, რომ ჩვენნი ასკერობიდან დათხოვის დრო მოსულიყო...

ასკერები დიდი სიხარულით ვულოცავდით ერთმანეთს ასკერობიდან განთავისუფლებას.

დილით სერჟანტის ბრძანებით შევიკრიბეთ ეზოში. ამასობაში ჩვენნი უფროსი ლეიტენანტი მოვიდა, გასცა ბრძანება და ჩვეულებრივად სიმაღლის მიხედვით დავდექით მწკრივში.

როცა ყველა ასკერი ერთ ხაზზე ლარით გაიჭიმა, უფროსმა ლეიტენანტმა დინჯად გაიარ-გამოიარა მწკრივს შორის, მერე შუა ადგილას შეჩერდა და ყველას გასაგონად ხმამაღლა გამოაცხადა:

— ასკერებო! მივიღეთ მეორეჯერ ჯარში გაწვეულებისა და წლოვანი ასკერების განთავისუფლების ბრძანება. დღეიდან შეგვისებთ წიგნაკს და გაემგზავრებით, იარაღ-აღჭურვილობა უნდა ჩააბაროთ, არ გაითანტოთ, ყველამ მიიღეთ თქვენი სამხედრო სამსახურის მოხდის წიგნაკი. გისურვებთ ყოველივე კარგს თქვენს პირად ცხოვრებაში.

ჩვენ დიდი სიხარულით ჩავაბარეთ იარაღ-აღჭურვილობა. შევსებული წიგნაკებიც იმ დღესვე მივიღეთ. მეორე დღეს გემით სტამბულის მიმართულებით უნდა წავსულიყავით. დრო ვიხელთე და საფიქრო ხანუშთან გავიარე და დავემშვიდობე. ჩვენი ნაწილიდან სტამბულში წამსვლელი ოთხი კაცი ვიყავით. უფრო მეტი იზმირის მხარეს მიდიოდა. ის ბოლო დამეც ყაზარამში გავათიეთ, დილით ერთმანეთს დავემშვიდობეთ. სტამბულის მგზავრები ერთად მოვთავსდით გემში.

„იზმირი“ დაიძრა ჩანახალეს ნავსადგურიდან. ჩვენ მალე ავედით და ვათვალიერებდით ბუნებას, გული სიხარულით იყო სავსე, რადგან სახლში მივდიოდით, ცოლ-შვილთან, მშობლებთან... ისიც გამახსენდა, თურქეთში ახალჩამოსული რომ ვიყავი და გემიდან ზოფას ნავსად-



გურში დამწუხრებული ზღვის ფსკერს ჩაგყურებდი. მაშინ არაფერი შე-  
ხარებდა, რადგან არაფერი გამაჩნდა, დღეს სულ სხვა სურათი იყო.  
სიხარულითა და მომავლის დიდი იმედით ოჯახში ვბრუნდებოდი. თუმცა  
უცხო გარემო მაინც შენი სამშობლოს სიტკბოს არ გაძლევს, მე თავისუ-  
ფალი სამშობლო მაქვს მხედველობაში და არა ისეთი, როდესაც  
კოლექტივში 17 კაბიკად გაბუშავენ...

გელიბოლუს ნავსადგურს მივადექით. ბევრი ჩავიდა, ზოგიც ამოვი-  
და გემზე, აქედან მარმარილოს ზღვით სტამბულს, სირქეჯის ნავსად-  
გურს მივადექით. აქ ჩავიდა თითქმის ყველა მგზავრი. ერთმანეთს დავე-  
მშვიდობეთ და ჩვენ-ჩვენს გზას დავადექით. სეიფეთთინი არ მომეშვა,  
ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ.

— როგორ შევაწუხო თქვენი ოჯახი? — ვკითხე მე.

— ორი წელია, მეგობრები ვართ, კარგი მეგობრები. ამდენი პარტივის-  
ცემა არ უნდა გვქონდეს ერთმანეთისა? ერთ კვირას არ გაგიშობ სტა-  
მბულიდან. დავათვალთ ერთ ქალაქი. ტანსაცმელი ხომ უნდა გამოიცვა-  
ლო? ჰოდა, აქ იყიდი ჩასაცმელს. — თქვა სეიფეთთინმა.

— კი, შარვალ-კოსტუმი, პერანგი და ფეხსაცმელები უნდა ვიყიდო.  
— თავი დავუქნიე მე, — ბავშვებსაც რამეს წავუღებ, გაეხარდებათ.

— ფული ხომ გაქვს? იყიდე, რაც გჭირდება, თუ არ გეყოს, მე მოგ-  
ცემ და მერე გამომიგზავნი სახლიდან.

— ფული მაქვს, სამი დღის წინ მივიღე სახლიდან 175 ლირა.

— ეს საკმაო თანხაა. მაგ ფულით სასიძოსკვით გამოეწყოები, სახლ-  
ში რომ მიხვალ, იქნებ ვერც გიცნონ!

სირქეჯის ნავსადგურიდან ავტობუსით წავედი სამათიას უბნისაკენ.  
მალე მივედი სეიფეთთინის სახლში. პირველად მისმა დამ დანახა  
ეზოში უფროსი ძმა და სიხარულით მოეხვია, მიულოცა ოჯახში დაბ-  
რუნება. სეიფეთთინმა ჩემზე ანიშნა, ორი წელია ერთად ვართ, ჩემი კარგი  
მეგობარიაო. გოგომ კეთილი მოსვლა მისურვა. ამასობაში დედამისი გა-  
მოვარდა გახარებულთ. შვილს მოეხვია, მეც დაბრუნება მომილოცა და  
სახლში მიმიპატიჟა.

კარგად მოწყობილი სახლი ჰქონდა. ნოხები, ავეჯი... სეიფეთთინის  
დედაც კულტურული, ენატკბილი ადამიანი იყო, ასე 40 წლისა, მისი ქა-  
ლიშვილი თურქიანი 16-17 წლისა იქნებოდა, შავთვალწარბა, გრძელი  
შავი ნაწნავები ძალიან შეენოდა. საერთოდ, მოხდენილი გოგო იყო.  
სეიფეთთინის მამას დაურეკეს სამსახურში და შვილის ჯარიდან ჩამოსვ-  
ლა მიულოცეს. მამა-შვილი ეზოში შეეგებენ ერთმანეთს. ოთახში რომ  
შევედით, უკვე საღამო იყო. სუფრა გაშალეს, ოჯახის წევრებით მიმი-  
ღეს და ყველა ერთად მივუჯექით სუფრას, თანდათან მეზობლებიც მო-

ვიდნენ. სეიფეთთინის მამას მიულოცეს შვილის ჯარიდან დაბრუნება, გვიან საღამომდე გაგრძელდა საუბარი.

დილით რომ გავიღვიძეთ, სეიფეთთინის მამა უკვე სამსახურში წასულიყო. ვისადილეთ და მეზობლებთან ერთად ქალაქში გავედით. პირველ რიგში ასკერის ფორმა უნდა გამოგვეცვალა. ერთ მაღაზიაში შევიარეთ და ყავისფერი შარვალ-კოსტუმი, პერანგი და ფეხსაცმელი ვიყიდეთ. იქვე ჩავიცვი და მართლაც კონსტად გამოწყობილი დავბრუნდი.

მეოთხე დღეს, დილით, გამოვემშვიდობე სტუმართმოყვარე ოჯახს. ჰაიდარ ფაშას მატარებლის სადგურამდე სეიფეთთინმა მიმაცილა...

მატარებელი იზმითისაკენ მიმაქროლებდა. მეორე დღეს დიარბაქირში ჩავედი, იქედან ყურთალანის ბოლო სადგურში ჩამოვედი, ბითლისამდე ცხენით ვმგზავრობდი. მერე ორი დღე ფეხით ვიარე და როგორც იქნა, ოჯახში დავბრუნდი...

(გაგრძელება იქნება)





**ისმაილ ქარა**  
**(შავიშვილი)**

# სადაც ჭორიანი მთავრდება

დიდი სიყვარულით მივესალმები „ქორთხის“ მკითხველებს თურქეთში, ბურსას ინეგოლში, მცხოვრები ქართველი კაცი — მწერალი ისმაილ ყარა (შავიშვილი).

...ვიმოგზაურე მშობლიურ საქართველოში. ბედნიერი ვარ, რომ ვნახე თურქეთში მცხოვრები ყველა ქართველისათვის ძვირფასი დიდი მემღეჭეთი — საქართველო.

ჩემი წერილი, რომლის რამდენიმე თავს თქვენს ჟურნალს ვთავაზობ, ამ დაუვიწყარი მოგზაურობის შთაბეჭდილებებია.

ავტორი

## 1. სარზის შიშპარი

სამიოდ დღეში დიდი მუსლიმანური დღესასწაული ბაირამია. დღე-ღამის გასაყარია, მე უკვე სარფის ჭიშკართან ვდგავარ. ხოფადან აქამდე ტაქსით მოვედი. მანქანა გაჩერდა თუ არა, მგზავრებმა მოუთმენლად, თითქოს ერთდროულად გავადეთ კარები. წინა კარიდან მე გადმოვედი, უკანა კარიდან კი მუსლიმანურად შემოსილი ჩემი მეუღლე და უმცროსი ქალიშვილი — ზეინაბი. სამთავეს ფეხი თითქმის ერთად შეეხო სარფის მიწას. დალილები ვართ, მეტადრე ფერმკრთალად მე გამოვიყურები, ხანგრძლივი მგზავრობისაგან დალილის სხეული ერთთავად მტეხს და ტანში მამტვრევს. ექიმის მიერ სახელდახელოდ გამოტანებული წამლის აბი ენის ქვეშ ჩავიდე, ვატუობ, მთლად საიმედოდ არ უნდა მქონდეს გული. თვალწინ ინეგოლედი ჩემი ექიმის შუქრამ ულუსოსი სახემ გაიღვია, აქ წამოსვლამდე თორმეტი დღით ადრე მშველელი ანგელოზივით რომ დამტრიალებდა თავს. მოსულიერებულმა ძლივს გავუმხილე, საავადმყოფოდან გავეწერები თუ არა, ბათუმში ვაპირებ გამგზავრებას, წლების მანძილზე ნალოდინევი მოწვევა მომივიდა და ასი წლის უნახავ ჩემიანებს უნდა შევხვდე-მეთქი. ექიმმა ჩემს სურვილს ერთბაშად ცივი წყალი გადაასხა და კატეგორიულად გამაფრთხილა: თქვენი გული ამჯერად ხანგრძლივი მგზავრობისათვის მზად არ გახლავთ, ისმაილ ბეი, ის კი არაა, საავადმყოფოდან გასვლის შემდეგ გირჩევთ, ცოტა ხანს სახლის მუუდრო გარემოს გადაყოლოთ გულიო. მე არ დავუჭერე და, როგორც ხედავთ, აქ, ათას სამასი კილომეტრით შორს ინეგოლიდან, სარფის ჭიშკართან მოვსულვარ, რასაც ოცდასამი დამდღელი საათის მგზავრობა დასჭირდა.

ჩემი სარისკო მგზავრობის შესახებ ოჯახში კარგად იცოდნენ, მაგრამ რაკილა მშომგზავრების დიდი სურვილი მქონდა და ცოტა არ იყოს, რაკილა ჩემი უხიავი ხსიანითიც იცოდნენ, აღარაფერი უთქვამთ. კარგად გამეგებოდა მათი განცდისაც, მაგრამ

არც ის მინდობდა, ჩემი მდგომარეობით მათი განწყობა დამემძიმებინა, ამიტომ რეალურ მდგომარეობას ვმაღავდი და ნაინფაქტარ გულს გამძლეობისკენ მოვუწოდებდი.

ტაქსი ჩქარა გაშორდა იქაურობას, ჩვენ არც თუ მცირე ხელბარგით სახელმწიფო საზღვრის საკონტროლო პუნქტისაკენ გავწიეთ. ერთი პირობა ბარგის აწევა არ დამანებეს, მაგრამ მთლად უქმად, ჰიბეში ხელჩაწყობილი წამოსვლაც გულმა არ მიქნა და ისევ ბარგს წამოვავლე ხელი.

საზღვარზე ყველაფერი სწრაფად მოგვარდა, გაგვისინჯეს, შეგვამოწმეს, სათანადო დოკუმენტები შეგვივსეს და გზა დაგვილოცეს. სამიოდ წუთში ორად გაყოფილი სარფის მეორე მხარეს გახლდით.

ბავშვობის დროიდან მიზიდავდა და მიხმობდა მემლექეთის აღთქმული მიწა-წყალი, მინტერესებდა მისი ნახვა, მწყუროდა თუნდაც ერთხელ თვალის მოკვრა და აი, პირველად მემღოდა ამ ნატვრის ცხადად ახდენის საშუალებაც.

სარფისწყლის პატარა ღლე თავაწყვეტილი ცქვიტად ჩამორბის და იქვე ზღვას უერთდება. მდინარის გაღმა-გამოღმა შუადგაყოფილი პაწია სარფის ოდა-სახლები ერთმანეთს მღუმარედ გაჰყურებენ. ეს პატარა მდინარე არა თუ ერთი სოფლის, ორი ქვეყნის, ორი სამყაროს საზღვრის სიმბოლოდ ქტეულა. თუმცა, შუადგაყოფილი ქართული სოფლის ორივე მხარე მაინც გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთიმეორეს. თუ არა ეს რკინის გისოსები და სამხედრო პატრული, სოფლის მთლიანობაში კაცის თვალს ეჭვი არ ეპარება. შავი ზღვის პირას გაშენებული ამ პატარა სოფლის სევდიანი ბედი მნახველს ერთბაშად სიბრალულით აცხვებს. ორივე ისინი გვერდიგვერდ მდგომნი და მაინც ერთმანეთს მოწყვეტილნი, აგერ, აქამომდე, სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობენ. მომაგონდა ერთი ბათუმელი მწერლის სევდანარევი, ხუმრობაშერეული ნათქვამი: ერთხელ სარფის ერთი ნაწყვეტიდან მეორე ნაწყვეტისკენ სტუმარი წამოსულა თურმე. შინ დაუბარებია, მშვიდობით რომ მივალ, ბანზე წითელ ბაირაღს გამოკვიდე და ეს იყოს ნიშანი, რომ მშვიდობით დავბრუნდით. იოლად ასავლელი გზა ძნელი და შორიდან სავლელი გახლდათ წინათ, ამიტომ სარფიდან ოციოდ წუთის გასავლელს ერთ კვირაზე მეტ ხანს მოუნდა კაცი. ამასობაში გაღმა სარფში ვიღაც გარდაცვლილიყო თურმე და ერთ-ერთი სახლის ბანზე შავი ნაჭერი გამოკვიდათ. გამოღმა დარჩენილებს დათქმული ნიშანი ჰგონებიათ და ერთი ვაი-ვიში აუტეხიათ, — კაცი უდროოდ დაჯვარგეთო. რამდენიმე დღის შემდეგ კი მგზავრი გაღმა სარფს მისულა და პირობისამებრ წითელი ბაირაღი გამოუკვიდა. მომტირალი გამოღმელების სახეები ახლა ერთბაშად მზით გაბრწყინებულია, სტუმარი შინ მშვიდობით დაბრუნებულია, ჩვენ კი გლოვად დავცემულვართო. ჰოდა, ახლა შავი ნაჭერი ძირს ჩამოულიათ და გაღმელის შინ მისვლა ზეიმით აღუნიშნავთ.

ამ ხუმრობაშერეულ ამბავში სარფისა და სარფელების ენაუთქმელი გულისტკივილია აღწერილი...

მაღე მოლისფერ ფორმაში გამოწყობილმა საბჭოთა მესაზღვრეებმა ღიმილით გავვიღეს მძიმე ტიშკარი და ნანატრ მიწაზე გავლის ნება მოგვცეს, თან რამდენიმე სიტყვა თავიანთ ენაზე გვითხრეს. თუმცა ენა არ ვიცოდით, ჩვენ მაინც გუმანით ვხვდებოდით, რომ ისინი კეთილად მოსვლას გვილოცავდნენ.

სარფის ტიშკარი უკან დარჩა, ჩვენს წინ მშობლიური საქართველო გადაიშალა. ჩათა და ციტრუსით დაფარული მაღლიანი მიწა, რომელსაც სამოთხე თუ შეედრება მართო ამქვეყნად. ასფალტით დაფარული გზა ქვეყნის სიღრმისაკენ მიიწევს, ეს გზა ღიმილი მემლექეთის ნანატრი გზაა.

ჩვენ ჩასვლის შესახებ ჩვენმა მასპინძლებმა უკვე იცოდნენ. სარფში რამდენიმე

მსუბუქი მანქანა დაგვხვდა. უეცრად ჩემსკენ ხელგაშლილი მაღალი, მხარბეკიანი, ქაღალაშერეული კაცი გამოემართა. უმაღლესი შევიცანი ადრე სურათით ნახული ჩემი ღვიძლი ბიძაშვილი ნიაზი. უკან თავისი მუხლზე, შვილები და ნათესავები მოჰყვებოდნენ. სვეტნამ, სიყვარულმა, სევდანარეგმა სიხარულმა და ცრემლმა დაფარა ყველაფერი. ეს ჩემი ათი წლის ნანატრი და ნაოცნებარი წუთი იყო, წუთი, რომელიც ახლა ჩემთვის სიხარულით ამხდარიყო. ბედმა და გარემომ, ღვთის ნებამ და განგებამ შეგვახვედრა ერთმანეთს ამდენი ხნის მოწყვეტილი ღვიძლი ნათესავები, ეს წუთი კი ჩვენი დღევანდელი რიცხვმრავალი საკვარეულოსათვის და ჩვენი მომავლებისათვის ნამდვილი ისტორიული წუთი გახლდათ, რადგან ამიერიდან ჩვენ არასოდეს დაკარგავდით დიდი ხნის ნატრულ სიახლოვეს. ?

ავტომანქანების ქარავანი ბათუმისაკენ დაიძრა. სანაპიროზე ოდნავი ქარი ქროდა, ნაპირს შავი ზღვის ტალღები ელამუნებოდნენ. აგერ გონიო, ისტორიული აფხაროსის ძლიერი ციხე, აგერ ახალსოფელიც, თვალი ვერ ატყობს აქ უცხოობას, ქართული მიწის შვილები მემღებქეთის მიწაზე ვართ. ორსართულიანი სახლები ლამაზად ჩამწყრივებულან მთის ფერდობებზე და გზის გაყოლებაზე. გზის იქით და აქეთ ცადატყორცნილი ეკვალიპტის ხეივანი მიგვაცილებს, გზის იქით კი ჩაის ამწვანებული პლანტაციები ლაღანებს, ეს არის აჭარა, რომლის შესახებაც დაუსრულებლად ყვებოდნენ და ყვებოდნენ მოხუცი ართვინელები, იმერხეველები, მარადიდელები, მაჭახლელები, ბორჩხელები, მურღულელები, ყვებოდნენ თვალზე მონატრების ცრემლმორეულნი, ყვებოდნენ და ვერ კი ამთავრებდნენ ამ მოყოლას. წუთით თვალწინ დამიდგა მათი სახეები, ცხენებზე გადაკიდებული მათი ტვირთები, ნავთი, შაქარი, მარილი და ამათ მოსატანად ბათუმისკენ ამგზავრებული იმათი სილუეტები. მოდიოდნენ ისინი ბათუმიდან იმერხევისკენ და ნავთთან ერთად მოჰქონდათ სამშობლოს სიყვარული ჩვენებურებთან დასარიგებლად. ძველი ართვინელები ბათუმს გარდა ქედამდე, შუახევამდე, ხულომდე მოდიოდნენ, იქ სხვადასხვა საშუალებებს იღებდნენ და უკან მცირეოდენი გასამრჩელოთი ბრუნდებოდნენ. გზას არავინ უჭერდა მათ, ის კი არა, და, გაღმა-გამომღმელობაში სწირად თხოვაგათხოვებაც ხდებოდა ხოლმე. ერთი იყო ამათი ცხოვრება, სიცოცხლე, ფიქრი, სიხარული, სიმღერა, ციკვა და ცრემლიც კი. ასე დარჩნენ ერთი სანათესაოს სხვადასხვა ნამრავლები საზღვრის იქით და აქეთ მას შემდეგ, როცა ორი ქვეყნის საზღვარი ურულ ჩაიკეტა. საზღვარმა მხოლოდ მიწა როდი მოსწყვიტა ერთმანეთს, ურთიერთს დააშორა ძმები, ნათესავები, მოყვრები, მეზობლები. მალე მიწერ-მოწერაც შეწყდა და იქით და აქეთ, როგორც იტყვიან, ჩიტიც აღარ ფრენდა. იმხანებში ართვინში საბჭოთა საზღვრისა და ქვეყნის შესახებ ათასგვარი ჭორი და მართალი ვრცელდებოდა. თვალით ნახული არავინ იცოდა, გონება კი ათასნაირ რამეს თხზავდა. იმასაც ამბობდნენ, კომუნისტებმა ხალხს სჭული წაართვეს, ქალი და კაცი ერთმანეთისაგან არ გაირჩევაო, და რა ვიცი კიდევ, რა აღარა... ხალხსაც წარმოადგენა ამის მიხედვით ექმნებოდა. ის კი არა და, იმერხევი პატარა ბავშვებს დედა რომ გაუკავრდებოდა, წყრომის ნიშნად ეტყოდა, „შენ მოსკოვის შვილიშვილი“. ეს მათ შეგნებაში დაახლოებით იმას ნიშნავდა, რომ გეთქვით, „შენ გააუტრის შვილიშვილი“...

და მაინც, ამგვარმა ამბებმა ვერ მოშალა ერთი უმთავრესი: გადაღმით დარჩენილებს გულში დარჩათ გამომღმელთა ღვიძლი ძმობის მთავარი რწმენა. ბავშვობიდან ათასნაირი ამბების გამგონეს, მეც გონებაში ჩამრჩინოდა, თითქოს კომუნისტები ჩვენგან არა მხოლოდ რწმენით, უბრალოდ, გარეგნულად, ადამიანური ნიშნებითაც განსხვავდებოდნენ.

ბევრი რამ წამეკითხა, ბევრი რამ მესწავლა, მაგრამ წიგნიდან ნახვავილი ბავშვობი



სას გაგონილს ჯერ კიდევ ვერ მოერეოდა. ამიტომ ყველაფერს ახლა ისევ ბავშვის გონებათ ვამოწმებდი და ვუყურებდი. ვხედავდი, ისინიც ჩვენნაირი აღამიანები იყვნენ, ჩვენნაირი ლაპარაკით, ჩვენნაირი ღიმილით, ჩვენნაირი ქცევა-ჩვევებით. წამიერი იყო ჩემი ჩაფიქრება, წამიერადვე გამიიფლვა ყველაფერმა ამან გონებაში და ისევ სინამდვილეს დავუბრუნდი.

2. ბათუმი — ოცნების ძალაში

მანქანების ესკორტი ბათუმის ქუჩებში შეიჭრა. ცოტაც და, ჩემი მასპინძლისა და ბიძაშვილის, ნიაზის, მანქანამ მთავარი ქუჩიდან გადაუხვია. ჩვენ დიდი ქართველისა და მამულიშვილის — ჭავჭავაძის ქუჩაზე გავედით და ორიოდ წუთშიც თეთრი მოზაიკით მოხატულ დიდ, ფართო აივნებიან, ორსართულიან სახლთან შევჩერდით. მასპინძელი სამოთხესავით მოწყობილ ეზოში შეგვიძღვდა. შუა ეზოში წყლის აუზი იყო, აუზში შადრევანი სჩქედდა, შადრევნის ჩანჩქერიდან გადმოფრქვეულ წყლის შხეფებში კი ცოცხალი კალმახები დაფათუნობდნენ. ეზოს კუთხეში მიდგმულ ძელსამებზე ჩამოვრივდით. ერთმანეთი მოვიკითხეთ და საუბარი დავიწყეთ. ამასობაშიც სახლიდან ბათუმური შავი ყავა გამოიტანეს და პატარ-პატარა ფინჯნებით ჩამოგვირიგეს. ეს ის მხსამართი იყო, რომელიც მე ჯერ კიდევ თურქეთში მქონდა, ჩემი ბიძაშვილი მოპირდაპირე სკამიდან წამოდგა და გვერდით მომიჯდა. ირვკვიც კი მისი ოჯახის წევრები და ახლობლები შემოგვერტყნენ. ფართო ეზო ნაცნობ-ნათესავებით და მეზობლებით იყო სავსე. ისინი ჩვენს შეხვედრას უყურებდნენ, ზოგიც გულ-აჩუყებული ცრემლებს ვერ ეკავებდა და ჩუმჩუმად თვალებს იწმენდა.

სახლის მეორე სართულზე ფაცია-ფუცი ატყდა, მასპინძლები ეზოშიც მირბოდნენ. მივხვდი, ვახშმის თადარიგს იჭერდნენ. ნიაზი გვერდიდან არ მცილდებოდა, ათასნაირ კითხვებს მაყრიდა თურქეთში დარჩენილი ნათესავების შესახებ. მე კითხებოდა მათ სახელებს, სიმაღლეს, თვლების თუ სახის ფერს, ერთი სიტყვით, ყველასა და ყველაფერს ერთად აღქმას ღამობდა. სიხარულისა და დღევისაგან ბევრი ისეთი რამე მავიწყდებოდა, რომ შემდეგ ისევ თვითონ ვერ ვიკავებდი ღიმილს.

ნიაზის მამა, ჩემი ბიძა, დედაჩემის ღვიძლი ბიძაშვილი იყო. იგი ართვინის მხარეში, შავშეთის სოფელ ზოხლევში დაბადებული გახლდათ, პირველი სკოლაც იქვე, მეზობელ სოფელ წყალსმერში, ახლანდელ ბალუქლუში დაუშთავრებია. შემდეგ ისე მომხდარა, რომ იგი შავშეთიდან აჭარაში, სოფელ ოლადაურში მოსულა. ამასობაში საზღვრებზე ჩაკეტილა და იგი ვადმოღმით დარჩენილა. აქლაც მახსოვს, ბებიაჩემის, ხენიფეს, ნათქვამი: მაშინ შაქირი ბავშვი იყო, ჩვენს კარზე რომ გაიარა და აქეთ იუჭრებოდა, მახსოვს, მავრამ ის კი აღარ შეგონა, რომ ეს მისი უკანასკნელი დანახვა იყო. ერთი დამე სარჩირის ტყეში გაუთენებია თურმე, შერე სოფელში მოუღწევია. ჰოდა, მას აქეთ, აგერ სამოცი წელი გავიდა და მის შესახებ შავშეთში ნათესავებს აღარაფერი გვსმენოდა... აი, ასე, ხშირად შემთხვევითაც კი დარჩენილა ღვიძლი ღვიძლისგან მოშორებული. და აი, დღეს მე მისი მოდგმის სტუმარი ვარ. თვითონ შაქირი ამ თხუთმეტი წლის წინ გარდაცვილია. დიდი ხნის ძებნისა და მიწერ-მოწერის წყალობა იყო ეს შეხვედრა, ამიტომ თვალებზე სიხარულის ცრემლები მადგება, ვხედავ, ისინიც სიხარულით იცრემლებიან და ერთმანეთის მოსიყვარულებით და მოშერებით ველარ ვძლებით.

მოსაღამოვდა. ქალაქში ელექტრონის შუქი ჩაირთო. ქუჩა, ეზო, სახლი სულ ერთთავად ნათურებით გაჩანჩახდა. სახლში ყველა ქალი ანთოთ, გეგონებოდათ, ოჯახი დიდ რასმე ზეიმს იხდისო. სტუმრები სახლის მეორე სართულზე მიგვიწვიეს. ფა-



რთო აივანზე გავედით და, ცოტა არ იყოს უეცრად დავიბენი კიდეც, გრძელად გაშლილი სუფრა დაახლოებით ასი კაცის სამყოფი მაინც იქნებოდა, ხოლო ზედ დახუნძმული კერძები და ხორავი მადისმომგვრელად და თვალისდამატყვევებლად ბოლავდა.

ცოტაც და, სუფრა მოვანშმეებით აივსო. იქაურობა საქორწილოდ მორთულ დარბაზს ჰგავდა. მესუფრეები კი ჩემი უახლოესი ნათესავები გახლდნენ. ვინ არ ერია ამათში, რა რანგის და განათლებისა. ყველანი ერთად კი ერთი საგვარეულო ხის ტოტებს წარმოვადგენდით. მე ვაღმა მხრიდან მოსული, ესინი კი აქ დამხვდურნი, მაგრამ მაინც ერთი ხის ერთნაირი ტოტები, ერთი სისხლით და ხორციით, ერთი სულით და ფიქრით.

სუფრის თავში ჩემი ახოვანი ბიძაშვილი იჯდა, ღვთისაგან ნაკურთხი სუფრის ავლა-დიდება კი, ყველაზე მდიდარ ზენგინს რომ ვეტყვით ჩვენში, იმასაც კი შეშურდებოდა. ბევრი უქონელისა და მშვიერის მნახველს ცოტა არ იყოს, სევდაც მომერია: დარიბობით გამოვლილი წარსული მომაგონდა და ჩემი დღევანდლობაც იმ უქონლობით განვსკვრიტე. ვინანე წვალეებით გაველილი ახალგაზრდობის გამო.

ვანშამმა დიდხანს გასტანა. ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ სუფრა აიშალა. სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს დავემშვიდობეთ. დარჩენილებმა ცოტა ხანს კიდევერ მოვწყვიტეთ ერთმანეთს თვალი, ძილისთვის ვერ ვიმეტებდით ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს დაღლილობამ მაინც თავისი გაიტანა და დასაძინებლად წავედწამოვედით.

თვალეზე რული გამიკრთა, დიდხანს არ დამეძინა, გონებაში ერთმანეთს ეტოლებოდა გუშინდელი და დღევანდელი, ის, რაც იქ დავტოვე, და ის, რაც აქ ვნახე.

ხვალ თურქეთში ყურბან-ბაირამის წინა დღეა. ჩვენებურებს უკვე საბაირამო საკლავი აუვანილი ჰყავთ, დაზოგილი ფულითაც ბავშვების სამოს-დასახურავი უყიდიათ. სოფელი, ქუჩა, სახლები, მთელი გარემო ბაირამის ზეიმით სუნთქავს, აქ კი ჩვეულებრივი ქართული დილა თენდება, დილა, რომელიც ოჯახს ახალ სიხარულს ახალ სუნთქვას, ახალ საზრუნავ-საფიქრალს მოუტანს, ხოლო ჩვენ ახალი შეხვედრებით გაგვახარებს.

ფიქრში, ოცნებაში და ძილ-სიფხიზლის კიდილში გათენდა კიდეც. ცა თერთად გაიცრიცა, ოთახში მკრთალი სხივები შემოიჭრა. სხივებთან ერთად ქუჩიდან უცნაური ხმაური შემოვიდა. ფარდა გავწიე და გარეთ გავიხედე. ჭერ კიდეც დილის წყნარ ბურუსში მეფოვის ცოცხის ჩნაკუნდა იხმოდა.

ქალაქი დილის შესახვედრად ემზადებოდა.





ოთარ თურმანიძე

# რას ეროვნულ საქმეს ნაადგება

საპარტველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის,  
 სწავლებისა და პოპულარიზაციის თეორიული და  
 მეთოდური პრობლემა

საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის დღევანდელ ეტაპზე კანონზომიერი აუცილებლობა გახდა ჩვენი ერის ისტორიის კვლევა-ძიების, სწავლებისა და პოპულარიზაციის თვისებრივად ახალ, ქეშმარიტად მეცნიერულ საფუძველზე დაფუძნება, განსაკუთრებით ახალი და უახლესი ისტორიის ახლებურად გათვითცნობიერება.

ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს ეროვნული თვითშეგნების გაღვივების, მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის პატრიოტული სულითკეთებით აღზრდის, ეროვნული ძალების კონსოლიდაციისათვის, მით უმეტეს, უკანასკნელი 70 წლის მანძილზე ქართველი ერის ისტორია ფაქტობრივად დავიწყებას ეძლეოდა. საბჭოთა ტოტალიტარულ იმპერიაში ყველაზე უფრო პრესტიჟული იყო სკკპ ისტორია, სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, ისინი ფაქტობრივად რუსეთის ისტორია იყო. საქართველოს ისტორია კი თითქმის აღარ იწვევებოდა, იგი იგნორირებული იყო.

საქართველოს ისტორიის სწავლებისა და პოპულარიზაციის იგნორირებამ ჩვენს პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებას მძიმე კვალი დაამჩნია. როგორც დიდი ილაა ბრძანებდა, „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს...“. დროა, ამ სიტყვებიდან სათანადო დასკვნა გამოვიტანოთ. მართლია, წინანდელმა ხელმძღვანელობამ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ 1990 წლის მაისში ერთობლივად დაამტკიცეს საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამა, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს ჩვენი ერის უკანასკნელი ორი საუკუნის, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის ისტორიის ძირეულ, თვისებრივად ახლებურად გააზრებას.

აქლა, როდესაც საქართველოს ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ, ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები იქმნება ეროვნული ისტორიის ახალი და უახლესი პერიოდის ქეშმარიტად მეცნიერული, ობიექტური შესწავლისათვის. აღბათ, მკვლევარებისათვის მისაწვდომი გახდება ბევრი აქამდე უცნობი პირველწყარო, რომელიც წარმოაჩენს საბჭოთა ტოტალიტარიზმის ნამდვილ სახეს.

საქართველოს წინათაც და ამჟამადც მაღალკვალიფიციური მეცნიერი ისტორიკოსი ჰყავდა და ჰყავს. ეროვნული ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში უდიდესი მამულიშვილური წვლილი შეიტანეს დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ, ივანე ჯავახიშვილ-

მა, ექვთიმე თაყაიშვილმა, სიმონ ჭანაშიამ, ნიკოლოზ ბერძენიშვილმა და მათმა მოწაფე-ებმა. ჭერ კიდევ 1948 წელს გამოვიდა ივანე ჭავჭავაძის, სიმონ ჭანაშიასა და ნიკოლოზ ბერძენიშვილის მიერ დაწერილი საქართველოს ისტორია, რომელიც დღესაც საზოგადო წიგნად ითვლება. მაგრამ მასში საქართველოს ისტორია გადმოცემულია მე-19 საუკუნის დასაწყისამდე.

60-იან წლებში გამოვიდა საქართველოს ისტორიის სამტომეული, როგორც უმაღლესი სკოლების დამხმარე სახელმძღვანელო. იგი საქართველოს ისტორიას აშუქებს უძველესი დროიდან, მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე. ჩვენი ისტორიკოსების მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომის სინთეზს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის რვატომეული, რომელიც 1970-1980 წლებში გამოქვეყნდა. 1984 წელს ი. კაპარავას რედაქტორობით გამოვიდა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. იგი ქრონოლოგიურად მოიცავს მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენი საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისამდე პერიოდს. ყველა სახის სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურა, რომლებშიც გადმოცემულია საქართველოს მე-20 საუკუნის ისტორია, მეთოდურად არასწორადაა შედგენილი. ის ძირითადად მისდევს სკკპ ისტორიის ქრონოლოგიურ სქემას, რასაც ამაჟამად ცენტრის ოფიციალური ისტორიოგრაფიაც კი უარყოფს. საგულისხმოა, რომ საქართველოს 1900 - 1921 წლების ისტორია განიხილება როგორც ერთი მთლიანი პერიოდი<sup>2</sup>, ერთ სიბრტყეშია მოცემული რუსეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ მყოფი კოლონიური და 1918 წლის 26 მაისის შემდგომი პერიოდის დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ისტორია, სინამდვილეში კი საქმე გვაქვს ორ სრულიად განსხვავებულ პერიოდთან, რომლებიც ერთმანეთისაგან თვისებრივად გამოირჩევიან.

მეთოდურად ყველაზე უფრო დამახინჩებულიად, ანტიმეცნიერულადაა შედგენილი საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორია. ამ პერიოდის ცალკეულ ეტაპებად დაყოფა აშკარად ხელოვნურია და მოწმობს ამ დარგში მომუშავე ქართველი ისტორიკოსების კონუნქტურის სამოსელში გახვევას.

გაუგებარი და ყოველგვარ მეცნიერულ და ისტორიულ-ლოგიურ საფუძველს მოკლებულია 1926-1929, 1929-1932, 1937-1941, 1946-1952, 1952-1958 წლების რალაც ქვეტაპებად დაყოფა და ცალ-ცალკე შესწავლა, ანტიმეცნიერულია ხუთწლედებისა და შვიდწლედის მიხედვით ჩვენი ისტორიის გააშუქება<sup>3</sup>. ბევრ შემთხვევაში ასეთი დაყოფა დაკავშირებულია „პირველი კაცის“ ტოტალიტარული ხელისუფლების სათავეში მოსვლასთან. მის ქადაგებასთან „ვარდატეხის“ ხანის შესახებ. მას უფრო პროპაგანდისტული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეცნიერულ-შემეცნებითი.

ერთი სიტყვით, საქართველოს უახლესი ისტორია მეთოდურად სრულიად ახლებურ მიდგომას მოითხოვს. საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდიზაციისათვის საჭიროა გულდასმით გავანალიზოთ მსოფლიო განვითარების ძირითადი ტენდენციები რუსეთსა და საქართველოში მიმდინარე პროცესებთან ურთიერთკავშირში, გამოვყოთ ზოგადი და სპეციფიური ნიშნები. რუსეთის იმპერიასა და საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების მთლიანობაში წარმოდგენის შედეგად აუცილებლად მივაღწიოთ დასკვნამდე, რომ საქართველოს საბჭოთა წლები ერთი ისტორიული პერიოდია. მისი საწყისი წერტილია 1921 წლის 25 თებერვალი, როდესაც წითელი რუსეთის იმპერიამ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია-ანექსია მოახდინა.

ეს პერიოდი საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე გაგრძელდება. ზოგადი ნიშნების გარდა, მას თავისებურებანიც აქვს. ამ სპეციფიკის გამო, ჩვენი აზრით, საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდი შეიძლება სამ ეტაპად და-



ყოთ. პირველი ეტაპი 1921-1945 წლებს უნდა მოიცავდეს, როგორც ვხედავთ, იგი რუსეთ - გერმანიის 1941 - 1945 წლების ომსაც მოიცავს. ეს გამართლებულია, რადგან 1941-45 წლები წინარე ხანასთან ორგანულ კავშირშია, ამასთან შეიძლება აღნიშნული ომი ქვეტაპად გამოიყოს და ცალკე მონოგრაფიულად გაშუქდეს.

საქართველოს უახლესი ისტორიის მეორე ეტაპი შედარებით ხანგრძლივია. იგი 1946-1990 წლებს უნდა მოიცავდეს. საქართველოს უახლესი ისტორიის მომდევნო ეტაპის დაწყება დაკავშირებულია ეროვნულ-დემოკრატიული ძალების რესპუბლიკის ხელისუფლების საქვსთან მისვლასთან, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა პარლამენტმა გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა. ეს პერიოდი, რომელიც 1991 წლიდან დაიწყო, საქართველოს უახლესი ისტორიის მესამე ეტაპია.

ასეთი ქრონოლოგიით შესაძლებელია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკის, სოციალური და სულიერი სფეროს სრულყოფილად წარმოსახვა.

ისტორიულ მეცნიერებას, კერძოდ, საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას დიდი ზიანი მიაყენა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსალურ მეთოდოლოგიად გამოცხადებამ. კლასობრივ-პარტიულმა მიდგომამ, რასაც აღნიშნული მომდგრება მოითხოვს, ნებით თუ უნებლიეთ გამოიწვია ჭეშმარიტების დამახინჯება, გზა გაუხსნა სიყალბეს ისტორიულ მეცნიერებაში, ამიტომ მეცნიერმა-ისტორიკოსებმა, ვინც ესწრაფვის ისტორიის ობიექტურად შესწავლას, არ შეიძლება მარქსიზმ-ლენინიზმი სახელმძღვანელო მეთოდოლოგიად გაიხადონ.

მარქსიზმ-ლენინიზმს, როგორც იძულებით თავსმოხვეულ მეთოდოლოგიას, ისტორიამ კანონიერი განაჩენი გამოუტანა. ახლა წარმოუდგენელია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმომცველ, ყოვლისშემძლე მომდგრებად, უნივერსალურ მეთოდოლოგიად აღიარება. ისტორიას ასაზრდოებს თავისი, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული, ნამდვილად ჭეშმარიტი მეთოდოლოგია, რომელიც მარქსამდე დიდი ხნით ადრე წარმოიშვა. მისი დავიწყება ან უგულებელყოფა ბუნებრივად მიგვიყვანს ისტორიული პროცესების გაყალბებამდე.

სწორედ საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა, რომლის დროსაც მარქსიზმ-ლენინიზმი უნივერსალურ მეთოდოლოგიად იყო აღიარებული, გამოიწვია ისტორიული მეცნიერების ღრმა კრიზისი. ისტორიკოსები, ისევე როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების სხვა დარგის სპეციალისტები, ნებისთ თუ უნებლიეთ კონიუნქტურის ტყვეობაში აღმოჩნდნენ. ტოტალიტარული რეჟიმის მმართველი პარტიის — კომუნისტური პარტიის — ყოველი ყრილობის, კონფერენციის, პლენუმის დადგენილებები და რეზოლუციები, ახლადმოვლენილი ყველა „პირველი კაცის“ სიტყვა ისტორიული მეცნიერებისათვის ამოსავალ, სახელმძღვანელო დებულებად ითვლებოდა. ამის შედეგები, როგორც ახლა ყველასათვის ცხადია, ძალზე მძიმეა. ყველაზე დიდი ზიანი მე-20 საუკუნის ისტორიამ განიცადა.

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურა მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის შესახებ რადენობრივად ყველაზე უფრო მდიდარია. მაგრამ, როგორც ითქვა, მათში ისტორიული პროცესები და მოვლენები ტენდენციურად, დამახინჯებულადაა ასახული, ერთი სიტყვით, გაყალბებულია. ამის შესახებ მსჯელობა შეიძლება ისეთი განმარტოებელი წიგნების მაგალითზე, როგორიცაა საქართველოს ისტორიის სამტომეულის მეორე და მესამე ტომები,<sup>4</sup> რვატომეულის ბოლო სამი ტომი<sup>5</sup>, უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო,<sup>6</sup> ომისშემდგომ წლებში გამოსული ყველა სასკოლო სახელმძღვანელო.



ამჟამად ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე დიდი მოცულობის საქმეა, საპასუხისმგებლო ამოცანები და პრობლემები დგას, საჭიროა მე-20 საუკუნის ისტორიაში მომუშავე მეცნიერ-ისტორიკოსების ძალისხმევის გაერთიანება, ახალი მასალების გამოვლენა, მათი გულდასმით ურთიერთშეჯერება, ხალი და ნათელი გონებით გაანალიზება, პრობლემების ახლებურად გათვითცნობიერება, ობიექტური დასკვნების გამოტანა. უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიულ მეცნიერებას მაშინ შეუძლია თავისი მისიის შესრულება, როდესაც იგი მოვლენებსა და პროცესებს სამართლიანად, მიუყვარძლებლად აშუქებს, ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვთვლით გაიშალოს ფართო პაექრობა ჭეშმარიტების დასადგენად.

რა თქმა უნდა, ეს არც ისე იოლი საქმეა. ჩვენ მოგვიხდება ძველი შეხედულებების, ყავლგასული სტერეოტიპების მსხგრევა, სამეცნიერო ბრუნვაში უნდა შევიდეს დღემდე მოუკვლევო დოკუმენტები, რომელთა პუბლიკაცია საქმეს ძალზე წაადგება. მეცნიერ სპეციალისტებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ დაუბრკოლებლივ ისარგებლონ იმპერიის საიდუმლო სამსახურის მასალებით, ამასთან სასარგებლო იქნება უმაღლეს სახწავლებლებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და მუშეუშებთან შეიქმნას სპეციალური ლაბორატორიები, რომლებიც თავს მოუყრიან ამ მასალებს, აგრეთვე მემუარულ, კერძოდ, დისიდენტური ხასიათის ლიტერატურას, ჩიწერენ ცალკე პირთა მოგონებებს, თემატურად და მეთოდურად დაალაგებენ და დაამუშავებენ მათ.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე 1921 წლამდე, საქართველოს ისტორია ისეა წარმოჩენილი, რომ თითქოს გადამწყვეტ როლს, თანაც ერთადერთ სწორს, ე. წ. ლენინელები, ბოლშევიკები ასრულებდნენ. ამ და მომდევნო პერიოდის მთელი ისტორია გადმოცემულია ბოლშევიკების პოზიციებიდან. აქედან გამომდინარე, მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ნამდვილი ბრძოლა შეფასებულია, როგორც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და კონტრრევოლუციური კი. ამ მოძრაობის ნამდვილი მესვეურები ზოგჯერ მტრადაა გამოცხადებული, ანდა შეგნებულადაა მივიწყებული, დაკანონებულიც, უგულვებელყოფილიც.

სახლმძღვენელოებში ძალზე მკრთალად, შეიძლება ითქვას, ეპიზოდურადაა გაშუქებული მე-20 საუკუნის საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების, ეროვნულ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ისტორია. მართალია, 1921 წლამდე საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების ისტორიის შესახებ სადოქტორო დისერტაციებიცაა დაცული, მაგრამ მათშიც და სხვებშიც, ობიექტური მდგომარეობა აშკარადაა გაყალბებული. ე. წ. ლენინურ-სტალინური შეფასებიდან გამომდინარე, ამ პარტიებს მიწიპებული აქვთ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, წვრილბურჟუაზიული და კონტრრევოლუციური პარტიების იარლიყები. ისინი კრიტიკის ქარცეცხლში არიან მოქცეულნი.

გულდასაწყვეტად გაყალბებულია საქართველოს 1917-1921 წლების ისტორია. ალბათ, მრავალ მეცნიერს თვითონაც არ სწამდა, რასაც ამ თემაზე წერდა. მაგრამ, საფიქრალია, სტალინური რეპრესიების შედეგად მორალურ-პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად გატეხილი, კონიუნქტურის, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ტყვეობაში ისე იყვნენ მოქცეულნი, რომ თეთრს შავად ასალებდნენ.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღწგენა, რაც ფაქტობრივად ქართველი ერის გენოციდის შეჩერებაც იყო, უდიდესი, შეიძლება ითქვას, ეპოქალური მოვლენაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ე. წ. ქართულ-საბჭოურ ისტორიოგრაფიაში უარყოფითადაა შეფასებული. ამ თემაზე გამოკვეყნებულ მონოგრაფიებში, საქართველოს ის-



ტორიის ნარკვევებში, სახელმძღვანელოებში და დამხმარე სახელმძღვანელოებში ეს დამოუკიდებლობა შეფასებულია როგორც მოჩვენებითი, ხალხის მოტყუება, დემოკრატიული პარტიების საფარი ძალაუფლების მოპოვების გზაზე.<sup>7</sup>

ცხადია, ასეთი ანტიმეცნიერული შეფასებისათვის არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს, მაგრამ კეშმარიტების ამნაირი გაყალბება მხოლოდ ბოლშევიკების მმართველ ელიტას აძლევდა ხელს და თანაც ეს სიყალბე თავდაპირველად ლენინისა და მისი გარემოცვის მიერ იყო შეთხზული.

აი, რას ამბობდა ლენინი 1918 წლის 29 ივლისს: „...საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარად მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერალისტების მიერ, გერმანული ხოშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.“<sup>8</sup> რასაკვირველია გერმანიას, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო, საკუთარი პოლიტიკური ამოცანები და მიზნები ჰქონდა, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები საქართველოში არ მოსულან ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია-ანექსიის მიზნით.

საქართველოს ოკუპაცია-ანექსიას ბოლშევიკური რუსეთის იმპერია ამზადებდა. მხოლოდ ხელსაყრელ საამისო პირობებს ეძებდა. ასეთი პროპაგანდით მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის მოსამზადებლად მისი ოკუპაცია-ანექსიის მიზნით. და მართლაც, ბოლშევიკურმა რუსეთმა 1921 წლის თებერვალში იგი სისრულეში მოიყვანა. ეს აგრესიული აქტი ისტორიოგრაფიაში შეფასებულია როგორც ხალხის ნების გამოხატვა, თითქოს საქართველოში მოხდა სოციალისტური რევოლუცია შეიარაღებული აჯანყების გზით. 1959 წლის 9 აპრილის ცნობილი ტრაგედიის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების ზეგავლენით, შესაძლებელი გახდა 1921 წლის თებერვლის აქტი შეფასებულიყო საღი გონებისა და კეშმარიტების პოზიციებიდან: ბოლშევიკურმა რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით განახორციელა აგრესია დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, მოახდინა მისი ოკუპაცია-ანექსია.

სრულიად ახლებურ მეთოდურ და თეორიულ მიდგომას მოითხოვს უკანასკნელი 70 წლის ე. წ. „საბჭოთა საქართველოს“ ისტორიის მეცნიერული კვლევა. ნარკვევებში, სახელმძღვანელოებში, დამხმარე სახელმძღვანელოებში, მონოგრაფიებსა თუ ბროშურებში საქმე ისეა დახატული, თითქოს საქართველოში ახალი „სამური“ ცხოვრება 1921 წლის თებერვლის „რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო, თანაც ამ ახალი ცხოვრების პუნქტების ამოცანები თურმე ლენინმა და სტალინმა დასახეს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც გაიშალა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსირების შემდეგ, შეფასებულია როგორც კონტრრევოლუციური. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ ნათქვამია, რომ იგი იყო „მენშევიკების სისხლიანი ავანტიურა“;<sup>9</sup> ამ შემთხვევაში მექანიკურად, მეცნიერული ანალიზის გარეშე, განმეორებულია სტალინ-ორჯონიკიძის სიტყვები. სინამდვილეში სისხლიანი ავანტიურა იყო არა 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, არამედ 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ოკუპაცია-ანექსია.

1921 წლის ბოლშევიკური აგრესიის შედეგად საქართველომ დაჰკარგა დამოუკიდებლობა. იგი ისევ ახალი, მოდერნიზებული ბოლშევიკური იმპერიის კოლონიად იქცა. მას არავითარი სუვერენიტეტი არ ჰქონდა... მაგრამ, სამწუხაროდ, კეშმარიტების საწინააღმდეგოდ, მკვლევარნი ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ საქართველო 1921 წლის შემდეგ სუვერენული, თავისუფალი რესპუბლიკა გახდა. თითქოს შეიქმნა, განმტ-



კიცდა და განვითარდა ეროვნული სახელმწიფო. საქართველოს ისტორიის ნარკვევების სამ პარაგრაფში ეს მოვლენები ყალბადაა გადმოცემული.<sup>10</sup> გაყალბებულია აგრეთვე ინტერნაციონალიზმის ნამდვილი ბუნება. თავს ვახვევდნენ აზრს, რომ საქართველოში 1921 წლის შემდეგ ეროვნული საკითხი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გადაწყვეტილიყო. სინამდვილეში კი მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. ასევე ახლებურ მიდგომას მოითხოვს მეორე მსოფლიო ომის ხანის საქართველოს ისტორიის პრობლემები. უნდა ითქვას ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე სიმართლე. ობიექტურად, ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე, ყველასა და ყველაფერს თავისი უნდა მიეზღოს.

ომის შემდგომ პერიოდში, კერძოდ 50-იანი წლებიდან მოყოლებული, იმპერიის ტოტალიტალური რეჟიმი თითქოსდა ლიბერალური გახდა. ეს იყო ნიდაბი, სინამდვილეში კი ტოტალიტარიზმი და ავტორიტარიზმი გაძლიერდა.

ამ რეჟიმის ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული და სულიერი ცხოვრების პოლიტიკა გამიწნული იყო ხელოვნური ერთგვაროვნების შესაქმნელად. იმპერიის სახალხო მელრნობის ერთიანი კომპლექსის, ერთგვაროვანი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური სისტემების შექმნა, ე. წ. ადამიანთა ახალი ერთობის — საბჭოთა ხალხის გამოგონება, ფაქტობრივად, ქართველი და სხვა ხალხების გარუქებისაკენ მიმავალი გზე-ბია.

იმპერიის ამ პოლიტიკამ ქართველი ხალხის ცხოვრებას მძიმე კვალი დაამჩნია. მაგრამ ერი სულიერად არ დაცემულა. მან არ დაკარგა მომავლის იმედი, ამის თვალსაჩინო მაგალითია 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მასშტაბი წლითიწლობით იზრდებოდა და 1990 წლის ოქტომბერში, ხალხის ნებით, მშვიდობიანი გზით ეს ძალები ხელისუფლების საჭესთან დადგნენ.

ცხადია, საზოგადოებათმცოდნეებმა ეს პროცესები, მათი შედეგები მთელი ობიექტურობით უნდა შეიცნონ. ახლა საქართველოს ძალზე სჭირდება მე-20 საუკუნის მართალი ისტორია, რომელიც მოკლებული იქნება კონიუნქტურულ სამოსელს, დაეხმარება ერს სწორად შეიცნოს წარსული და ასევე სწორად გაიკვლოს გზა, დადგეს იქ, სადაც სიმართლეა.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას. ყველა სკოლაში, ტექნიკუმსა და უმაღლეს სასწავლებელში, როგორც ითქვა, საქართველოს ისტორია მაღალ დონეზე უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენი აზრით, საქართველოს ისტორიის სწავლება საწარმო-დაწესებულებებშიც უნდა შემოვიღოთ. საქმე ისაა, რომ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური განათლების შეწყვეტამ მოსახლეობის პოლიტიკურ გათვითცნობიერებაში ერთგვარი ვაკუუმი გამოიწვია. ეს ვაკუუმი უნდა შეივსოს საქართველოს ისტორიის სწავლებით, თუ რა ფორმით მოხდეს ეს, ამას კომპეტენტური პირებისაგან შემდგარი სპეციალური კომისია გადაწყვეტს ფართო მასების მონაწილეობით. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ეროვნულ საქმეს დიდად წაადგება. მაშ ასე, ისტორიკოსები და საზოგადოებათმცოდნეობის სხვა დარგების სპეციალისტები გიწვევთ საპაექრო მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის თვისებრივად ახლებურად გაშუქებისათვის.

**ოთარ თურმანიძე,**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

- 1 ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ხუთ ტომად ტ. IV, თბ., 1987, გვ. 165.
- 2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972.
- 3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1980, საქართველოს ისტორია, მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, თბ., 1984, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. III, თბ., 1960.
- 4 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. II, თბ., 1962; ტ. III, თბ., 1960.
- 5 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972. ტ. VII, თბ., 1976, ტ. VIII, თბ., 1980.
- 6 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1984.
- 7 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 587-588, საქართველოს ისტორია, მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, თბ., 1984, გვ. 170-171.
- 8 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 28. გვ. 7-8.
- 9 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, 1976, გვ. 191. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, თბ., 1984. გვ. 243.
- 10 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ. 1976, გვ. 59-80, 227-253; 434-452.



# „ვინ ახლო ვდგავართ ღმერთთან“

(„გველის მკამელის“ ზოგიერთი საკითხი)

ვაჟა-ფშაველას მალამხატვრულ შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს პოემა „გველის მკამელს“. ამ ნაწარმოებს არა ერთი მკვლევარი შეხებია და გამოუთქვამს თავისი აზრი, როგორც მითოლოგიური, ასევე ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კუთხითაც.

მაგრამ, როგორც ს. ცაიშვილი აღნიშნავს, ბევრი რამ ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. მრავალი საკითხი, წამოჭრილი ამ პოემაში, ღრმა ჩაკვირებისა და მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

მართალია, პოეტი საზრდოობდა მითოსით, ახლოს იდგა თავისი ხალხის მხატვრულ აზროვნებასთან, მაგრამ „გველის მკამელში“ აღძრული ერთეული, პრობლემები ადამიანის გარდასახვისა სცილდება ეროვნულ-მითოლოგიურ საკითხებსა და ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გვერდით დგება. ამავე დროს ემთხვევა ამავე პრობლემასთან დაკავშირებულ (ადამიანის გარდასახვის, სულიერი ცვლილებების) მოწინავე ფილოსოფიურ აზროვნებას.

პოემის ძირითადი შინაარსი შემდეგია: მთავარი გმირი მინდია თორმეტი წლის განმავლობაში ტყვედ ჰყავდათ ქაჯებს. დაჩაგრული მინდია გადაწყვეტს გველის ხორცი, ქაჯთა საჭმელი, შეჭამოს და თავი მოიკლას. ასე მოიქცევა მართლაც, მაგრამ მოხდა უცნაური რამ — მინდიას გონება გაეხსნა, თვალი აეხილა, გამეცნიერდა. სიბრძნე-მიღებული მინდია თავს აღწევს ტყვეობას, ბრუნდება მშობლიურ მხარეში. აქედან იწყება კონფლიქტი საზოგადოებასთან, რადგან მინდიას ფაქიზი და მალაზღნეობრივი, ღმერთთან ნაზიარები მორალი ვჯახება საზოგადოების ჩვეულებრივ, უხეშ ყოფით მოთხოვნებს. ამ ჭიდილში მინდია მარცხდება.

რა იგულისხმება მინდიას გაბრძნებაში? ის, რომ „გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრმას და ყრუეს გაეხსნა“. უკვე ყველაფერი ესმოდა, „რასაც ფრინველნი გალობენ, ან მცენარენი, ცხოველნი როდის ილხენენ, წვალობენ“. და პირველად შეიგრძნო მინდიამ, რომ:

„რაც კი რამ დაუბადია  
უფალს სულიერ-უსულო,  
ყველასაც თურმე ენა აქვს,  
არა ყოფილა ურჯულო“.

ე. ი. მინდია მთელი სისრულით აღიქვამს ბუნებას, ყოველ ცოცხალსა და არაცოცხალს, მთელ სამყაროს, გრძნობს მის მაჯისცემას, შედის პარმონიაში ბუნებასთან. ბუნების ხმების მოსმენა უძველესი დროიდან ცნობილია ადამიანებისათვის. პერაკლიტე მას ლოგოსს უწოდებდა. მაგრამ რა იგულისხმება თვითონ ლოგოსში, როგორ უნდა გავიგოთ ბუნების ხმების მოსმენა, ეს ცალკე საუბრის თემას წარმოადგენს.

მინდია თავდაპირველად ყრუ და ბრმა იყო სამყაროსათვის, მაგრამ გველის ხორ-

ის ქამით გაბრძენებულს „გულის ხედვა და თვალები, როგორც ბრმას და ყრუებს გაესწავლა“. მინდია მეორედ დაიბადა. იგი უკვე ზეცნობიერია. მისთვის სამყარო გახდა ერთიანი, უსასრულო (გასცქერის ცასა და ვარსკვლავებს) და თვითონ კი ამ მთელისა და უსასრულობის ერთი ნაწილია.

მინდია ხედავს, რომ ყველაფერი „რაც კი რამ დაუბადია უფალს“, ყოფილა ერთიანი, გრძობადი სამყარო. მინდიას მდგომარეობას შეიძლება ეწოდოს „შესვლა ბუნების სათუთ, გრძობად სამყაროში“.

როგორც ვიცით, მინდია ქაჯებთან გველის ხორცის ქამით გაბრძენდება, გამეცნიერდება, ნათელმხილველი და გულთმისანი გახდება.

„მინდია გველის მჭამელია. გველის ქამასთან არის დაკავშირებული მისი ფერისცვალება, გამეცნიერება. გველის ქამით ფრინველთა ენის გაგების, გულთმისნური ცოდნისა და სიბრძნის მოხვეჭა ქართული და მსოფლიო ფოლკლორისათვის ნიშანდობლივი ელემენტია“ (თ. ჩხენკელი, ტრაგიკული ნიღბები, თბ., 1971, გვ. 250).

მითებში ადამიანის გაბრძენება სწორედ გველის ქამით ხდება უმრავლეს შემთხვევაში. გველი კი სიბრძნის სიმბოლოდ არის აღიარებული მსოფლიოს მრავალ ხალხში.

მაგრამ საინტერესოა, რომ სწორედ ქაჯებთან, ავსულებთან ხდება ხშირად ადამიანის „თვალთა ახლა“. მინდიასა და ქაჯების მაგიური, ჯადოქრული შესაძლებლობები დაკავშირებულია გველის ხორცის ქამასთან, ე. ი. ეს არის ამოსავალი მათი სიბრძნისა, რომელიც, უნდა ვივთხუროს, მხოლოდ მითოლოგიური პასაჟია, რათა ახსნა მიეცეს ზეშესაძლებლობებს. თორემ გველის ხორცის ქამის გარეშეც სხვადასხვა ხალხის მითებში მაგიური შესაძლებლობები ქაჯებს, ავსულებს, დევებსა და სხვათ მიეწერებათ.

მინდიას გაბრძენებაც ქაჯებთან ყოფნის დროს მოხდა. „ფერისცვალება—სულერთია ეთიკურ პლანში დადებითად თუ უარყოფითად შეფასებული, — ქვესკნელში ყოფნასთან, დევ - ქაჯთა მაგიასთან არის დაკავშირებული“ (თ. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ. გვ. 249).

ბუნებრივია, რომ ყოველ ზღაპრულ გადმოცემაში დევს სინამდვილის მარცვალი. ცნობილია, რომ ასეთი ნიჭით მომადლებულ ადამიანებს კუდიანებად, ქაჯებად, ეშმაკებად ნათლავდნენ, რადგან ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ამ საიდუმლოებათა რეალურობა შეუძლებლად ითვლებოდა. შეიძლება ვივთხუროს, რომ მითებში და, კერძოდ, „გველის მჭამელში“ არსებული ქაჯები არის ანარეკლი რეალური ჯადოქრობისა, ე. ი. ზეადამიანური შესაძლებლობების მქონე ადამიანებისა.

ეს ღვთიური ძალა ორგვარი გზით ეძლევა ადამიანს: პირველი — ღმერთისაგან მომადლებული, ბოქებული და მეორე — სპეციალურად შემუშავებული მეთოდებითა და წვრთნით, ამ გზას გვთავაზობს ძველი ფილოსოფიის მრავალი მიმართულება (რაჯა იოგა, ბხაქტოზმი და სხვა). ამ მიმართულებათა და რელიგიურ მოძღვრებათა ფუძემდებლები და მიმდევრები ღრმად ჩაწვდნენ ადამიანის შინაგან სამყაროს და მასში დაფარული უდიდესი შესაძლებლობების წარმართვისა და ამოძრავების მეთოდები შეიმუშავეს, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში დიდი ნებისყოფა და თავდადებული შრომა სჭირდება.

„მხოლოდ საშინელი არაბუნებრიობით, კაცის ან გველის ხორცის ქამით, სულის გაყიდვით და, მაშასადამე, უდიდესი ტანჯვის სახლაურად შეიძლება გადალახოს კაცმა ადამიანურის საზღვარი“ (თ. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ. გვ. 251). ამასთან დაკავშირებით პოემაში ყურადღებას იქცევს შემდეგი ადგილი: „მინდია ტყვედა ჰყოლია თორმეტს წელს თურმე ქაჯებსა“.

რადგან საგულისხმოა, რომ ქაჯები ზეშესაძლებლობათა მქონე ადამიანების ანარქიკლია მითში, შეიძლება ვიფიქროთ, მინდიას ტყვედ ყოფნის პერიოდი არის მისი განსწავლულობის, დაბრძენების მიზანმიმართული დრო, რაც რეალურად ჩასათვლილი.

არ შეიძლება მითში შემთხვევითობას წარმოადგენდეს რიცხვი თორმეტი (თორმეტი წელი), რატომ თორმეტი და არა თერთმეტი ან ცამეტი და ა. შ. ასეა; თუ ისე, ერთი შეიძლება ითქვას, რომ ეს ხანგრძლივი პერიოდი უნდა მიუთითებდეს მინდიას განსწავლულობისა და გაბრძენების შრომატევად, მტანჯველ გზას განსწავლულსა და გაბრძენებულ ადამიანებთან.

მაგრამ თუ ამას ასე ჩავთვლით, მაშინ მინდიასათვის წამებად არ უნდა ქცეულიყო ქაჯებთან ყოფნა. სწავლება გულისხმობს მიზანმიმართულ, გაცნობიერებულ მოქმედებას. პოემამი კი ვკითხულობთ:

„ტყვეობამ ფრიად დაჩაგრა,  
სამშობლოს გარეთ ყოფნამა,  
მიდის დრო, განვლო მრავალმა  
აღდგომამა და შობამა,  
მაგრამ მინდიას ტყვეობას  
არ ექნა დასასრულია,


გული დაუღწო მონებამ,  
ამოხვლას ლამობს სულია.  
აგონდებოდა თავისი  
ჩამოთოვნილი მთებია,  
ჩაბნელებული ხეებია,  
უსწორ-მასწორო გზებია“.

რადგან განსწავლის პროცესი ხანგრძლივია, დიდ ნებისყოფასა და თავდადებად უნდა მოითხოვს. ამიტომ, შეიძლება, რომ ტყვეობად და ტანჯვად არის გადმოცემული მითში. „მომავალი ღვთისმსახურის განწმენდის ამ პერიოდს, რომელიც სამიდან ხუთ წელიწადს გრძელდება, სხვანაირად ტუსაღობა, ან პატიმრობა ეწოდება“ (თ. ოჩი-აური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954, გვ. 19). და, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ მინდიას ქაჯთა ტყვეობაში თორმეტი წელი ყოფნა ამ საკრალური წესის ანარქული... მით უმეტეს, რომ მან ქაჯებთან ღვათებრივი ცოდნა შეიძინა“ (თ. ჩხენკელი. დასახ. ნაშრ.)

მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მითში გადმოცემული მინდიას ქაჯებთან ყოფნის ამბავი რეალურ საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული. მითუმეტეს, რომ ზეადამიანური შესაძლებლობათა მიღწევა (გამეცნიერება, ზეცნობიერების გახსნა) ოდითგანვე ცნობილი იყო კაცობრიობისათვის და იგი პრაქტიკულად დასაბუთებულია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზეცნობიერების გახსნა ორგვარი გზით ხდება — შემთხვევით (თუმცა ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება და უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, განგების ნებით) და განსწავლით, მეცადინეობის საფუძველზე. მეორე გზა დაკავშირებულია ადამიანის უდიდეს სულიერ, ფსიქიკურ ცვლილებებთან, ამიტომ იგი ძალზე სახიფათოა. ჩინელები ამბობენ: „ფსიქიკის სიმები (ძაფები) კარგად უნდა დაიჭიმოს, რათა აღიქვას ბუნების სათუთი ბგერები, მაგრამ სიმები რაც უფრო დაჭიმულია, მით უფრო მეტი შანსია მათი გაწყვეტისა“. ე. ი. არასწორ მიმართულებას შეუძლია ფსიქიკის რღვევა ანუ სულიერი ავადყოფობის გამოწვევა. როცა გვინდა დავინახოთ მითის რეალური საფუძველი და მივიჩინოთ მინდიას ტყვედ ყოფნა განსწავლის პერიოდად (შეგნებულის და არა შემთხვევითის), ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ თქმულების მიხედვით მინდია არ მარცხდება. პოეტმა მითს გაუყუთა სოციალური სარჩული, ტყვეობიდან დაბრუნებული მინდია დაუპირისპირა საზოგადოებას, რის საფუძველზეც მოხდა ტრაგედია.

ცნობილია, რომ არსებობდა მინდიაზე თქმულების მრავალი ვარიანტი და ერთერთით უსარგებლია პოეტს. ერთი ხეცსურული თქმულება მოგვითხრობს: ხოგაის მინ-



და ტყვედ ჩაუგდიათ ქაჯებს. ტყვეობით დაჩაგრულს ქაჯთა საქმის, გველის სისხლს და  
 ლი გაულოკავს... გაბრძენებულა. თავი დაუღწევია ტყვეობისაგან. ფრინველთა და  
 მცენარეთა ენაც უსწავლია. მოღზე არ დადიოდა — ბალახს გავწყულეტო, ხეს არ  
 კრიდა — ცოდვათ. როცა ხეს მოკრას დაუპირებდა, ხე შემოსჩივლებდა: ორი ღდის  
 სიცოცხლე მაქვს და რად მიმოკლებო, მინდია არც ხორცს ჭამდა და საკვირველი სანა-  
 ჩავი იყო მკაში. აქეთ-იქეთ დარბოდა და უნდოდა ყველა თავთავი ერთად მოეჭრა.  
 თქმულება ამისი იქეთ არ მიდის ე. ი. მინდია ბუნებასთან პარმონიაშია, თავს გრძნობს  
 მის შვილად. ა. ბაქრაძე წერს: „თუ გერმანელ მისტიკოსებს დავესესებოდი, შეიძ-  
 ლება გვეთქვა, რომ ეუკას წარმოდგენაში ადამიანი მიკროკოსმოსია, ხოლო ბუნება —  
 მაკროანთროპოსი“. ასეა მინდიასთვისაც.

მაგრამ, როდესაც მიზანმიმართულ განსწავლის პროცესზე გვაქვს ლაპარაკი,  
 მაინც მოჩანს რამდენიმე წინააღმდეგობა, რომელიც უნდა აღინიშნოს (თუმცა იგი  
 არ ეხება მითს). განსწავლის პროცესი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც გაცნობიერე-  
 ბული მოქმედება. მიზნისა და მოქმედების ცხადი გზა. იოგას მოძღვრება ამბობს,  
 რომ ზეცნობიერების განსწავლას შემდეგაც სწორი გზით უნდა იარო, თორემ დაიკარგე-  
 ბა მიღწეული, რაც გამოიწვევს ტრაგიკულ პიროვნებაში — ფსიქიკის დარღვევას ანუ  
 სულიერ დეპრესიას.

სწორედ სულიერ დეპრესიაში მყოფი ადამიანი იკლავს თავს. მინდიას სიცოცხლეც  
 თვითმკვლელობით მთავრდება.

გრ. კიქნაძე შენიშნავს. რომ მინდიას მიერ მიღებული ცოდნა არის ინტუიციური  
 ხასიათისა... ის არ არის, როგორც სამყაროს შემეცნების საფუძველზე მოპოვებული  
 ცოდნა (გრ. კიქნაძე. ეთა-ფსეველას შემოქმედება. 1957, გვ. 144-253).

**სწორედ ის გზა, რომლითაც პოეტმა განავითარა თქმულება (მინდიას დაპირისპი-  
 რება საზოგადოებასთან, კონფლიქტი, სიკვდილი), გვაფიქრებინებს, რომ მინდიას  
 ზეცნობიერება მართლაც ინტუიციურად არის გახსნილი და მისი შემდგომი ქმედების  
 გაცნობიერება არ ხდება. და ვერც მოხდებოდა, რადგან არ იყო შეგნებული სულ  
 ამაღლებსაკენ. ამას ადასტურებს ისიც, რომ მინდია ვერ მიხვდარა პირვანდელ  
 მდგომარეობას. მასში ქვეცნობიერად შემოსული დეიფური ძალა გაუცნობიერებელი  
 დარჩა. ზეადამიანური შესაძლებლობისაგან დაცლილი მინდია პირვანდელ მდგომარეო-  
 ბაში დაბრუნებას ნატრობს, მაგრამ არ იცის როგორ: „იმადვე ყოფნის, რაც ეყავ,  
 ნეტავ წამალი ვიცოდე...“**

ლიტერატურის კრიტიკაში აღნიშნავენ, რომ სიბრძნე-დაკარგული მინდია იცნო-  
 ბიერებს პირვანდელ მდგომარეობას. მაგრამ ნათლად ჩანს, რომ გრძნობს პირვანდელის  
 უპირატესობას ჩვეულებრივ, ყოფით არსებობასთან შედარებით. რა გზით. „რა წამ-  
 ლით“ მივიდა ექამდე, ეს არ იცის და, ბუნებრივია, არც ის, როგორ ეარსება შემდეგ,  
 რომ ის „ყოფნა“ არ დაეკარგა.

\* \* \*

საინტერესოა მინდიას, როგორც ზეცნობიერი ადამიანის, მიდგომა ბუნებასთან.  
 მისი: მინდიას მოქმედებით პურის თავთავები, ყვავილები ერთ კატეგორიაში ექცე-  
 ვა. „მოსალოდნელი იყო, რომ ყვავილებთან და თავთავებთან ერთად, ბალახსაც არ  
 სურდა „ოხრად ლპობა“, მასაც „კაცთსარგოდ“ მოთიბვა მოენდომებინა. მით უმე-  
 ნეს, რომ ძველთა თვალსაზრისით, იგი კაცთა და ცხოველთა საზრდელია: ფშურ  
 აღიღებულში პირდაპირაა ნათქვამი: „ღმერთმა... ხმელეთზე ცხოველნი და კაცნი

გაჩინა და მწვანელი იმათ საზრდოდ მოიყვანა“. „მაგრამ პოემის მიხედვით, ბალახი ხეების კატეგორიაში ხდება, ხეების, რომელთა მოჭრას ცოდვად განიხილავს მინდია“ (თ. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ. გვ. 271).

ან კიდევ, „თუ გულის ხედვაგახსნილ“ მინდიას ესმის, რომ რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყვევალსაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო“. ე. ი. ესმის ის, რომ ქვეყნად არაფერია ღვთის საუფლოსთან წილუყრელი, — მას უნდა სცოდნოდ, რომ კაცის კვლა, თუნდაც მტრისა, ყველაზე დიდი ცოდვაა, აკი რჯულიც არ იძლევა ამის ნებას („არა კაცთა კვლა“), ხოლო უკეთუ ღმერთი ამას ცოდვად არ უთვლის ადამიანს, ცხადია, მას ხის მოჭრა და ნადირის სოცვა არ ჩაეთვლება ცოდვად“ (თ. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ. გვ. 264).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზეადამიანური შესაძლებლობის გახსნის გზაზე მიზანმიმართულად მრავალი იცნობიერებს თავის მდგომარეობას, მისაღწევ მიზანს და შემდგომი ცხოვრების წესს.

მაგრამ მინდიას ზეცნობიერების გახსნა ღვთის წყალობით მოხდა. იგი ინტუიციურია და არა სამყაროს და საკუთარი თავის სიღრმისეული შემეცნების შედეგად მიღებული ცოდნა. მინდია „დაცარიელების“ შემდეგ გრძნობს, რომ იგი ღმერთთან წილნაყარია და რის მისი კაცობრი უზენაესთან გაწყდა. გრძნობს ამის მიზეზსაც. მაგრამ მისი ცოდნა, მისი „სიბრძნე“ შემთხვევით იყო მიღებული, მან არ იცოდა, თუ როგორ უნდა ემოქმედა, როგორი ცხოვრების წესით ეცხოვრა, რომ არ დაეკარგა ძვირფასი საუხვე.

მინდია მოქმედებს ბუნების, სამყაროს კარნახით, რომლის სათუთი ბგერები აღწევს მასში ღვთის მომადლებული ნიჭით, უხეშად, რომ ვთქვათ იმ „არხით“, რომელიც გაეხსნა მას (აღმოსავლეთში უწოდებენ მესამე თვალს, ევროპული მედიცინით ეწოდება „ეპიფიზი“).


ე. ი. მინდიას ბუნება ამოქმედებს. ჩვეულებრივ მოკვდავთ არ აღელვებთ ბუნების ხმა. (ჩაღსია, მზია... ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ და უპირისპირდებიან მინდიას).

რადგან მინდია ცნობიერად პარმონიაშია ბუნებასთან, მთელ სამყაროსთან და გრძნობს თავს მის ნაწილად, ამიტომ ბუნებაზე მიყენებული ტკივილი აღიქმება მის ტკივილად. მისი მოქმედება მასზე არ არის დამოკიდებული. თუ ყვავილი სთხოვს კრეფას, პურის თავთავი ეხვეწება, მომჭერიო, — ქრის ხეს, ბალახებს; ცხოველებს იბრალებს, ეცოდება.

როცა ვამბობთ „ეცოდება“ აქ ორ გარემოებას უნდა გაეხვას ხაზი: 1. რადგან მინდია შერწყმულია ბუნებასთან და ხედავს რომ უსულო საგნები მართლა უსულონი კი არ ჩვეულებრივი სულიერი არსებანი არიან, იგი ვერ გადალახავს მათზე მიყენებულ ტკივილს, რომელსაც აშკარად თავის ტკივილად აღიქვამს. ე. ი. მინდია არ აყენებს ტკივილს ბუნებას და საკუთარ თავს:

„სხვებსაც მას ურჩევს: „კაცებო,  
მოდით, ნუ შვრებით ცოდვას:  
ნუ მასკრით ხესა, დავჯერდეთ  
ჯოყრებს, ხის წიწკრებს ცოტასა“.  
არავინ უხმენს, არქმევენ  
ამ გვარს მის რჩევას ბოდვასა“.

2. მინდია მიუხედავად წინააღმდეგობისა, სთხოვს თანასოფლელებს, არ ჩაიდინოს ცოდვა — ცდილობს იხსნას ცოდვისაგან ადამიანები.



შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვითონ უცოდველი ყოფილიყო და პასუხისმგებლობაც მოხსნილი ექნებოდა ღვთის წინაშე. მაგრამ არა, მიხდება იცის, რომ „მთელი სამყარო წარმოადგენს ერთიან ორგანიზმს. ერთის მიერ ჩადენილი არასწორი საქციელი ვრცელდება მეორეზე“. (განდი. ჩემი ცხოვრება, 1959, გვ. გვ. 382). თუ ერთი ჩადის ცოდვას და მეორე არ აჩერებს მას, ეს იგივე მოქმედების ტოლფასად განიხილება. მიხდება დასკინიან, „არავინ უსმენს, არქმევენ ამგვარ მის რჩევას ბოდვასა“. მაგრამ იგი მაინც ცდილობს, არა ძალის გამოყენებით (მას ამის უნარიც შესწევს), არამედ რჩევით, თხოვნით შემოაბრუნოს საზოგადოება სიკეთისაკენ.

„მამაცობა და ძლიერება საჭიროა არა აქტიურობისათვის ცხოვრებიდან ბოროტების ასალავმავად, არამედ იგი სჭირდება ადამიანს ბოროტების შემოსაბრუნებლად სიკეთისაკენ ან მისი ნეიტრალიზაციისათვის“ (ვივეკანანდა. იოგას ფილოსოფია).

თ. ჩხენკელი აღნიშნავს, რომ ინდური ეთიკის უძველესი მოძღვრების — აჰიმსას თანახმად (რომელიც ბუდიზმმა და ჯინიზმმა განავითარეს და რომელიც სხვა არსებულადმი ძალმომრეობისა და ტანჯვა-სიივის არმიყენებას ნიშნავს) — „ყველაფერი, რაც ცოცხალია, ცოცხალისავე ხარჯზე ცოცხლობს... თავად ადამიანის სიცოცხლის ფაქტი — ის, რომ იკვებება და მოძრაობს... მაინც მოიცავს სიცოცხლის განადგურებას (აჰიმსას). კაცს არ ძალუცს სავსებით განთავისუფლდეს აჰიმსასაგან. სანამ იგი საზოგადოების წევრად ითვლება, მას არ შეუძლია მონაწილეობა არ მიიღოს აჰიმსაში, რომელსაც თავად საზოგადოების არსებობა ბადებს“ (განდი. დასახ. ნაშრ. გვ. 302).

იგივე აჰიმსას მოძღვრებით ადამიანი, მართალია, სრულიად შეიძლება ვერ გაეჭყეს სიცოცხლის განადგურებას, მაგრამ რაც შეიძლება უმცირეს ღონემდე უნდა დაიყვანოს ის. აჰიმსას მიმდევრები პირველ რიგში კვების პროდუქტებიდან გამორიცხავენ იმას, რაც სიცოცხლის გამანადგურებლად ითვლება, (მაგალითად, ხორცს, კვერცხსა და სხვა. გარდა იმისა, რომ სიცოცხლეს უფრთხილდებიან, მას სხვა მნიშვნელობაც ენიჭება), მიიჩნევენ, რომ ადამიანმა რაც შეიძლება ბუნებრივად უნდა იცხოვროს, იკვებოს (მარცვლეული, ბოსტნეული და სხვა). მიხდება მოქმედებას თუ დავაკვირდებით, დაინახავთ, რომ იგი ცდილობს არ მიიღოს მონაწილეობა აჰიმსაში. სხვებსაც მოუწოდებს: „ნუ მასჭრით ხესა, დაჯვრდეთ ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა“. არც ნადირს ხოცავს. ცოლის კითხვაზე. „შემის ჭრას, ნადირთ ხორცვასა, სხვან რად არ თვლიან ცოდვადა?“ მიხდება პასუხობს:

„არ იცი, არა, კკვა-თხელო,  
უბედო, ზეზერე მგრძნობარევ,  
თავისა სასიამოვნოდ  
წუთისოფლისა მცნობარევ“.

მიხდება ცხოვრება სიამოვნებისათვის აღარ არსებობს. მისთვის, როგორც ზეცნობიერი ადამიანისათვის, ჩვეულებრივი, სოციალური მოთხოვნებიდან გამომდინარე მიდგომა ბუნებასთან ცხოველურობის ტოლფასია. ამიტომაც პასუხობს ცოლს: „ცხოვრების მაგალითადა ბრძოლები დამისახოდი“.

„პოემის მიხედვით, ბალახი ხეების კატეგორიაში შედის, ხეებისა, რომელთა მოჭრას ცოდვად განიხილავს მიხდება“ (თ. ჩხენკელი. დასახ. ნაშრ. გვ. 271).

თუ ამგვარად მსჯელობას გავყვებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან მიხდება უარყოფს ხორცის ჭმას, ბალახსაც, როგორც ცხოველთა საკვებს, არ თვლის კაცსარგოდ.

„ადამიანის უპირატესობა დაბალგანვითარებულ ცხოველებზე სრულიად არ ნიშნავს



იმას, რომ ეს უკანასკნელი უნდა იყვნენ პირველთა მსხვერპლი. პირიქით, უმადლესი არსებანი უნდა იცავდნენ მათ, ადამიანი არსებობს არა სიამოვნებისათვის, არამედ იმისათვის, რომ იცხოვროს“ (ვანდი, დასახ. ნაშრ. გვ. 300).

მინდია მსხვერპლად შეეწირა ადამიანთა ბუნებისადმი უნემ დამოკიდებულებას. საზოგადოებამ დასძლია პიროვნების ნებისყოფა და აიძულა ისე მოქცეულიყო, როგორც სხვები: ხე მოეჭრა, ცხოველი მოეკლა, ანგარიში აღარ გაეწია მათი ჩივილისათვის. გადალახა მინდამ პირობა და სმენა შეეკრა, დაეზო ბუნების სმენის უნარი და ცოდვისათვის დაისაჯა.

მართალია, მინდიას ტრაგედია ნაჩვენებია საზოგადოებასთან წინააღმდეგობაში, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ამ წინააღმდეგობის გარეშე ტრაგიკულ პიროვნებად გვესაჩება. პირველ გამოჩენისთანავე ვგრძნობთ მის არაბუნებრიობას. იგი განზე გამდგარი, განკერძოებული, ჩაფიქრებული და სევდიანია:

„კარებში ერთი ვინმე სჩანს  
სახე მკრთალი და მშვიდია...  
დაღერემილს წელზე ხმალი პრტყავ,  
მხარ-ილივ ფარი ჰკივია“.

მაგრამ ეს სიმშვიდე მხოლოდ გარეგნულია, „როცა ყანის მკეს დაიწყებს, გვიო, გადარეული: ერთს ფეხს აქ მოსჭრის, ერთს იქა, საგულე ჩამოხეული“. რადგან თავთან უწყებენ ხეწნას, „არა, მე მომჭერ, არა, მე“ მინდია კარგავს წონასწორობას:

„გამაგიჟებენ ბოუირით,  
გადავირევი ბრალითა:  
ვცდილობ და ყველას ვერ ვწვდები  
ორის ხელით და თვალითა  
და ამ დროს თაქადაც ვხვდები  
მოსაბრუნები წყალითა“.

როგორც ვხედავთ, მინდიას ცხოვრება საზოგადოებასთან დაპირისპირებამდე არ არის მშვიდი. მინდიას ესმის ბუნების „კენესა და ჩივილი“. და ეს „კენესა და ჩივილი“ უმღერებს, უფორიატებს სულს. ნათლად ჩანს, რომ მინდიას არ შეუძლია რეგულირება გაუწიოს თავის „სიბრძნეს“.

იოგას ფილოსოფიით, ასეთ ადამიანს უნდა შეეძლოს იმ „არბის“ კონტროლი რომლითაც მასში შემოდის ბუნების სათუთი ბგერები, რადგან იგი არ იმყოფებოდა მუდმივი ქაოსისა და „ხმაურის“ გავლენაში.

„პოემის დასასრულიც ფოლკლორული თვალსაზრისით არაბუნებრივია. გამეცნიერებული, ბუნების საიდუმლოებაში შესული ადამიანი ხალხური გადმოცემით, გამარჯვებული რჩება: ფრინველებისა და ცხოველების ენის ცოდნა გმირს ყოველგვარ განსაცდელს ააშორებს, მინდია კი, პირიქით, მარცხდება და ჩვეულებრივი მომაკვდავი გულს განიკვირავს“ (მ. ჩიქოვანი. დასახ. ნაშრ. გვ. 88).

შეიძლება, ფოლკლორული თვალსაზრისით მართლაც არაბუნებრივი იყოს პოემის დასასრული. მითის მიხედვით მინდია მართლაც არ მარცხდება და მისი ტრაგედია პირობები სწორედ მზადდება პოემის იმ ნაწილში, რომელიც პოეტმა თქმულების შემდეგ განავრცო.

უკვე აღინიშნა, რომ მინდიას სიბრძნე ინტუიციურ ხასიათს ატარებს და რადგან გაცნობიერებული არ ჰქონდა ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა, ბუნებრივად



არ იცოდა ის ცხოვრების წესი, რომლითაც შეიძლებოდა სიბრძნის შენარჩუნება. ამიტომ იგი საზოგადოების ძალდატანებით არღვევს თავის მორალს და ჩვეულებრივი მოკვადი, ცოდვილი ხდება.

იოგას ფილოსოფიით, ასეთ გზაზე შედგომა წმინდანისა (კიმსაში მონაწილეობა) აუცილებლად იწვევს მისი სულის, ფსიქიკის რღვევას, რაც სულიერი დეპრესიით მთავრდება.

მინდისა გზაც ასე დასრულდა. მინდია რომ გამარჯვებული დარჩენილიყო, უფრო არასარწმუნო იქნებოდა.

რა თქმა უნდა, პოემაში ჩვენ არ ვაგვლებთ პარალელებს ფილოსოფიისთან ვაჟა თავისი: ხალხის უშრეტო ნიჭითა და უძველესი ფესვებით საზრდოობდა. მაგრამ ვაჟა, როგორც ბუნებასთან ახლოს მდგომი, ღრმად ჩაწვდა მის საიდუმლოებას, ადამიანის სულის სიღრმეს, ადამიანის ჰარმონიას ბუნებასთან, სამყაროსთან და იმ ფილოსოფიურ მოძღვრებებთან, რომლებიც ამავე საკითხებს ეხება, მრავალ დამთხვევას დავინახავთ.

## იოსებ ბეჰირიოვილი

# როდის დაიპყრეს ოსმალეთმა აჭარა?

რატომღაც ისტორიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი, რომ ოსმალებმა 800 წელიწადს ბატონობდნენ აჭარაში. თუ ასეა, მაშინ მათ აქაურობა XVI საუკუნის 70-80-იან წლებს შუა პერიოდში უნდა დაეპყროთ. ეს მხარე ხომ 1878 წელს განთავისუფლდა.

ისტორიკოს ლუკა ისარლიშვილის ცნობით, ახალციხის ათაბაგმა მანუჩარმა აჭარელთა თანადგომით მაჭახელსა და მოსაზღვრე შავშეთშიც გაუმართა ბრძოლა ოსმალებს, მაგრამ იძულებული გახდა 1587 წელს მათი ძალაუფლება აქაც ეკნო!

ამდენად, დამპყრობლებმა შესხეთში, ანუ სამცხეში, შემავალი აჭარის კიდეც ერთი ნაწილი — მაჭახელის სეობაც მიისაკუთრეს და შავშეთიც, რომელიც დღესაც თურქეთის საზღვრებშია მოქცეულია.

იგივე ლ. ისარლიშვილი, სამხედრო ისტორიკოსი, რუსეთის არმიის კავკასიის შტაბის უფროსი ვლადიმერ ლისოვსკი და სხვები ბათუმის დაპყრობის, აქ ოსმალთა მიერ ციხესიმაგრის აგების თარიღად 1564 წელს მიიჩნევენ.<sup>2</sup> ფრანგი მოგზაური ე. მურტიეც წერდა, რომ 1564 წელს ოსმალებმა დაიკავეს შავი ზღვის სანაპირო და ააშენეს ბათუმის ციხესიმაგრე.<sup>3</sup>

ჩვენი აზრით, ისტორიკოსებმა 1564-1587 წლებს შუა პერიოდი ოსმალთა პირველი შემოსევის საწყისად მიიჩნიეს და ასე დამრგვალებით მიიღეს 300 წელი, მაგრამ აჭარის დაპყრობა ბევრად ადრე მოხდა. ეს წლები შეიძლება მორიგი შემოსევის თარიღად ჩავთვალოთ, შესაძლოა იგი აჯანყებული მოსახლეობის დასჯისა და საკუთარი ვარსიზონების დამკვიდრება-გამაგრების მიზნით განახორციელებს დამპყრობლებმა.

მაინც როდის შემოიჭრნენ ოსმალები პირველად აჭარაში? როდის დამკვიდრდნენ აქ? არის თუ არა ამის დამადასტურებელი რაიმე ცნობები? დიახ, არის. გასული საუკუნის ცნობილი მკვლევარი დიმიტრი ბაქრაძე წერდა, რომ XV საუკუნის მეორე ნა-

ხევის რისკი მისთვისაა შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო დაიპყრეს, სულთანს სულეიმანმა (1520-1566) კიდევ უფრო განამტკიცა მონაპოვარიო<sup>4</sup>.

პროფ. რ. კიკნაძე „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების წყაროების განხილვისას ასკვნის: თებრბატკინანმა თურქმანებმა საქართველოში სამჯერ ილაშქრეს: 1456-1462 და 1476 წლებში. მათი სახაზის კარზე ყოფილან მეფე კონსტანტინე და ყვარყვარე ათაბაგის ძე მჭეპაბუჯი, რომლებიც სულთანმა ხალილმა შეიწყალა და საქართველოში გამოისტუმრა. 1478 წელს ახალმა სულთანმა იაყუბმა ილაშქრა სამცხეში და ახალციხე-აწყური აიღო.<sup>5</sup>

ყვარყვარე ათაბაგების დროსაც რომ აჭარა სამცხე-საათაბაგოში ანუ მათ სამფლო-ბელოში შედიოდა, ეს ახალი ამბავი არაა. შესაძლოა თურქმანთა რაზმი მეზობელ აჭარასაც შემოესია, რათა ათაბაგების პოზიციები უფრო შეეხუსტებინათ და თავიანთ წინადადებებზე ადვილად დაეთანხმებინათ.

ისტორიკოს ნოდარ ავალიანის მიხედვით, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ შედგენისას, ესე იგი 1595 წლამდე, აჭარა წარმოადგენდა ოსმალეთის დამოუკიდებელ ლივას, სანჯაყზე ბევრად დიდ ერთეულს. ამრიგად, იგი უკვე მიტაცებული ჰქონდათ, თანაც კარგა ხნით აღრე, რასაც ისტორიული წყაროებიც ცხადყოფენ.<sup>6</sup>

სამხედრო ისტორიკოსი, გენერალი იაკობ პროსკურიაკოვი 1842 წელს ბათუმში ყოფნისას წერდა: „ქალაქი ოსმალებმა 1547 წელს დაიპყრეს და გარნიზონი ჩააყენეს.<sup>7</sup> „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების საფუძველზე ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებდა, რომ დაახლოებით 1547-1548 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ჭანეთი და აჭარა ბათუმითურთ. ამვე თარიღს მიუთითებს ცნობილი თურქოლოგი ნ. შენგელია.<sup>9</sup>

1547 წელს მტერმა ბათუმში მართლაც ააგო ციხესიმაგრე, რომელსაც ახლანდელი ხის დასამუშავებელი კომბინატის, რკინიგზის სადგურისა და ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზის ტერიტორიები ეკავა. იგი გასული საუკუნის 80-იან წლებში დაანგრის, რათა ქვემო ნავსადგურის, წყალსადენისა და სხვა ობიექტების ასაგებად გამოეყენებინათ. გონიოს ციხესიმაგრეს კი ერთი ფენა დააშენეს და აქაც გარნიზონი ჩააყენეს, რომელიც სპარსეთის ლაშქრობიდან მოიყვანა სულთანმა სულეიმანმა. მისი უპირველესი მიზანი ხომ სწორედ ის იყო, რომ აჭარა ლივად გამოეცხადებინა, ფაშაც დაესვა და მაჭახლის ხეობის აჯანყებული მოსახლეობაც შეემუსრა, ამით აჭარის სხვა რეგიონების მცხოვრებთა დაშინება-დამორჩილებაც ეწადა.

ზაქარია ჭიჭინაძის მიხედვით, ეს შეტაკებები 1516 და 1519 წლებში მომხდარა. მაშინ ოსმალებთან ბათუმისათვის ბრძოლაში თავი სწორედ მაჭახლელებს, ქობულეთლებსა და გურიის მოსახლეობასაც გამოუჩენია.<sup>10</sup>

ცნობილი თურქი მოგზაური და ისტორიკოსი ევლია ჩელები, რომელიც XVII საუკუნეში მოღვაწეობდა და აჭარაც შემოიარა, ადასტურებს, რომ სულთან სულეიმან კანუნში ტახტზე ასვლის უამს, ე. ი. 1520 წელს, 18 ზაიამეთისა და 72 თიმარისაგან შემდგარი ბათუმის სანჯაყი ტრაპიზონის ვილაიეთს შეუერთა. იგი ხუთ სანჯაყს აერთიანებდა: ქვემო და ზემო ბათუმის, გონიოს, თვით ტრაპიზონისა და ჭანჭანს.<sup>11</sup>

სამისოდ ოსმალები ჯერ მდინარე ჭოროხის ხეობას აპყენენ, ცეცხლითა და მახვილით მიმობრძინებს მაჭახლის სოფლები, იქედან ჭანეთში (ლაზეთში) გადავიდნენ და მაკრიალის სანაპიროსა და ისევ გონიოს გამოვლით უკვე ბათუმს მოადგენენ. აქედან (გონიოდან) დასძრა სულეიმანმა თავისი ჯარები ჭოროხის ხეობაში და გააყვანინა გზა, რომელსაც სულეიმანის გზა ეწოდებოდა.. გონიოს ციხესიმაგრის ასაგებად კი ტყავის ასიგნაციები გამოუშვა და გონია, ესე ი. ი. ტყავის ფული, დაარქვა.. რომორც ამგობან, გონიო სულეიმანის მიერ არის აშენებული“ — კვითხულობთ უ. მურიებს წიგნში „ბათუმი და ჭოროხის აუზი“.<sup>12</sup> (ხაზი ჩვენია — ი. ბ.) სხვათაშორის, ეს შე-



ცდომა გაიპარა „ქართლის ცხოვრებაში“, თანამედროვე ისტორიკოსის ო. სოსელიასა და სხვათა ნაშრომებში, თუმცა ეს მცდარი მოსაზრება ჯერ კიდევ 1917 წელს დამატებრებლად უარყო ცნობილმა ბიზანტოლოგმა, აკადემიკოსმა თედორე უსპენსკიმ. იგი წერდა, რომ გონიოს ციხესიმაგრე აგებული უნდა იყოს პომპეუსის დროს, ესე იგი, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. ოსმალებმა 1547 წელს ციხეს მხოლოდ დააშენეს ქვების ერთი ფენა, ამასთან უშნოდ, რაც ახლაც კარგად შემორჩენვა. მისივე ცნობით, გონიოს პირველად ახსენებს არაბი მოგზაური ჰაჯი კალფა, რომელიც XII შორის ფრანგმა ედუარდ ლიონენმა და ვლადიმერ ლეკვინიძემ, რომელმაც საინტერესაუკუნეში იყო აქ.<sup>13</sup> უსპენსკის ეს მტკიცება არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა, მათსო გამოკვლევა უძღვნა გონიოს.<sup>14</sup> გამოდის, ოსმალები აქარას პირველად თითქოს 1547 წელს შემოესივნენ. მაგრამ ისტორიული მასალები ადასტურებენ, რომ ესეც მორიგი შემოჭრა იყო. 1474-1475 წლების ივნისსა და აგვისტოში აქარის გავლით სპარსეთში იმოგზაურა იტალიის ელჩმა, დიპლომატმა ამბროჯიო კონტარინიმ, პირველი ჩამოვლისას იგი იუწყებოდა: „გორბოლა (ათაბაგ ყვარყვარეს დამახინჯებული ევროპული ფორმა — ი. ბ.) ახალციხისა და ბათუმის მფლობელია. მას ეკუთვნის აგრეთვე ზღვისპირა სავაქრო ქალაქი კალთხეა“ (ქაჭთა ციხე, დღევანდელი ციხისძირი — ი. ბ.).<sup>15</sup>

სპარსეთიდან ფზისში (ფოთში) ჩამოსულმა ა. კონტარინმა ყირიმში გამგზავრება „ჩერქეზების გზით“ ანუ აფხაზეთისა და აზოვის სანაპიროს გავლით არ ისურვა, რადგან იქ უკვე ოსმალები ბატონობდნენ. ამიტომაც ევროპულ ვაჭრებთან, ანტიოქიის პატრიარქსა და რუს ელჩებთან ერთად თბილისში დაბრუნება აქარის გავლით არჩია. ამჭერად იგი წერდა: გავიარეთ ახალციხისა და ბათუმის მთავრის გორგოლას საბრძანებალი, რომელიც ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვარზეა და ხარკს უხდის მას.“<sup>16</sup> (ხაზი ჩვენი — ი. ბ.).

რასაკვირველია, აქარისათვის ხარკის შეწერა განაპირობა ოსმალთა შემოსევამ 1474 წლის მეორე ნახევარსა თუ 1475 წლის დასაწყისში. ადრე რომ მომხდარიყო, მაშინ ა. კონტარინი პირველი ჩამოსვლისას აღნიშნავდა, ხარკს იხდისო.

ვლინდება ისიც, რომ ეს იყო მტრის პირველი შემოსევა. 1426 წელს ბათუმში მყოფი გერმანელი მოგზაურის იოანე შილტბერგერის ცნობით, XIV საუკუნის დამლევს სულთან ბაიაზიდის 80-ათასიანმა არმიამ აიღო ქანეთი და იქ მმართველთა ვისიანი დასვა. შემდეგ ოსმალები შავ ზღვაზეც გაბატონდნენ და ყირიმშიც.<sup>17</sup> როგორც ცნობილია, ოსმალებმა 1461 წელს ტრაპიზონი აიღეს და კონსტანტინოპოლის იმპერიაც დაამხეს, მალე უშუალოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიადგნენ. 1474 წელს დაიპყრეს თორთომ-პარხალი, აქაურმა ერისთავმა ისლამი მიიღო, სახელად მემედი დაირქვა, ბეგად იქცა და სამთავრო სანჯაყად გამოაცხადა.<sup>18</sup>

ჩვენი აზრით, თორთომ-პარხალში შემოჭრილმა ოსმალებმა იმავე თუ მომდევნო წელს აქარამდე მოადწიეს, მაგრამ, ეტყობა, არ დაბანაკებულან, მხოლოდ ხარკი შეაწერეს და მოსახლეობას აგრძნობინეს, რომ კიდევ მოვლენ, რათა მთლიანად დაეპატრონონ მხარეს.

ასე იმიტომაც მოხდა, რომ ოსმალები იბრძოდნენ კავკასიის სხვა მხარეებსა და ყირიმშიც, არაბეთისა და ბალკანეთის ქვეყნებშიც. ერთი სიტყვით, აქარისათვის არ მცალათ, რის გამოც აქ მოგვიანებით დამკვიდრდნენ, რასაც ქრისტიანობის ძალით მოსპობა და ისლამის გავრცელება, ოსმალეთის აღმინისტრაციისა და კანონების შემოტანა მოჰყვა.

ბათუმში ი. შილტბერგერის ყოფნისას ოსმალები აქ არ იყვნენ, ადგილობრივი

მოსახლეობა ბერძნულ (ქრისტიანულ) რელიგიას მისდევდა. ალბათ, 1475 წლის გაზაფხულიდან კი აქარა უკვე მტარვალთ ხარკს უხდიდა. არა ვგვონია, რომ ყოველივე სისხლისმღვრელი შემოსევების გარეშე მოხდა. ეს წელი აქარაში ოსმალთა პირველი შემოსევის თარიღად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენს ვარაუდს ამაგრებს ისიც, რომ მანამდე ოსმალებმა ფეხი აფხაზეთში მოიკიდეს. პროფ. მ. სვანიძემ შეაჯერა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა და დაადგინა, რომ ოსმალები სოხუმს დაეცნენ 1454 წლის ივნის-ივლისში, რომ ეს იყო მათი პირველი შემოსევა ზღვიდან.<sup>19</sup> 1578 წელს კი დამპყრობლებმა სოხუმში ააგეს ციხე და გარნიზონი ჩააყენეს.<sup>20</sup>

მათმა სარდალმა სინან ფაშამ უკვე 1580 წელს „ქართველი ბერების დამოუკიდებლობის ასალაგმავად ბათუმსა და სოხუმში ბეგლარბეგები და დევთერდარები დააყენა“.<sup>21</sup> დაუპყრობელ მიწაზე კი ასე არ ხდება. ჩილდირისა (ახალციხის) და ყარსის ვილაიეთებიდან დაკავშირებული რეესტრების მიმოძიებულ დოკუმენტებს (აბულაძე და მ. სვანიძე წერენ, რომ 1582 წელს ოსმალებმა ბათუმი ტრაპიზონის ლივას შეუერთეს და შექმნეს ტრაპიზონის ვილაიეთი, ბათუმის მხარე მასში შემავალ დამოუკიდებელ ლივას წარმოადგენდა.<sup>22</sup>

1672 წლის დეკემბერში აქარის გავლით სპარსეთსა და ინდოეთში იმოგზაურა ფრანგმა დიპლომატმა უან შარდენმა. მისი ცნობით, მაშინ აქარაში მეტწილად მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობდნენ და სოფლებს სათავეში მამასახლისები ედგნენ, მაგრამ იყვნენ მუსლიმანები და ქედბულებიც ანუ ოსმალო მოხელეები.<sup>23</sup> უ. შურის მიხედვით, „ოსმალებმა XVIII საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველი გვარის აქარელი ბეგების სიმშაპეების წყალობით ფეხი ვერ მოიკიდეს“. ი. პროსკურაკოვი კი წერდა: „ქრისტიანობა აქ ოსმალების ძალმომრეობით მოიხპო. სხვათა შორის, ეკლესია, რომელიც მოხატულია ძველებური ფერწერით, კარგად არის შენახული, ხოლო ქართულად მოლაპარაკე ქალაქის (ბათუმი — ი. ბ.) მცხოვრებლები, თუმცა მაჰმადიანები არიან, მაგრამ მაინც კითხულობენ საღვთო წიგნებს, ზოგიერთებს სახლში ხატებიც აქვთ, როგორც სამასსოვრო იმისა, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ“.<sup>24</sup>

ამრიგად, 1474 თუ 1475 წლიდან 1878 წლამდე ანუ თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში გმინავდა აქარა დამპყრობთა უღელქვეშ. სხვათა შორის, ამ მტკიცებას სხვებიც უმაგრებენ ზურგს, მაგალითად, აქარის ისტორიის კარგი მკვლევარი გიორგი წერეთელი, რომელიც როგორც სამხედრო კორესპონდენტი, 1878 წელს რუსეთის არმიას ჩვენს მხარეში შემოეყვანა. მაშინ იგი წერდა: „მდინარე ოჩხამურს ოთხი საუკუნის მაჰმადიანობის შემდეგ დღეს პირველად მოუხდა ხელმეორედ მონათვლა“.<sup>25</sup> ისტორიკოსი ივანე კანევსკიც იუწყებოდა, რომ აქარლები და ლაზები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ 300-400 წლის წინათ. მუსლიმანთა ურდოებმა წალექს აქ დამკვიდრებული ქრისტეს იდეები და სულიო.<sup>26</sup>

ჩაკველ პატრიოტ ბეგ სუსეინ ბუენიძეს 1877 წელს აქარის დიდი მეგობრის სერგეი მესხისათვის უთქვამს: 400 წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ოსმალებმა დაგვიპურესო.<sup>27</sup> ხ. ბუენიძე ბათუმ-ჩაქვის მიდამოების მფლობელი იყო, განათლება სტამბოლში ჰქონდა მიღებული, ერთხანს იქაც მსახურობდა, ასე რომ, საამისო წყაროებზე ხელი მიუწვდებოდა, თანაც მემკვიდრეობით მიღებული საადგილმამულო დოკუმენტებითაც იცოდა ყოველივე.

აკადემიკოს ნიკო კეცხოველის მოგონება გვაუწყებს, რომ აქარის საეკონომიკურ თავმჯდომარის მოადგილემ ხასან ლორთქიფანიძემ 1925 წლის ზაფხულში ბათუმში



გამართულ შავიზღვისპირეთისა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა ყრილობაზე  
 ექვა: „400 წელს იყო აჭარა ოსმალთ ტყვეობაში“.<sup>28</sup>

ბ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში ჰქონდა მიღებული უმაღლესი იურიდიული  
 განათლება, ამასთან ცოლა ჰყავდა აჭარის ცნობილი მმართველი დინასტიის ხიმშიაშ-  
 ვილების ასული, რომელსაც შემორჩენოდა არა ერთი ძველი საბუთი, მათ შორის  
 საადგილმამულო, რომლებიც ნათელს ჰყენდნენ ჩვენთვის ძვინტერესო საკითხს.

ამდენად, ოსმალთმა აჭარაში არა 300, არამედ 400 წელიწად იბოგინეს, ოღონდ  
 მხედველობიდან არ უნდა გამოვარჩეს ის, რომ ყველა რეგიონში ერთდროულად ფეხი  
 ვერ მოიკიდეს. ისინი მანამ არ მოეშვენენ ბრძოლას, სანამ ეს მხარე კიდით-კიდემდე არ  
 მიიტაცეს, ჩოლოქზე გამავალ ისტორიულ საზღვარს არ მიაღწიეს.

1989 წელს ოსმალების მიერ აჭარის მიტაცების საკითხს შეეხო ლევან ურუშაძე  
 „ბათუმში ოსმალთა ბატონობის ისტორიისათვის“. (ურუნ. „ჟორჯი“, № 2).

ზ. ჭიჭინაძის იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ მაჭახლელები ბათუმისათვის  
 მომხვედურებს 1516-1519 წლებში შეებრძოდნენო, ლ. ურუშაძე აღნიშნავს: ეს იქნებო-  
 და ეპიზოდური ხასიათის ბრძოლა, რასაც წარმატებები არ უნდა მოეტანა ოსმალებისა-  
 თვის, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად იქნებოდა ცნობა რომელიმე ქართულ  
 წყაროებში.<sup>29</sup> რასაკვირველია, ეს დამაჭერებელი არგუმენტი არაა. რაკი უ. მურიციც  
 ამახვილებს ყურადღებას ამ მოვლენაზე.

მაშასადამე, რომელიმე წყაროს იცნობდა და კიდევ ეყრდნობა. მით უმეტეს  
 შემოინახა თვით თურქი ისტორიკოსის ევლია ჩეღეზის ცნობა. და მინც ლ. ურუშაძის  
 მიხედვით, 1520 წელს ოსმალებმა, შესაძლოა, ილაშქრეს ბათუმზე, მაგრამ დაპყრობით  
 არ დაუპყრიათ, ეს მოხდა 1549 წელს, როდესაც სულთან სულეიმანის სარდალმა ლოლა  
 მუსტაფა-ფაშამ პირველად დალაშქრა აჭარა და გამოთქვამს ასეთ ვარაუდს: „უფ-  
 რო სარწმუნოდ მიგვაჩნია ის ცნობები და მოსაზრებები, რომელთა თანახმად ბათუმი  
 ოსმალეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა XVI საუკუნეში, კერძოდ, ამ საუკუნის შუა  
 ხანებში. ხსენებული ოლქი მტრის ხელთ უნდა გადასულიყო სულთან I კანუნის ზეო-  
 ბის ხანაში. — 1549 წელს“.<sup>30</sup>

ცხადია, შემოსევა, ბრძოლები, დაპყრობა თუ აღმინისტრაციული დაქვემდებარება-  
 დაყოფა სხვადასხვა მცნებაა. შეიძლება მტერი შეეხიოს სხვის მხარეს, ქვეყანას, ხარკი  
 შეაწეროს და დაპყრობილ ტერიტორიად მიიჩნიოს, მაგრამ თავისი წესწყობილების  
 დამკვიდრებას, აღმინისტრაციულ დაყოფას გვიან შეუდგეს და პირიქით, დაიპყროს და  
 მოგვიანებით შეიერთოს. ასეთი მაგალითები ისტორიაში ბევრია, ასე რომ, თუ ხარკის  
 გადახდას აიძულებენ ძალით, ჯარებს თვით სულთანნი და არა სხვა ვინმე წაუძღვება,  
 შემდეგაც ცეცხლითა და მახვილით შეესევინ ამბოხებულ მოსახლეობას, შეუდგებიან  
 თავიანთი ადამ-წესების დამკვიდრებას, თავის სჭულზე მოქცევას და სხვა, მაშინ ბატო-  
 ნობის ხანა ყოველივე ამის დასაწყისიდან უნდა მივიჩნიოთ, ამდენად, დაპყრობაც.  
 აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ლ. ურუშაძის მიერ შემოთავაზებული  
 1549 წელი არის ახალი ბრძოლის, აჭარაში ოსმალთა მიერ სრული ფეხმოკიდება-  
 დამკვიდრების ანუ მისი საბოლოო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოფიციალური დაპყრო-  
 ბა-მიტაცების წელი, თორემ საექვო ხდება თვით სულთან სულეიმანის გამოლაშქრება  
 ჯარით, განა იგი მცირე რაზმით, მხოლოდ მაჭახლელების დასჯის მიზნით გამოემართა?  
 თავად არ ისურვა აჭარის დაპყრობა-შეერთება თავისი იმპერიისათვის?.

დიახ, ოსმალებმა აჭარა 1549 წლამდე კარგა ხნით ადრე მიიტაცეს. დაიპყრეს,  
 დომინიონად აქციეს, თუმცა პირველ ხანებში მართლაც არ ეცალათ აქ ჯარის, მოხე-  
 ლეებისა და სჭულის მსა'რთა განლაგებისათვის.

- 1 ი. ბეჭირიშვილი, ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბათუმი, 1982, გვ. 24.
- 2 იქვე, გვ. 24 და 85.
- 3 ე. მურიე, ბათუმი, და ჭოროხის აუზი, 1962, გვ. 32.
4. Икоирго, т. 7—8, с. 195, Тифлис, 1882—1883.
- 5 ქართული წყაროთმცოდნეობა, ნ. 2, გვ. 168-169, 171-173.
- 6 ნ. ავალიანი, მიწის მფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960, გვ. 56-57.
- 7 ი. ბეჭირიშვილი, აჭარის სტუმრები, ბათუმი, 1978, გვ. 4.
- 8 ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. 6 გვ. 814, თბ., 1953.
9. Н. Шенгелия, Османские документы и источники о крепостях Гонио и Батуми, Тюркологический сборник, М., 1984, с. 250.
- 10 ზ. ჭიჭინაძე, ოსმალის საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი, ტფ. 1927, გვ. 63.
- 11 ევლია ჩეღეზის მოგზაურობის წიგნი, 6. 1, გვ. 82, თბ., 1971.
- 12 ე. მურიე, დასახ. ნაშრომი, გვ.
13. Ф. Успенский, Крепость на устье Чорохи, ИАН России, 1917, В. 2, с. 162—167.
14. Византийский временник, т. XX, М., 1961 с 225—242.
15. Библиотека иностранных писателей о России, т. I, с. 72, спб., 1835, И. Барбаро и А. Контарини о России, Ленинград, 1971, с. 214.
- 16 ჟურნ. „მოამბე“, 1894, № 11, გვ. 50; ი. ბეჭირიშვილი, აჭარა მეგობრების თვლით, ბათუმი, 1965, გვ. 5.
17. Записки Новороссийского университета, т. I, с. 13—14, Одесса, 1867.
18. С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии, М., 1966, с. 256.
19. Источниковедческие разыскания, Тб., 1985, с. 110—111.
20. А. Фадеева, К вопросу о феодализме в Абхазии, Сухуми, 1931, с. 35.
- 21 ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბ., 1984, გვ. 113.
22. Тюркологический сборник, М., 1984, с. 17.
- 23 ი. ბეჭირიშვილი, აჭარა მეგობრობის თვლით, ბათუმი, 1975, გვ. 10.
- 24 ი. ბეჭირიშვილი, აჭარის სტუმრები, ბათუმი, 1978, გვ. 4.
- 25 გიორგი წერეთელი, პუბლიცისტიკა, თბ., 1973, გვ. 79.
- 26 ი. ბეჭირიშვილი, აჭარის სტუმრები, გვ. 10.
- 27 ს. მესხი, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1964, გვ. 46.
- 28 ნ. კეცხოველი, ბათუმის წარსულიდან, ჟურნ. „ჭოროხი“, 1978, № 1, გვ. 55.
- 29 ჟურნ. „ჭოროხი“, 1989, № 2, გვ. 67.
- 30 იქვე, გვ. 67-73.



# რაც ათგომს და ანათებს

ყოველ სოფელსა და ქალაქს ჰყავს გამოჩენილი პიროვნება. ბათუმში ერთი ასეთი კაცი დავით მახარაძე. გახლავთ. ეს მომხიბლავი აღამიანი ნახევარი საუკუნის მანძილზე ცოდნის ჩირაღდნით მომავლის გზას უნათებდა მოზარდ თაობებს, სიკეთესა და სიყვარულს თესავდა მათ გულში, კაცური კაცობის გვირგვინს ქსოვდა, ქვეყნის სიყვარულს ნორჩების სულში მოყვანის სიყვარულით აღუღებდა. ბატონ დავითის მიერ საინტერესოდ გავლილ, რთულ და მღელვარე ცხოვრების გზაზე, მის კაცურ კაცობაზე როცა ფიქრობ, არ შეიძლება სიბზო არ იგრძნო გულში.

„ამ სიბზოს ვგრძნობ მთელი ნახევარი საუკუნეა, რაც დავით მასწავლებელი შემომახვდა, როგორც აღმზრდელი, შესანიშნავი პიროვნება, ხელმძღვანელი, უფროსი მეგობარი და მრჩეველი“, — ამბობს აქარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი არჩილ იშხნელიძე.

ბატონი დავითი დაიბადა 1911 წლის 15 აპრილს სოფელ აჭში. დავითის მამას — მელიტონს სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდა. ნაადრევად გარდაეცვალა მას მეუღლე. ადვილი წარმოსადგენია ის მწარე ხვედრი, რომელიც დაობლებულ დაძმებს ხვდათ წილად. ჭერ კიდევ პატარა იყო დავითი, როცა ჩაება შრომით საქმიანობაში.

ორი წლის ასაკში დაობლებული დავითი დედის ბძებმა აქიდან აღამბარში წაიყვანეს. ამ თვალწარმატაც სოფელში გაატარა მან ბავშვობის დაუვიწყარი წლები. ბებია ფედოსი (დედის დედა) მზრუნველობას არ აკლებდა. სიკეთით და სათნოებით გამოჩენილი ამ შესანიშნავი ქალის სახე სამუდამოდ აღიბეჭდა დავითის მეხსიერებაში. თუ რაიმე კარგი არის ჩემში და ამით ქვეყანას სარგებლობა მოვუტანე, ამ დიდბუნებოვანი ქალის, საოცრად ღამაზი სულის აღამიანის გრძნობასა და სიყვარულს უნდა ვუმადლოდე, — იხსენებს ბატონი დავითი.

11 წლის დავითი დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და სწავლა დაიწყო აქის დაწყებით სკოლაში. ცნობილმა პედაგოგმა ნიკოფორე იობიშვილმა შეასწავლა მას წერაკითხვა, სკოლის პატარა სარკმლიდან დაანახა ბუნებისა და ცხოვრების დიდი სამყარო, აღუძრა „ფერუთვალადი სამყაროს“ წვდომის სურვილი. თუ რაოდენ ძლიერი და დაუოკებელი იყო ეს სურვილი, ამას ნათელს ჰყენს ასეთი ფაქტი. ოთხკლასდამთავრებული დავითი სწავლის გასაგრძელებლად ბიძაშვილთან ერთად შინიდან ბათუმში გაიპარა. „ხვდასხვა სოფლიდან შეკრებილი ბავშვები — იგონებს დ. მახარაძე, — დაგავწყვეს ერთ ზაზზე სასწავლებლებში გასაგზავნად. განაწილების დროს ჩაცმულობასაც აქცევდნენ ყურადღებას. მე ქალამანი და დაკერებული ტილოს შარვალ-ხალათი მეცვა. ამიტომაც, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, მწვანე კონცხზე ახლადგახსნილ აგროტექნიკუმთან არსებულ საშუალო სკოლაში მოვხვდი.

1932 წელს დავითმა წარმატებით დაამთავრა აღნიშნული ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო კონის ტუნგის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად. ენერგიული შრომითა და საზრიანობით ბევრი სიახლე შეიტანა მეურნეობის მუშაობაში. თუმცა მისი მოწოდება მაინც სხვა იყო. გული ნორჩი აღსაზრდელებისაკენ მიუწევდა და მანამდე ვერ მოიხვენა, სანამ ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტი არ გახდა. ლექტორ-მასწავლებლებს შეუძინეველი არ დარ-

ჩენიათ სწავლასმოწყურებული ჯაბუკის მუყაითობა. სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს ბატონი დავითი აღმზრდელ მასწავლებლებს. განსაკუთრებით კი ინსტიტუტის დირექტორს ხუსეინ ნაკაიძის გულისხმიერება და სიკეთე ახსოვს.

1937 წელს დ. მახარაძემ დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის ხიხაძის საშუალო სკოლის დირექტორად. მადლიერი, სიყვარულით აღსავსე აუდიტორია ჰყავდა დავითს არა მარტო სკოლაში, არამედ მთელს სოფელში, ხალხის თვალი უტყუარია, უმალ შეამჩნევს ღირსეულს, თავისებურად შეიყვარებს და დააფასებს.

მოსწავლეებს ხიბლავდა ახალგაზრდა მასწავლებლის განათლება, ერუდიცია, გამოცნება და კეთილშობილება, რომელიც ბუნებრივად წვრთნიდა და ავარჯიშებდა მათ სულს და გონებას, ძალდაუტანებლად შეჰყავდა ცოდნის სამყაროში.

1940 წლიდან დ. მახარაძე ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგეა. აქაც დიდ ენერჯიას ახმარდა მომავალი თაობის აღზრდას. თუმცა მშვიდობიანი შრომა დიდხანს არ დასცალდათ. ომის ხანძარმა ქედის რაიონის მშრომელებიც ფეხზე დააყენა.

1943 წლიდან დ. მახარაძე კვლავ ხულოს რაიონს დაუბრუნდა. განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა დააქირავეს.

მეტად ძნელი იყო ომის წლებში განათლების განყოფილების საპასუხისმგებლო უბანზე მუშაობა, — იგონებს დ. მახარაძე, — განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა გვქონდა სკოლების კადრებით უზრუნველყოფაში. ბევრმა მასწავლებელმა საკლასო უსრნალი შაშხანაზე შეცვალა. ამან კადრების მწვავე ნაკლებობა გამოიწვია. ჩვენც ძალ-ღონეს არ ვზოგავდით. ერთ წელიწადში მარტო ვანისა და მაიაკოვსკის რაიონებში ოთხჯერ მომიწია ჩასვლა პედაგოგების ჩამოსაყვანად. სხვა რაიონებში კი განათლების განყოფილების სხვა მუშაკები იყვნენ გაგზავნილნი. ადგილობრივი კადრები რომ შეიკავებოდა მუშაობაში, შესაბამის ორგანოებს ხულოს პედსასწავლებელში ექსტერნები დავაშვებინეთ.

სხვა სიძნელეებიც მრავალი იყო, მაგრამ ერთუზიანს თავისი გაჰქონდა. მასთან რჩევისათვის, დახმარებისათვის, ჯკუის საკითხავად, გულის გასაშლილად მიდიოდნენ პედაგოგები, მოსწავლეები, ახალგაზრდები და მოხუცები, რომლებიც ყოველთვის კმაყოფილი ბრუნდებოდნენ. ბავშვების სულიერ მოძღვარს აღამიანებზე, აღსაზრდელებზე შემოქმედების საოცრად დიდი, იღუმალი ძალა გააჩნდა. სწორედ ამ ძალას, მის პედაგოგიურ აღლოს, ტაქტსა და უნარს არა ერთი მოზარდის, გოგონასა თუ ბიჭისათვის აუხელია თვალი, სიკეთის გზაზე დაუყენებია და მისი ცხოვრებისათვის სწორი მიმართულება მიუცია.

ხულოს პედსასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეთერ აბულაძეს გული პედაგოგიური ინსტიტუტისაკენ მიუწევდა. მაგრამ მას დახმარება სჭირდებოდა. სწორედ დ. მახარაძის დამსახურებაა, რომ ეთერმა ბათუმის პედინსტიტუტი დაამთავრა და თვითონ მოევიდინა ხულოს რაიონს როგორც პედაგოგი და ხელმძღვანელი.

ერთხელ, — თქვა დავითმა, — აჭარის განათლების კომისარი ნ. ნიჟარაძე გვესტუმრა რაიონში. პირველ რიგში, რომელიმე დაწყებითი სკოლა ვნახოთო, — მითხრა მან. დღის 11 საათი იქნებოდა, როცა პაქსაძეების დაწყებით სკოლაში მივედით. საქლასო ოთახში (იგი მასწავლებლის ბინაც იყო) ჩვენს წინ ასეთი სურათი გადაიშალა: მასწავლებელი მჭადს ზეღდა, ბუხარში მოგიგზოზე ცეცხლზე ქვის კეცი იყო მიყუდებული, ჭაჭვზე დაკიდებულ კარდალში კი ლობიო იხარშებოდა. ამ სურათმა შემაშფოთა. ვიფიქრე, სასწრაფო არც მასწავლებელს და არც მე არ ავცდებია-მეთქი.

— დააკარით მჭადი, დააკარით, — მშვილად მიმართა კომისარმა მასწავლებელს.

ჩვენ ეკლესია დაგეგმვით, — თქვა ეს და უკან გამობრუნდა. სკოლის ეკლესია გავედით. ლამაზ ბუნებას გადავავლეთ თვალი. მასწავლებელმა თავისი საქმე მოგვარა, სწრაფად მოიყვანა კლასი წესრიგში, ზარი დარეკა და გაკვეთილზე მივიპატიჟა. მოსწავლეებმა პროგრამული მასალის დამატყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს. განათლების კომისიარს სიტყვაც არ დაუძრავს აღნიშნული ფაქტის შესახებ და მეც გამაფრთხილა, არაფერი მეთქვა პედაგოგისათვის. ამ შემთხვევამ ცხადად დაგვარწმუნა თუ როგორ აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობაში ჰუმანურობა, კეთილშობილება და დიდულყოფნა. ამასთან ისიც მასწავლა, რომ პედაგოგთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, ჩვენი, განათლების განყოფილების, უპირველესი საზრუნავია.

**1947 წელს დ. მახარაძე ქ. ბათუმის საბავშვო სახლის დირექტორად გადაიყვანეს.** ხოლო ორი წლის შემდეგ, ბათუმის № 1 საშუალო სკოლას ჩაუდგა სათავეში, 1950 წლიდან მობილიზაციის წესით ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნობის თავმჯდომარედ აირჩიეს. აქაც თავი გამოიჩინა, როგორც მშობელი მიწისა და გლეხკაცის გულის მესაიდუმლემ. 1958 წელს ღვაწლმოსილი მუშაკი კვლავ დაუბრუნდა განათლების სისტემას. მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმის განათლების განყოფილების გამგედ. ერთი წლის შემდეგ ბათუმის № 1 საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. 28 წლის განმავლობაში სათავეში ედგა დ. მახარაძე № 1 საშუალო სკოლას. ვერავითარი საწყაულით ვერ აწონი იმ სიკეთეს, სიბოძს და აღერსს, რომელსაც იგი აღსაზრდელებს გულის გასათბობად უნაწილებდა. გ. ალავერდაშვილი წიგნში „ლამაზი ცხოვრების მეგზურნი“ წერდა: „ისიცოცხლე, ხალისი, საქმის სიყვარული, ამაღლებული სულისკვეთება შეინიშნება ბათუმის პირველ საშუალო სკოლაში, სკოლის მთელ ცხოვრებაში... ეს სულისკვეთება გამხდარა ამ სასწავლო დაწესებულების წინსვლის, საერთო წარმატების დაუშრეტელი წყარო, მისი მთავარი მამოძრავებელი ღერძი“.

„ყოველთვის ჩემი კერა იყო და არის დავით მასწავლებელი, — ამბობს ბათუმის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი ცილა შარაძე, — რამდენჯერ მოიცნებია ჩემი სიყვარული, კრძალვა, მადლიერება გამოიხატა. ვხატავდი ოცნებაში ჩემს სათავეანებელ მასწავლებელს, პირველ საშუალო სკოლას რომ ამშვენებდა, ავსებდა. ერთი მისი გავლა ღერეფანში სრულ წესრიგს ამყარებდა. დავით მასწავლებელი განა მარტო პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიურ, მოსწავლეთა და მშობელთა კოლექტივებს ამშვენებდა, იგი მთელი ჩვენი ქალაქის შნო და ლაზათი იყო და არის.“

დავით მასწავლებელი განსაკუთრებით მიყვარდა გაკვეთილზე. **ვგროვებდით ბავშვებს, როგორ უყვარდა მას გეოგრაფია. როგორ ბუნებრივად გვაყვარებდა და გვაზიარებდა მას.**

...გვიღა წლები... მე № 1 საშუალო სკოლის, ჩემი მეორე ოჯახის, ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ კი დირექტორად დამაწინაურეს. ჩემი დაწინაურებით დიდად გაიხარა დავით მასწავლებელმა. მომილოცა, რჩევა-დარიგება მომცა. თავდახრილი ვუსმენდი და ორივე ბედნიერები ვიყავით: მასწავლებელიც და მოსწავლეც, დირექტორიც და მასწავლებელიც“.

ბატონ დავითს ერთი წუთითაც არ უცხოვრია მოზარდი თაობის, ახალგაზრდობის ბედზე ფიქრის, მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის გარეშე.

იმ ადამიანთა მარტო ჩამოთვლაც შორს წავიყვანდა, რომლებმაც ამ სკოლაში ბატონ დავითის ხელმძღვანელობით მიიღეს ცხოვრების საგზური და თავიანთი მამულიშვილობით ასახელეს სკოლა, ოჯახიც და სამშობლოც.

ვალმოხდილი და ღვაწლმოსილი პედაგოგი წლების განმავლობაში აქარის მასწავ-

ლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში იღვწოდა ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობის მეთოდური კაბინეტის გამგედ. პედაგოგებსა და სკოლის ხელმძღვანელებს უწარმოებდა და თავის მდიდარ გამოცდილებას, ეხმარებოდა სასწავლო-აღზრდელილობითი მუშაობის დროის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვაში.

დ. მაზარაძის პედაგოგიური და მრავალმხრივი საზოგადოებრივი დამსახურება ღირსეულად დაფასდა.

ღამაში და ტუბილი ოჯახი აქვს ბატონ დავითს. მისი მეუღლე გუგული ბეჟანიძე ქმართან ერთად დიდხანს ემსახურებოდა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს. იგი ახლა დამსახურებულ პენსიაზეა. ამგვარ პედაგოგებს ჰყავთ ორი შვილი: — ჯუშბერი და ჭემალი. ისინი ინჟინრები არიან.

...სიმდიდრეც შეიძლება ადრე დაჰკარგოს ადამიანმა, სიმართლევაც და სიღამაზეც მოაკლდეს, მაგრამ მოსიყვარულე გული კი ათობს და ანათებს მის სიცოცხლეს თვით სამარის კარში — ბრძანებს დიდი ერისკაცი დავით გოგებაშვილი.

უკვე რვა ათეული წელია, ბატონი დავითის მოსიყვარულე გულიც ათობს და ანათებს. ეს სინათლე მისი აღზრდილების გულში ანთებულ ჩირაღდნად იქცა...

## ბასულ ორ თვეში

### გამოვინა საპარტიველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუშაუშვი

ქ. ბათუმში საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუშაუშვი გაიხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილია ქართველ მხატვართა მიერ ეროვნულ თემაზე შექმნილი ნამუშევრები.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპი ნაჩვენებია ფოტომასალის საშუალებით, რომელთა დიდი ნაწილი პირველად იყო ექსპონირებული.

### სკოლა 110 წლისაა

ბათუმის № 2 საშუალო სკოლა პირველი ქართული სკოლაა დედასამშობლოსთან დაბრუნებულ აჭარის მრავალპირიანხულ მიწაზე. იგი ერის თავდადებულ ქომაგთა ილია ქავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის უშუალო მხარდაჭერითა და ხელშეწყობით დაარსდა.

სკოლის დაარსებიდან 110 წლისთავ-

თან დაკავშირებით აქ 1-ბ და 5-ბ კლასების მოსწავლეებმა (პედაგოგები რ. მუჟანაძე, მ. ჩიკაშუა) მოაწვევეს მხატვრული დილა, რომელსაც პატარებმა „მამული, ენა, სარწმუნოება“ უწოდეს. ლექს სიმღერა ცვლიდა, სიმღერას მუსიკა. ყველაზე მეტად „დედა ენასა“ და მის შემქმნელს შეასხეს სიტბა. ცეროდენები „ვეფხისტყაოსნისა“ კარგად ფლობდნენ.

საღამოს სეზაღ თან ახლდა. დარბაზში იღვრება ვივალდის სულისშემძვრელი ჰანგები. როცა საქართველოში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა, აგრეთვე სამშობლოსათვის სხვადასხვა დროს მსხვერპლად შეწირულთა მონახსენიებლად სანთლები აანთეს, იქაურობა დუმილმა და ნაღველმა მოიცვა.

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, დასრულდა მომავლის რწმენით გაუღენთილი სიმღერით „ჩემო კარგო ქვეყანავ“, შეკავშირება, ურთიერთთანადგომა, ერთმანეთის, შრომის სიყვარული, აი, რა გამოსჭვივდა თითოეულის გამოსვლაში.

დასასრულს, სკოლის დირექტორმა ი. კილაძემ გზა დაულოცა პატარებს და სამახსოვრო წარწერიანი წიგნები გადასცა საჩუქრად.

### ბამოფენა „ზანკაჰის“ სპონსორაგით

მორიგი ექსპოზიციის შემოქმედად, ახლახან ბათუმის მხატვრის სახლში საწარმო-სამომხმარებლო დაწესებულება „ზანკაჰის“ სპონსორებით რომ გაიხსნა, უკრაინელი ფერმწერი იური არსენიუკი მოგვევლინა. მან ჩვენს ქალაქში ჩამოსატანად შეარჩია ორმოცდაათამდე ნაწარმოები.

დამთვალეირებლები დასამახსოვრებელი შთაბეჭდილებებით აღივსნენ, მადლიერების კრძნობით განიმსჯეულნენ იმ ხელოვანისადმი, ვისი სამუშაო რულოდლო ოსტატობა სათავეს კლასიკიდან იღებს და დახვეწილი სტალო გამოირჩევა. ამის საილუსტრაციოდ საქმარისია დავასახელოთ ტიპები „რომეო“, „მოხუცი“, „ნათქავეები“, „ფიცია“, „გოლიათთა საგუშაგო“, „რეკვიემი“, „შემოდგომის თაიგული“, „საღვთო მხედრიონი“.

გამოფენის გახსნის წინ იური არსენიუკი მხატვრის სახლში შეკრებილ დამთვალეირებლებს წარუდგინა „ზანკაჰის“ თანამშრომელმა ლამარა დიასამიძემ. თავის მხრივ სტუმარმა მადლობა გადაიხადა და აღნიშნა, რომ არასოდეს დაივიწყებს მასპინძელთა გულთაღობას.

### ქ ვ ე ლ მ ო მ მ ე დ ე ბ ა

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საკვლამოქმედო პრემიერა „მზე — მხიარული და სევდიანი“, რომლის რეჟისორული კომპოზიცია ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს მერაბ ლებანიძეს. მთელი შემოსავალი გადაირიცხა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.

სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს

ველოს სახალხო არტისტები ნაზი კეჭელიძე, ემაძე, გაიოზ გოგობერიძე, იური ცანავა, მანუჩარ შერვაშიძე, საქართველოს დამსახურებული არტისტები თამარ სულხანიშვილი, როლანდი კაკაურიძე, ნიაზ მესხიძე, ლევან ღლონტი, აქარის დამსახურებული არტისტები ლიანა აბულაძე, ნატო გოგიტაური, ბერდია ინწკირველი, სერგო ბაზაიშვილი, ავთანდილ ქარჩავა, ნოდარ ძიძიგური, მსახიობები ნანა კიკვაძე, შაია ცეცხლაძე, თემურ კუთერაძე, ჭემალ ველიაძე, ზაზა გოგუაძე, ბესარიონ ბარათაშვილი, ზურაბ დიასამიძე.

\* \* \*

საქართველოში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად თითოეულმა ჩვენმა თანაქალაქელმა შეიტანა თავისი წვლილი, ზოგმა — მეტი, ზოგმა — ნაკლები, მაგრამ განზე არავინ გამდგარა.

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის კოლექტივმა შეგროვილი სახსრების უმეტესი ნაწილი დაზარალებული მატერიალური ძეგლების აღსადგენ ფონდში შეიტანა.

თავისებური მორალური მხარდაჭერა იყო ისიც, რომ დაზარალებულთა ერთ ჯგუფთან შეხვედრას მიეძღვნა სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი ე. აზნაურიანი).

\* \* \*

ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის № 22 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, მათმა მშობლებმა და პედაგოგებმა, ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ბინსოცბანკში გახსნილ ანგარიშზე (№ 70109) 2,950 მანეთი გადარიცხეს.

მათვე საჩხერის რაიონში ყოფნისას, მიწისძვრით დაზარალებულ რვა ოჯახს 2.000-2.000, სულ 16 ათასი მანეთი გადასცეს,

— აჭარის კულტურის სამინისტროს ქორეოგრაფიული სკოლა შარშან გაიხსნა, — გვესაუბრა მისი დირექტორი. აჭარის დამსახურებული არტისტი, ქორეოგრაფი თემურ ბოლქვაძე, — ძირითადად აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან არსებულ ქორეოგრაფიული სტუდიის ბაზაზე. სტუდიელები პირდაპირ მეორე კლასში ჩავრიცხეთ, დღეისათვის I-II კლასები მოქმედებს. სწავლება ხუთწლიანია, თანაც უფასო. ამ ხნის მანძილზე ბავშვები შეისწავლიან ქართულ ხალხურ ცეკვებს, ქართულ ქორეოგრაფიულ ისტორიას, მუსიკის ანბანს, კლასიკურ და სამეჯლისო ცეკვებს.

მეცადინეობა ყოველდღიურად ტარდება, გაკვეთილების ხანგრძლივობა 45 წუთია. № 1 სკოლის საექტო დარბაზი იჭარით გვაქვს აღებული. ფულს აჭარის კულტურის სამინისტრო გვიხდის, როგორც ბაზა გვაქვს, თავად ნახეთ. გასახდელად ფიზკულტურის ერთი ოთახი გვაქვს გამოყოფილი. დარბაზში ქორეოგრაფიული სკოლისათვის საჭირო ელემენტარული ინვენტარი — სავარჯიშო ძელიც კი არა გვაქვს. შესაძლებლობა რომ გვქონდეს, დღისით რეპეტიციებს ჩავატარებდით, საღამოს გაკვეთილებს. კულტურის სამინისტრო ფინანსურად კი გვეხმარება, მაგრამ სათანადო შენობა ჭერჭერობით ვერ შევარჩიეთ. ენთუზიაზმი კარგია, მაგრამ მარტო ამით შორს ვერ წავალთ.

სკოლაში საკმაოდ კვალიფიციური პედაგოგები გვყავს — აჭარის დამსახურებული არტისტები ნუგზარ შალიკაშვილი, შოთა ბერიძე, მუსიკას რუსუდან ვიორგაძე ასწავლის. მისაღები კონტინგენტის გაზრდასთან ერთად კადრების რაოდენობაც გაიზრდება. ახლახან სასწავლო ნაწილის შტატი დაუშვეს. ამ საქმეს ნოდარ დევაძე გაუძღვება.

ჩვენ კურსდამთავრებულები სკოლის დამთავრების მოწმობას იღებენ და შეუძლიათ თვითმოქმედი და პროფესიულ ანსამბლებში იმუშაონ.

### საკონცერტო დარბაზებში

არსებობს აჭრი, პიანისტისათვის სოლო ნაწარმოების შესრულება პრეტიუულია, მაგრამ უფრო ძნელია, ვიდრე კონცერტმაისტერობაო. არის საწინააღმდეგო შეხედულებაც. მესამე თვალსაზრისით კი უნივერსალური და ქველასათვის მისაღები პიანისტი სოლისტადაც კარგი უნდა იყოს და აკომპანიატორადაც.

სწორედ ამის თავისებური დემონსტრირება იყო ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების მესამე-კურსელის თ. გოგოტიშვილის (პედაგოგ ვ. ვაბაის კლასი) გამოსვლა მშობლიური კერის დარბაზში.

კონცერტმა მსენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. საღამოს პირველი განყოფილება ვოკალურ მუსიკას დაეთმო. პედაგოგმა ლ. ბურნაშევამ შთაგონებით, ემოციურად იმღერა ნათელირიგი არიები და რომანსები, რასაც დიდად შეუწყო ხელი მოსწავლე გოგონას დახვეწილი მანერითა თუ საანსამბლო ჩვევების გამოვლენით დაკრულმა თანხლებმა მუსიკამ. მოწონება დაიმსახურა ამ შეთანხმებული დუეტის წარმოდგენილმა რეჩიტატივმა და არიამ რიმსკი-კორსაკოვის ოპერადან „უკვდავი კაშიეი“, დონიცეტი, რაქმანიოვის, ჩაიკოვსკის, შაპორინისა და ლეონკოვალოს სხვადასხვა უაჩრახსანიმღერო ქმნილებებმა.

მეორე განყოფილებაში თ. გოგოტიშვილი შეკრებილთა წინაშე წარსდგა როგორც სოლისტი.

შპს 60 ქპპ.

669/115.

